საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (348)
25 - 31 მაისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## კორცხელის ინციდენტი — კოაბიტაციის შედეგი
7

«ქვეყნის საქმე»

# ფრთხილად!
## «თელასი» გატყუებთ, «სემეკი» კი ხმას არ იღებს

ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიები სახელმწიფოს ლოცვა-კურთხევითა და თანხმობით («დამოუკიდებელი» მარეგულირებელი კომისიები იქმნება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული «ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე) მოსახლეობას ჯიბიდან ყოველთვიურად აცლიან 17.55 ლარს, წელიწადზე გაანგარიშებით კი — 210.6 ლარს 6

თუ მოიხმარ 101 კვტსთ-ს, გადასახდელი გექნება 13.11 ლარი, ხოლო ამაზე ერთი კილოვატ-საათით მეტის მოხმარების შემთხვევაში, ანუ მთლიანობაში 102 კილოვატ-საათის მოხმარებისას, უკვე 17.33 ლარი, ანუ ერთი კილოვატით მოხმარების გაზრდა დენის გადასახადს ზრდის 4.22 ლარით

## ქართული ოცნებები და ნაცისტური სიზმრები





2

„სააკაშვილის რეჟიმისა და მისი ნარჩენების ლიკვიდაცია წარმოადგენს მთავარ პუნქტს დაუწერელ კონტრაქტში, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ამომრჩევლებმა დაუდეს და მისი შესრულების გარეშე კონტრაქტი გაუქმდება.“

## მართლმადიდებელი სამღვდელოების მიმართვა პრემიერმინისტრს
8

„აღნიშნული კანონის არსებული სახით მიღების შემთხვევაში ყველა შესაძლო ნეგატიურ შედეგზე პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე ეკისრებათ როგორც კანონის ინიციატორებს, ისე მის მხარდამჭერებს. მორწმუნე ერი არასდროს შეეგუება ოჯახის ინსტიტუტისა და მისი მდგრადობისთვის საფრთხის შემცველი კანონების მიღებასა და ცხოვრებაში გატარებას.“

## ეს, რაც ახლა გვაქვს, არის ფსევდოსახელმწიფო ფსევდოხელისუფლებით, რაღაც ბუტაფორია, კომიკური წარმონაქმნი
4

«საქართველო ვერ შედგა, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო და ამას უკვე ბავშვიც ხვდება»

## «სად არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხან «შარლი ებდოა» და ხან — «ფარული ჩანაწერების» გამავრცელებლის მაძებარ-მაგინებელი?»
5

«არც ზნეობა, არც ერი, არც დედა, არც მამა, არც შვილები — მათ მხოლოდ თავიანთი მუცელი, ასო და საშო აინტერესებთ»

## სააკაშვილის ათწლიანი პოლიტიკა ყველაფერს გასაგებად და მისაღებად გეუბნებოდათ, ბატონო პაატა, გატრუნული რომ იყავით?!
12




3

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქართული ოცნება“ ნასაკირალსა და კორცხელში დამარცხდა, ამიტომ ლოგიკური იქნება, იქ საუკეთესო კადრები გადაისროლოს და სააგიტაციო მუშაობა გააძლიეროს. დავით კოლუაშვილი ამისთვის, ალბათ, საუკეთესო კანდიდატურაა (არის ასეთი ცნება — „გამოსაცდელი ვადა“). სუფთა ჰაერზე, სოფლის აგიტატორის როლში, ის პოლიტიკური და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას მიიღებს და, შესაძლოა, რაღაც მომენტში მიხვდეს, რატომ გაუზრაზდნენ ასე სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეები.**

# ქართული ოცნებები და ნაცისტური სიზმრები

**პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარეცაა, პირველი სერიოზული შეცდომა დაუშვა. მისი პროტეჟეს, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალი წევრის — დავით კოლუაშვილის განცხადებებმა ხელისუფლებას პრობლემა შეუქმნა.**

1945 წლის 11 მაისს შვეიცარიული „ველტვოხისთვის“ მიცემულ ინტერვიუში XX საუკუნის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ფსიქიატრმა **კარლ გუსტავ იუნგმა** თქვა: „მე მყავს ორი პაციენტი, აშკარა ანტინაცისტები, მიუხედავად ამისა, ამ ადამიანების სიზმრები ცხადყოფს, რომ მათი წესიერების უკან დგას მკაფიოდ გამოკვეთილი ნაცისტური ფსიქოლოგია მთელი თავისი ძალადობით და სისასტიკით“. ჩვენ გაგვიჭირდება სხვა ციტატის მოძებნა, რომელიც განხილული კრიზისის არსს უკეთ გამოხატავს. **კოლუაშვილის შეცდომამ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები აღაშფოთა, მაგრამ მისი არდაშვება, როგორც ჩანს, უბრალოდ არ შეეძლო, რადგან, სავარაუდოდ, ღირებულებათა იმ სისტემით ხელმძღვანელობს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა.** ის, რომ კოლუაშვილი წინა ხელისუფლებას დროდადრო აკრიტიკებს (საკმაოდ უცნაურად, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. ამ სიტუაციაში მთავარი იუნგის მიერ ნახსენები „ნაცისტური სიზმრებია“, რადგან, განმსაზღვრელ გავლენას პაციენტის (უკაცრავად, ფიგურანტის) ქცევაზე, დიდი ალბათობით, სწორედ ისინი ახდენს.

ამონარიდი ინტერვიუდან, რომელიც კოლუაშვილმა „ქართულ გაზეთს“ მისცა. **აი, როგორ ხასიათებს ის მიხეილ სააკაშვილს: „უგანათლებულესი პიროვნებაა, არაჩვეულებრივი ენერგიის, ამოუშრეტავი რესურსის. შეეძლო, ბევრი სიკეთე გაეკეთებინა ქვეყნისათვის. ბევრი რამ მოხდა მის დროს თვისობრივად გარდამტეხი, რასაც ვემხრობი — პატრულის რეფორმა, ქვედა დონეებში კორუფციის წინააღდეგ ბრძოლა, საჯარო მოხელეებისადმი პატივისცემის განცდა, სხვადასხვა მოტივაცია. არ შეიძლება, ეს არ დაინახოს ადამიანმა. ეს რომ არ გაკეთებულიყო, ჩვენ გვექნებოდა ყველაფერი გასაკეთებელი და ამისათვის მადლობა მას, მაგრამ მან დაუშვა ტრაგიკული შეცდომა, ქვეყანა ჩართო განწირულ ომში და, თუ ეს ვერ გათვალა, არ ყოფილა კარგი სტრატეგი“.**

თავი დავანებოთ იმას, რომ კოლუაშვილი „უგანათლებულესს“ უწოდებს პიროვნებას, რომელიც ამდენი წელია, აგრესიული გაუნათლებლობის განსახიერებად ითვლება. ეს სუბიექტური მომენტია; ვინ იცის, იქნებ უკეთესს არავის იცნობს. აქ მთავარია სხვა რამ. **კოლუაშვილი მთავარ ბრალდებას ომს უკავშირებს — ეს კი ერთადერთი ეპიზოდია, სადაც სააკაშვილის გულშემატკივრებმა შეიძლება თქვან, რომ მათი ბელადის ნაბიჯები იძულებითი იყო და კრემლის მოქმედებიდან გამომდინარეობდა.** ინტერვიუს ამ მონაკვეთში კოლუაშვილი გამოცდილ ადვოკატს ემსგავსება. ის არ ახსენებს სისტემურ დანაშაულს და მის არაადამიანურ გამოვლინებებს, რომლებიც შესაძლებელი სწორედ სამართალდამცავი ორგანოების რეფორმამ გახადა, საუბრობს „პატივისცემაზე“ იქ, სადაც რეჟიმი შიშს ამკვიდრებდა და ბოლოს ეხება იმ ერთადერთ თემას, როცა სააკაშვილის მოღვაწეობის უარყოფითი შეფასება არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ მნიშვნელოვანწილად ბუნდოვან სუბიექტურ შეფასებებსაც ეფუძნება — „არ ყოფილა კარგი სტრატეგი“ და ა.შ.

მართალია, კოლუაშვილის ამ ინტერვიუში არის ფრაზა „სააკაშვილზე დიდი მოძალადე საქართველოს არასოდეს ჰყოლია“, მაგრამ ამის შემდეგ მოდის აი ეს: **„გული მწყდება, რომ მის გუნდში არსებობს ბევრი ჩემი მეგობარი და, ხშირ შემთხვევაში, თანამოაზრეც“.** როგორც ჩანს, კოლუაშვილი ვერ აცნობიერებს, რომ მისი მეგობრები დანაშაულებრივი რეჟიმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ ან კიდევ ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ მეგობრობა ამ ადამიანებთან და მათი მოსაზრებების გაზიარება ჩვეულებრივი რამ არის. **კოლუაშვილი არ ასახელებს გვარებს, ამიტომ ძნელი მისახვედრია, ვინ არის მისი თანამოაზრე — ნუგზარ წიკლაური, მეგის ქარდავა თუ ვინმე სხვა.**

ალბათ, მიზანშეწონილი იქნება კიდევ ერთი ციტატის მოყვანა იუნგის 1945 წლის ინტერვიუდან: „თითოეული მათგანი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, აქტიურად თუ პასიურად, იმ საშინელების თანამონაწილე იყო. მათ არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რაც ხდებოდა და, ამასთანავე, იცოდნენ. კოლექტიური ბრალეულობის საკითხი, რომელიც ასე აბრკოლებს და მომავალშიც დააბრკოლებს პოლიტიკოსებს, ფსიქოლოგისთვის ფაქტია და ეჭვს არ იწვევს. მკურნალობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის ის, რომ აიძულოს გერმანელები, დანაშაული აღიარონ. დღეს ბევრ მათგანს სურს, ჩემთან იმკურნალოს. თუ თხოვნა „პატიოსანი გერმანელებისგან“ მომდინარეობს, რომლებიც წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ, გადაებრალებინათ დანაშაული ორიოდე ადამიანისთვის გესტაპოდან, ასეთ შემთხვევას უიმედოდ მივიჩნევ. არაფერი მრჩება, გარდა იმისა, რომ შევთავაზო მათ ანკეტები არაორაზროვანი კითხვებით, მაგალითად: „რას ფიქრობთ ბუხენვალდზე?“. მხოლოდ მაშინ, როდესაც პაციენტი აცნობიერებს და აღიარებს საკუთარ დანაშაულს, შესაძლებელი ხდება ინდივიდუალური მკურნალობის გამოყენება“.

**დავით კოლუაშვილის მცირე პოლიტიკური წონიდან გამომდინარე, მისი განცხადებები არ მოახდენს სერიოზულ გავლენას მმართველი პარტიის მდგომარეობაზე, მაგრამ ეს განცხადებები შესანიშნავი მასალა იქნება იმ ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კატასტროფის შესასწავლად, რომელიც კოჰაბიტაციის მორევში ჩაფლულ მმართველ პარტიას დაატყდა თავს.** შესაძლოა, პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ელიტის ნაწილმა ვერ იპოვა საკუთარ თავში ძალა, მომხდარში თავისი დანაშაულიც დაენახა და, შესაბამისად, ბოროტებას გამიჯვნოდა და ამას დაავადებასთან თანაარსებობა არჩია, რაც, დეგრადაციისა და ნელი კვდომის გარდა, არაფერს მოუტანს.

თავი დავანებოთ კოლუაშვილის სხვა მოსაზრებებს **ნიჟიერ მერაბიშვილზე, სიკეთის მომტან უგულავაზე,** დაუბალანსებელ განცხადებებს თანაგუნდელებზე და პრემიერმინისტრის კომენტარის ციტირებით შემოვიფარგლოთ: **„მან (კოლუაშვილმა) ორიოდე დღეში მოხსნა ყველანაირი რეკორდი ძალიან დაუფიქრებელი განცხადებებით“.** თუ გავიხსენებთ ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის — **პავლე მილიუკოვის** ცნობილ კითხვას **„სისულელე თუ ღალატი?“,** ალბათ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შესთავაზა, კოლუაშვილის ქცევა პირველი ვარიანტის ფარგლებში შეაფასონ.

ერთი შეხედვით, **დავით კოლუაშვილი მართლაც არ ჰგავს მოღალატეს, რადგან მოღალატე, სავარაუდოდ, გაცილებით ფრთხილად მოიქცეოდა — ჩუმად გაიტანდა ინფორმაციას პოლიტსაბჭოდან და ფარულ საბოტაჟს მიმართავდა, ხოლო ზურგში მახვილს პარტიას მოგვიანებით, გადამწყვეტ მომენტში ჩასცემდა. მაგრამ ყოველივე ეს ტაქტიკური მნიშვნელობის წვრილმანია, ხოლო ფიგურანტის ქცევა, უპირველესად, ალბათ, იმ იდეალების ღალატია, რომელთა გარშემო „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები 2012-ში გაერთიანდნენ. მათი უმწვავესი რეაქცია კოლუაშვილის განცხადებაზე სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ გვაძლევს.**



დავით კოლუაშვილი

**დავით კოლუაშვილის მცირე პოლიტიკური წონიდან გამომდინარე, მისი განცხადებები არ მოახდენს სერიოზულ გავლენას მმართველი პარტიის მდგომარეობაზე, მაგრამ შესანიშნავი მასალა იქნება იმ ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კატასტროფის შესასწავლად, რომელიც კოჰაბიტაციის მორევში ჩაფლულ მმართველ პარტიას დაატყდა თავს**

მომხდარი გიორგი კვირიკაშვილის პირველი სერიოზული მარცხია, რადგან „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში თავისი მეგობარი (პრემიერის თქმით, „ძალიან ახლო მეგობარი“) დავით კოლუაშვილი წარადგინა. **მეგობრობა პოლიტიკაში ცუდი მრჩეველია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ფიგურანტი პარალელურად სააკაშვილის თანაგუნდელებთან მეგობრობს და გამორიცხული არ არის, ნაციონალებმა ის ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად გამოიყენონ.** ყოველივე ამას თავი რომ დავანებოთ, **ისეთი პიროვნების დაწინაურება, რომლის განცხადებებს ელექტორატის დიდი ნაწილი შეურაცხყოფად აღიქვამს, სულ ცოტა, წინდაუხედავი ნაბიჯია.** კვირიკაშვილისთვის კარგია, რომ პირველი მტკივნეული მარცხი პრემიერისა და პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ასეთ ლოკალურ ეპიზოდში, პრაქტიკულად „სასათბურე პირობებში“ იწვნია. ეს შესაძლებლობას მისცემს, დიდი დანაკარგების გარეშე გააანალიზოს შექმნილი ვითარება და გადახედოს თავის მიდგომებს საკადრო საკითხებისადმი.

**სააკაშვილის რეჟიმისა და მისი ნარჩენების ლიკვიდაცია წარმოადგენს მთავარ პუნქტს დაუწერელ კონტრაქტში, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ამომრჩევლებმა დაუდეს და მისი შესრულების გარეშე (ნელა თუ სწრაფად, კარგად თუ ცუდად — სხვა საკითხია) კონტრაქტი გაუქმდება.** მარტივად რომ ვთქვათ, არავის სჭირდება კატა, რომელიც მხოლოდ ჭამს და თვლემს, თაგვს კი არ იჭერს. ცხადია, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რამდენი ხმა დააკარგვინა „ქართულ ოცნებას“ კოლუაშვილის (და ზოგიერთი მისი კოლეგის) განცხადებებმა — ასეთ სიტუაციაში სოციოლოგები ვერ დაადგენენ, რომელი წვეთი იყო პირველი და რომელი ბოლო, მაგრამ აშკარაა, რომ **მოთმინების ფიალა უკვე აივსო, ხოლო „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა ხმები ილვრება. ყველაზე ცუდი, რაც მათ შეიძლება ამ სიტუაციაში იფიქრონ, არის ის, რომ მომხდარი მათი რეაქციის მიზანმიმართულ ტესტირებას წარმოადგენდა და ხელისუფლებას აინტერესებდა იმის დადგენა, რამდენად გახდა მათთვის მისაღები პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური კოჰაბიტაცია დავით კოლუაშვილის ნაციონალ მეგობრებთან.** ის, რაც შედეგად მიიღეს, ძალიან ჰგავდა ჯანმრთელი ორგანიზმის რეაქციას ვირუსის შემოჭრაზე, რამაც შეიძლება დაგვიფიქროს, რომ **„ოცნების“ ელექტორატის მოჩვენებითი ინდიფერენტულობის უკან საკმაოდ მკაფიო პოზიცია დგას — არავის არაფერი დავიწყებია და არც უპატიებია.**

22 მაისს საკრებულოს შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 9-დან 7 ოლქში გაიმარჯვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი — 2-ში. რასაც უცხოელი კომენტატორები სახელისუფლო პარტიის დამაჯერებელ გამარჯვებად აღიქვამენ, მისმა მხარდამჭერებმა შეიძლება კრახად ჩათვალონ. **2012-ში ბევრი მათგანი, სავარაუდოდ, ვერ წარმოიდგენდა, რომ 2016-ში „ნაცმოძრაობა“ არათუ იარსებებდა, არამედ არჩევნებსაც მოიგებდა (თუნდაც ერთ სოფელში). უდიდესი წვლილი ამაში, ალბათ, დავით კოლუაშვილის მსგავს მოღვაწეებს და კოჰაბიტაციის პოლიტიკას მიუძღვის.**

კაცთმოძულე სისტემების მიმზიდველობა არახალი და კარგად შესწავლილი ფენომენია. ზემონახსენები „ნაცისტური სიზმრები“ რეჟიმის განადგურებისთანავე არ ქრება და საზოგადოება შეიძლება ათწლეულების განმავლობაში შეაწუხოს. **ნაციონალ-სოციალისტებს შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, მონაწილეობა მიეღოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის არჩევნებში, რამდენიმე დასახლებაში, სავარაუდოდ, ისინიც გაიმარჯვებდნენ, მაგრამ, ცხადია, არავინ მიუშვებდა დემოკრატიულ არჩევნებამდე პარტიას, რომელიც დანაშაულებრივი რეჟიმის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და დაფუძნების დღიდან დემოკრატიის დასასამარებლად ემზადებოდა; 1949-ში ის უკვე აკრძალული და განადგურებული იყო.**

„ქართული ოცნება“ ნასაკირალსა და კორცხელში დამარცხდა, ამიტომ ლოგიკური იქნება, იქ საუკეთესო კადრები გადაისროლოს და სააგიტაციო მუშაობა გააძლიეროს. დავით კოლუაშვილი ამისთვის, ალბათ, საუკეთესო კანდიდატურაა (არის ასეთი ცნება — „გამოსაცდელი ვადა“). სუფთა ჰაერზე, სოფლის აგიტატორის როლში, ის პოლიტიკური და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას მიიღებს და, შესაძლოა, რაღაც მომენტში მიხვდეს, რატომ გაუზრაზდნენ ასე სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეები.

**როგორ უნდა გიკვირდეს, რომ სუსი, კუდი და პროკურატურა მიშას დაფრთიანებული კადრებით არის სავსე და სამართალს მხოლოდ ისინი აღწევენ, ვინც „მოკლეზე ჭრის“ და ყოფილი გენპროკურორის, არჩილ კბილაშვილის, იურიდიულ ფირმაში მიდის დახმარებისთვის, ოღონდ არც ეს ფაქტებია გახმაურებული და არც ის, რომ, პანამის დოკუმენტების თანახმად, კბილაშვილს ოფშორულ ზონებში დიდძალი ფული აღმოაჩნდა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ წართმეულის დაბრუნება „სრული წილის“ გაღების სანაცვლოდ ხდება, თუ არა და, ახსნას კბილაშვილმა უეცარი გამდიდრების მიზეზები.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რაც შეეხება ეკონომიკის ზრდას და მის ტემპებს, პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი, მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს, მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“.

ბიძინა ივანიშვილი,
2012 წელი

„2016 წელი ისევ რთული იქნება, 2017-დან დაიწყება აღმავლობა“.

2015 წელი

# «ოცნებების სასაფლაო»




პირველივე, „მოსამზადებელ“ წელს ივანიშვილმა აგვიხსნა, რომ „ქართული ოცნების“ ყველა მხარდამჭერი მოკლე დროში სამსახურს ვერ მიიღებს და ცხოვრების პირობებს ვერ გაიუმჯობესებს. ოთხწლედიც გაგვიწერა და იმედგაცრუება ჯერ კიდევ თავისუფალ ყოფილ პრემიერმინისტრსა და მიშას ხერხემლად წოდებულ ვანო მერაბიშვილს მიაწერა: „იმის განცდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას იმედები გაუცრუა, მხოლოდ ვანო მერაბიშვილს აქვს. გასაგებია, რომ რეგიონებში არ ესმით და ვერ ხსნიან ამას, გარკვეული განაწყენება შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, ეს რომ საყოველთაო იყოს, არ იგრძნობა. ყველამ რომ მიიღოს არჩევნების შედეგი, ამას სჭირდება დრო, ინვესტიციები და ეკონომიკური აღზევება. **ეს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დასრულდება, არათუ 3 თვეში, არამედ ვერც სამ წელში, ხოლო მეოთხე წელი უკვე საგრძნობი იქნება“.**

წესით, ამ მეოთხე წელიწადს დენიც უნდა გაიაფებულიყო და საწვავიც, უფასო ფულიც უნდა მიგველო და თითო სოფელს მილიონიც უნდა ჩახუტებოდა, მაგრამ ყველაფერი იმაზე უარესადაა, ვიდრე მანამდე, ოღონდ — ერთი განსხვავებით: **ახლა სიმართლის თქმის შანსი „ნაციონალებს“ მიეცათ და „ოცნების“ თავგადაკლული მომხრეები სიმწრით ტუჩებს იკვნეტენ, რათა სამართლიანი უკმაყოფილებით მიშისტების წისქვილზე არ დაასხან წყალი!**

**ერთადერთი, ვინც ოცნება მართლაც აისრულა, თვითონ „ქართული ოცნებაა“, რომელმაც არც პრემიებზე თქვა უარი და არც დანამატებზე, ავტოპარკიც განიახლა და „სამუშაო“ ადგილიც გაირემონტა. მეოთხე, „ძალიან კარგი“ წელი კი იმით დაავვირგვინა, რომ მეჭიაურსა და თოფაძეს გაემიჯნა და ნატოს წინაშე დედაც დაიფიცა, — არ იქნება ჩვენს რიგებში მათი ადგილიო!**

არადა, დაპირებების შესრულების მოიმედეებს ყურადღებით რომ წაეკითხათ ივანიშვილის 2011 წლის განცხადება, მიხვდებოდნენ, რისი იმედიც უნდა ჰქონოდათ.

**„მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.** საქართველოს დასაკარგი კაცი არ ჰყავს, თითოეული ადამიანის პოტენციალი უნდა იქნეს სათანადოდ გამოყენებული და დაფასებული. ჩვენ, ყველანი, უნდა გავერთიანდეთ, მე ყველას ვუწვდი ხელს სათანამშრომლოდ, მათ შორის ჩემს ოპონენტებსაც; ჩვენ, ყველანი, უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ, სანამ გავერთიანდებით, ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას, ყველა უნდა წარვდგეთ ერთმანეთის წინაშე არა ნიღბით, არამედ ნამდვილი სახით, ყველა უნდა გავთავისუფლდეთ, ნებსით თუ უნებლიეთ, წამოკიდებული ტვირთისგან“.

ამით ივანიშვილმა მაშინვე გაგვაფრთხილა, რომ კოჰაბიტაციის რეჟიმში ჩადგებოდა და, თუ ვინმეს იმედი ჰქონდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებს შესეულ „კმარაზიტებსა“ და ნაცაქტივისტებს გარეთ გამორეკავდა და სამსახურში დააბრუნებდა, მწარედ ცდებოდა. რაც შეეხება იმას, რომ „ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას“, გამწარებულმა ადამიანებმა ესეც სასურველ რეალობად აღიქვეს და სამართლიანობის აღდგენის იმედი გაუჩნდათ. მაგრამ **გამგები გაიგებდა, რომ, მაგალითად, ვანო მერაბიშვილის ნამდვილი სახელია „კარგი მენეჯერი, კარგი ორგანიზატორი და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნება“. ადეიშვილიც, თუ ბიძინა ივანიშვილს ვენდობით, საუკეთესო მენეჯერი ყოფილა და „მის ხელში“ კარგი მინისტრი იქნებოდა.**

ამის შემდეგ **როგორ უნდა გიკვირდეს, რომ სუსი, კუდი და პროკურატურა მიშას დაფრთიანებული კადრებით არის სავსე და სამართალს მხოლოდ ისინი აღწევენ, ვინც „მოკლეზე ჭრის“ და ყოფილი გენპროკურორის, არჩილ კბილაშვილის, იურიდიულ ფირმაში მიდის დახმარებისთვის, ოღონდ არც ეს ფაქტებია გახმაურებული და არც ის, რომ, პანამის დოკუმენტების თანახმად, კბილაშვილს ოფშორულ ზონებში დიდძალი ფული აღმოაჩნდა! ბოროტი ენები ამბობენ, რომ წართმეულის დაბრუნება „სრული წილის“ გაღების სანაცვლოდ ხდება, თუ არა და, ახსნას კბილაშვილმა უეცარი გამდიდრების მიზეზები.**

იქნებ სულაც ივანიშვილმა უბოძა „ატსტუპნოი“, როცა გენპროკურორობას ჩამოაშორა და საქმეების ტაატით გამოძიება დაუფასა? აი ისე, როგორც კოალიციაში შემავალ პარტიებს ჩამოურიგა მილიონები, თუმცა ამ თემას ქვემოთ მივუბრუნდეთ, აქ კი ივანიშვილის კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გავიხსენოთ: **„ჩემი, როგორც ბიზნესმენის, წარმატების მთავარი საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: მე შემიძლია სწრაფად შევაფასო სიტუაცია, მივიღო სწორი გადაწყვეტილება, სწორად შევარჩიო კადრები და კარგი მენეჯმენტის საშუალებით სწრაფად მივაღწიო დასახულ მიზანს.**

როგორი მენეჯერი ვარ მე, ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ ცხრა წელია, რუსეთში არ ჩავსულვარ, მაგრამ ჩემ მიერ აწყობილი ბიზნესსტრუქტურები აბსოლუტურად გამართულად მუშაობენ“.

ახლაც, **სამი წელია, პრემიერი აღარ არის, მაგრამ მისი აწყობილი მთავრობა, მისივე სიტყვებით, „გამართულად“ მუშაობს, ამიტომ ლავლავებს „ნაციონალური მოძრაობა“ არაფორმალურ მმართველობაზე, თანაც მაშინ, როცა თვითონ არაფორმალურად იმართებიან ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსისგან!** ის კი იქიდან ანთებს ცეცხლს შუალედურ არჩევნებზე და ინტრიგებს ხლართავს. წალენჯიხის ავტობუსის პიონერი ახლა კორცხელის ერთ უბნამდე ჩამოლაბორანტდა: „პირველად 2012 წლის შემდეგ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიპოვა ძალიან მაგარი გამარჯვება. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი შემობრუნდება და ყველაფერი დაუბრუნდა სწორ გზას. ეს არის თქვენი დამსახურება, ხალხის დამსახურება. ძალიან მაგარი ხალხი გყავთ მანდ, მაგათ გააკეთეს მანდ იგივე, რაც გააკეთეს 2003 წელს, როცა ხალხს ნიღბიანები დაესხნენ და კიდევ მეტი ხალხი წამოვიდა სამეგრელოდან“.

ნიღბიანები და ზონდერები სააკაშვილის მოგონილია, მაგრამ ახლა, რადაც უნდა დაუჯდეს, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად სისხლის დაღვრამდე უნდა მიიყვანოს საქმე. სხვაგვარად დაბრუნების შანსი არ აქვს. ამასობაში „ქართული ოცნება“ მარტივ მამრავლებად დაიშალა და რესპუბლიკელების იმედიც გაუჩნდა მიშიკოს. ისინი კი „აქაც არიან და იქაც“ — თან ოპოზიციაში გადავიდნენ, თან მინისტრის პორტფელებს ვერავინ გლეჯს ხელიდან.

ისევ ივანიშვილის 2011 წლის განცხადებას მივუბრუნდეთ:

**„ვისთან ვერ ვითანამშრომლებ?**

**ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან და მისი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ. ჩემი აზრით, სწორედ ფსევდოოპოზიციური პარტიებია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალა...**

სწორედ მათ შეაქვთ განხეთქილება და არეულობა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალების ნებისმიერ წამოწყებაში; ისინი ახშობენ, ანეიტრალებენ და კალაპოტს უცვლიან ხალხის საპროტესტო განწყობას“.

ივანიშვილმა იქვე ჩამოთვალა ის პარტიები, რომლებთანაც ვერ ითანამშრომლებდა: **ქრისტიან-დემოკრატები, ლეიბორისტები, ახალი მემარჯვენეები, ედპ, ქართული პარტია, თორთლაძის, დავითაიას პარტიები.**

არადა, ხალხის საპროტესტო განწყობის ჩახშობაში, განეიტრალებასა კალაპოტის შეცვლაში შემჩნეული **ირაკლი ალასანია** სწორედ მან ამოიყენა მხარში, ისევე, როგორც სრულიად საქართველოსთვის საძულველი რესპუბლიკელები(!).

ახლა ისინი „თავისუფალ ცურვაში“ გაუშვა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ასე აფასებდა: „რესპუბლიკური პარტია ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტიაა, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით. თანამედროვე ყაიდის საინტერესო და იმედისმომცემ პოლიტიკურ ორგანიზაციად ვთვლი პარტია „თავისუფალ დემოკრატებს“, ხოლო მისი ლიდერი ირაკლი ალასანია ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი წონადი და ანგარიშგასაწევი ფიგურაა. რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ირაკლი ალასანიასა და მის პარტიასთან შეკითხვები არ მაქვს“.

შეკითხვები ამ სუბიექტებთან ხალხს იმთავითვე ჰქონდა, მაგრამ ივანიშვილის დაპირებები ირწმუნა და თვალი დახუჭა. მაშინ მან ასე მიმართა ამომრჩეველს: „მე ვაპირებ, გამოვასწორო შეცდომა და სრულიად ახლებური მიდგომით და პერსპექტივაზე ორიენტირებული გათვლებით ცხოვრება გავუადვილო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?“

პრემიერობიდან ისე წავიდა, დაპირებები მემკვიდრეებს გადაულოცა, თუმცა ძველი დაპირებები ახლაც ძალაშია, „მეოცნებეებს“ კი, რომ ჰკითხო, ყველა დაპირება შეუსრულებიათ! ეჰ, ბატონო ბიძინა, თქვენ კი წახვედით, მაგრამ, როცა დაბრუნდებას დააპირებთ, რა დაგხვდებათ?

ან, **ამ ცემა-ტყეპის შემხედვარე, თუ გიფიქრიათ, თინა ხიდაშელი, რამე რომ იყოს, არჩევნების გაყალბების მოტივით ჯარს ქუჩაში არ გამოიყვანს? და თუ გამოიყვანს, ვინ იხეირებს ამით?** აკი, ამ გასაჭირში სიტყვა „სამშობლოც“ გაიხსენა: „ყველა, ვისაც დღეს კეტი ეჭირა ხელში ან მუშტს იქნევდა, ჩვენს სამშობლოს ურტყამდა მუშტს; ყველა, ვინც დღევანდელ ვანდალიზმს წარსული დროის ვანდალიზმზე პასუხით ამართლებს, ჩვენი ქვეყნის პროგრესსა და განვითარებას უშლის ხელს... თუ ვერ გავიგებთ, რომ ძალადობა პასუხი არ არის, ეს როლები მუდამ ცვალებადი იქნება — მსხვერპლის და ჯალათის როლები, ხოლო ქვეყანა, უბრალოდ, ხელიდან გამოგვეცლება“!

**ქვეყანა ხელიდან რესპუბლიკელებს ეცლებათ და ამას თავადაც ხვდებიან, თუმცა ვინ იცის, რა დაგეგმა ივანიშვილმა ან რაზე დაიყაბულეს ჩვენმა ამერიკელმა „მეგობრებმა.“ იქნებ 2012 წელს ნაციონალების გაცილება მხოლოდ დროებითი იყო და ივანიშვილი არც ახლა ჰკრავს ხელს იმ გუნდის წევრებს?! ტყეში „გირჩების“ მეტი რა არის?!**

ნაციონალების დასაფლავების მაგივრად ივანიშვილმა საკუთარ დაპირებებს მიაყარა მიწა და ახლა რესპუბლიკელების გაშვება მხოლოდ მკვდარზე „ვენოკია“.

ამომრჩეველო, ყური უგდე წინასაარჩევნო დაპირებებს და ნუღარ მოტყუვდები! ბიძინამ კი თქვა, 2017 წელი აღმავლობის წელი იქნებაო, მაგრამ ის აღარ დაუზუსტებია, ვინ მოიტანს აღმავლობას და, ვინძლო დავიწყებული ნაცები და ნაცყოფილები არ შეგრჩეს ხელში! აი მაშინ ნახავთ დაპირებულ „განსაცვიფრებელ“ დემოკრატიას!

**თამარ დავითულიანი**

**ქვეყანა ხელიდან რესპუბლიკელებს ეცლებათ და ამას თავადაც ხვდებიან, მაგრამ არავინ იცის, რა დაგეგმა ივანიშვილმა ან რაზე დაიყაბულეს ჩვენმა ამერიკელმა «მეგობრებმა». იქნებ 2012 წელს ნაციონალების გაცილება მხოლოდ დროებითი იყო და ივანიშვილი არც ახლა ჰკრავს ხელს იმ გუნდის წევრებს?! ტყეში «გირჩების» მეტი რა არის?! ნაციონალების დასაფლავების მაგივრად ივანიშვილმა საკუთარ დაპირებებს მიაყარა მიწა და ახლა რესპუბლიკელების გაშვება მხოლოდ მკვდარზე «ვენოკია»**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არათუ ვერ ვეღირსეთ ამ სანუკვარი ოცნების ასრულებას, არათუ ვერ განვახორციელეთ და ვერ მივაღწიეთ მთავარ მიზანს, დღეს, საერთოდ, სხვა მიმართულებით მივდივართ. მეტიც — საქართველო ვერ შედგა, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო და ამას უკვე ბავშვიც ხვდება“.**



# *თემურ ჩალაბაშვილი:* ეს, რაც ახლა გვაქვს, არის ფსევდოსახელმწიფო ფსევდოხელისუფლებით, რაღაც ბუტაფორია, კომიკური წარმონაქმნი

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოეტი თემურ ჩალაბაშვილი ესაუბრება.**

**— ბატონო თემურ, „ქართული ოცნების" თავკაცი ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ მისი მმართველობის ოთხი წლის თავზე ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ბუმი იქნებოდა და ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა. თავი დავანებოთ იმას, რომ დემოკრატიით თვით დასავლეთის გაკვირვებასა და განცვიფრებასაც გვპირდებოდნენ. რეალურად რა გვაქვს, ამ ოთხი წლის შემდეგ რა მივიღეთ?**

— არ ვიცი, რა დავარქვა ამ ყველაფერს, სასოწარკვეთილებამდე მივედი. ვითომ იხტიბარს არ ვიტეხ და იუმორით გადამაქვს ყველაფერი, მაგრამ ვატყობ, არაფერი გვშველის.

**— საზოგადოებაშიც ასეთი განწყობაა?**

— საზოგადოების განწყობა ვის რაში აინტერესებს?! ვერ ხედავთ, რა სახეები აქვთ ხოლმე, ტელეეთერში რომ გამოდიან... მათ რომ ვუყურებ, მგონია, სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ, თითქოს არაფერი ესმით, ვერაფერს ხედავენ. არადა, ჩვენზე უკეთ იციან, რა უბედურებაც ტრიალებს ქვეყანაში.

**— კი მაგრამ, არჩევნები ახლოვდება და საზოგადოების განწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მმართველი ძალისთვის?**

— და ეტყობათ, რომ ხალხზე ფიქრობენ? ერთი გადაწყვეტილება, ერთი ნაბიჯი მითხარით, რომლითაც მოსახლეობის მდგომარეობა გააუმჯობესეს. ანტიდისკრიმინაციული კანონი იქნებოდა თუ მიწის უცხოელებზე გასასხვისებლად მიღებული ცვლილება, ყველაფერი საზოგადოების ინტერესებს ურტყამს. დღეს საქართველო ჭაობშია, ვიძირებით, უფსკრულისკენ მივექანებით...

**— 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წელი სრულდება. დღევანდელი საქართველო ახლოს არის სახელმწიფოებრიობის იმ იდეასთან, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ჰქონდათ? განხორციელდა მათი ჩანაფიქრი?**

— სამწუხაროდ, ის იდეა იდეადვე დარჩა. **ეს საქართველო არ არის ზვიადის, მერაბისა და მათ მხარდამხარ მებრძოლი გმირების ნანატრი ქვეყანა.** როგორი სიყვარულით, როგორი თავდადებით ვიყავით ეროვნულ მოძრაობაში და ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, ნუთუ ამ ყველაფრის მიღმა მხოლოდ ალტყინება იდგა და ქვეყანას არაფერი არ უნდა მომატებოდა?!

**— მთელი ამ ხნის განმავლობაში როდესმე თუ ვიყავით დამოუკიდებლები?**

— პოლიტიკოსი არ ვარ და ანალიზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ, რაც დღეს ხდება, ამას ბევრი ანალიზი არ სჭირდება: ქვეყანა ავად არის, სიცხიანია საქართველო.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, **არათუ ვერ ვეღირსეთ ამ სანუკვარი ოცნების ასრულებას, არათუ ვერ განვახორციელეთ და ვერ მივაღწიეთ მთავარ მიზანს, დღეს, საერთოდ, სხვა მიმართულებით მივდივართ. მეტიც — საქართველო ვერ შედგა, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო და ამას უკვე ბავშვიც ხვდება. ეს, რაც ახლა გვაქვს, არის ფსევდოსახელმწიფო ფსევდო ხელისუფლებით, რაღაც ბუტაფორია, კომიკური წარმონაქმნი...**

**— თქვით, რომ დღეს საქართველო არც კი მიდის დამოუკიდებლობის გზით. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას ძალა და უნარი არ შესწევს თუ ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— სამწუხაროდ, დღეს ძალიან **ბევრ ღირსებადაკარგულ ადამიანს ვხედავ ხელისუფლებაში,** ბევრი ამას არც და ვერც მალავს. ზოგში შეძენის სურვილი ისე მომძლავრდა, მზად არის, მთელი სამყარო დაისაკუთროს. რომ შეეძლოთ, ჩვენს წილ სიცოცხლესაც შეიძენდნენ და ყველას ერთ დღეს გაგვისტუმრებდნენ იმქვეყნად. ამ ადამიანებს არაფერი სწამთ; საკუთარი სტომაქის გარდა, მათთვის ერთადერთი ღირებულება ფულია, იმის იქით ვერაფერს ხედავენ.

**— სწორედ ამ შეძენის სურვილის მომძლავრებით აიხსნება, ალბათ, ყოფილი პრემიერის მიერ ციხისძირში ასწლოვანი ტიტას ხის ამოგლეჯაც.**

— ეს იყო სამარცხვინო ფაქტი. შე კაი კაცო, საქართველო შენია და ხე რა, ცალკეა? ან იმას მაინც ვერ ხვდები, ამ დამშეულ და გაუბედურებულ ქვეყანაში ხალხი კიდევ უფრო რომ არ უნდა გაალიზიანო?! თუმცა, როგორც ჩანს, ამათ ქართველებისგან დაცლილი, დაუძლურებული და გაპარტახებული ქვეყანა უნდათ. გამიზნულად კეთდება ეს თუ გაუაზრებლად, რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტია, რომ მათი მოქმედებითაც და უმოქმედობითაც სახელმწიფო იღუპება...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ერთია ეკონომიკური კოლაფსი და სიდუხჭირე და მეორე — საზოგადოების იდეოლოგიური დაუძლურება. დღეს საქართველოში ეროვნული პოლიტიკა, ფაქტობრივად, მკვდარია. მეტიც,**



## «პაატა ბურჭულაძეს მთავრობა «იავნანა» ჰგონია, მაგრამ ასე რომ არ არის, მერე მიხვდება»

**სიტყვა „ნაციონალიზმი“ ისე გაამარგინალეს, რომ საკმარისია, რომელიმე პოლიტიკოსმა დადებით კონტექსტში ახსენოს, მის იმიჯს სერიოზული ზიანი ადგება. რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ დასავლური ე.წ. ნეოლიბერალიზმი უალტერნატივო იდეოლოგია არ იყოს?**

— პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ეროვნულ საქმეს ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებული პარტიები და ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი ადამიანები აკეთებენ, თორემ კაცმა, რომელიც მილიონის შოვნის სურვილით მოვიდა ხელისუფლებაში, რა სიკეთე უნდა მოუტანოს თავის ერს?! კი, არიან დღევანდელ ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობიდან მოსული ადამიანებიც და, სიმართლე გითხრათ, იყო დრო, მათი მჯეროდა, მაგრამ დღეს რაღა ვთქვა — ყველა თავის ტყავს უფრთხილდება; უბრძანებენ — ყველაფერზე არიან წამსვლელი, ოღონდ თბილად ისხდნენ სავარძლებში და არაფერი მოაკლდეთ. ისე, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რა აზრი აქვს ამ საუბარს, ამ ადამიანებმა ხომ ჩემზე უკეთ იციან, რა სამარცხვინო მდგომარეობაშიც არიან. არ ადარდებთ და მორჩა, ელაპარაკე ახლა ამ უნამუსოებს რამდენიც გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი...

**— „მეოცნებეები“ ამაყობენ, რომ ქვეყანაში შიში და ტერორი არ არის. მათ სწორედ ეს მიაჩნიათ მთავარ მონაპოვრად.**

— **გამოვიდნენ ქუჩაში, ჩასხდნენ სამარშრუტო ტაქსში, ავტობუსში, მეტროში და ნახავენ, რა განწყობაა მოსახლეობაში. ხალხი აღრენილი დადის, ყველა გაბრაზებულია, გაღიზიანებული. ეს უსინდისოები კიდევ გამოდიან და ქართველმა ხალხმა ტოლერანტობა უნდა ისწავლოსო.** ამას ჰქვია ცინიზმი, ამას ჰქვია საზოგადოების აბუჩად აგდება.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად სახელისუფლო გუნდში ცვლილებებია, „ოცნება“ მიყოლებით დატოვეს პოლიტიკურმა სუბიექტებმა, მათ შორის, რესპუბლიკელებმაც. რა პროცესია ეს, რასთან გვაქვს რეალურად საქმე?**

— ეს ლოგიკური პროცესია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოალიცია ყალიბდებოდა, ივანიშვილს პირდაპირ ვკითხე, რესპუბლიკელების იმედი გაქვთ-მეთქი? ისე აგვიხდეს ყველაფერი კარგი, როგორც ეს წინათგრძნობა ახდა. ან როგორ შეიძლებოდა, სხვა მოლოდინი გვქონოდა, მიშას განაყოფი ძმაკაცები იყვნენ და მერე გახდებოდნენ სხვანაირები?!

**— მაშინ ივანიშვილს რატომღა სჯეროდა მათი?**

— და რა იცით, რომ სჯეროდა, იქნებ თავიდანვე ასე იყვნენ შეთანხმებულები. აქ მთავარია შედეგი, ფაქტი კი არის ის, რომ ივანიშვილმა ყველა დასახულ მიზანს მიაღწია; წართმეული მილიონებიც დაიბრუნა და ძალაუფლებაც ჩაიგდო ხელში. წაგებული მხოლოდ ხალხია...

**— მნიშვნელოვანი ცვლილებებია „ნაციონალურ მოძრაობაშიც“, მათ რამდენიმე ახალი წევრი მიიღეს და კულუარებში სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობაზეც საუბრობენ. ამ მხრივ, დიდ იმედს, ალბათ, პაატა ბურჭულაძის პარტიაზე ამყარებენ. არსებობს შესაძლებლობა, რომ მომავალ პარლამენტში „ნაცმოძრაობა“ უმრავლესობით ვიხილოთ?**

— პაატა ბურჭულაძეს მთავრობა „იავნანა“ ჰგონია, მაგრამ ასე რომ არ არის, მერე მიხვდება. ამას ჯიბრით არ ვამბობ, მართლა მედარდება ეს კაცი. ახლა არ მკითხოთ, რატომ, თუნდაც იმიტომ, რომ პაატა ჰქვია.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას, ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. ეს პარტია დიდი ხნის წინათ მოკვდა, პოლიტიკური გვამები კი, როგორც წესი, არ ცოცხლდებიან. ახლა, თუ სასწაული მოხდა და ქართველ ხალხს ტვინი გადაუბრუნდა, ანუ სააკაშვილის დაბრუნება მოითხოვა, ეგ არ ვიცი, თუ არა და, **რაც უნდა ახალი სახეები მიიღონ, იმ ცხრაწლიანი უბედურების დავიწყება შეუძლებელია.** რა თქმა უნდა, ეცდებიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შედეგი ექნებათ ნული. ეს არჩევნები, ალბათ, საბოლოოდ დაასამარებს ამ დანაშაულებრივ პარტიას.

**— დღეს საზოგადოებაში ერთგვარი პოლიტიკური ნიჰილიზმია, „ნაცმოძრაობა“ მიუღებელია, მაგრამ „ოცნების“ რეიტინგიც ეცემა. როგორ ფიქრობთ, არსებობს ან მომავალში შეიძლება გამოჩნდეს ალტერნატიული ძალა?**

— ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო და ქართველი ხალხი უიმედოდ იყოს. მინიშნებებით საუბარი არ მიყვარს, ახლა რაღაცებს ვარკვევ და მალე კონკრეტულად დავასახელებ, ვინ მესახება ჭეშმარიტ ეროვნულ, ხალხზე მზრუნველ, საქმის გამკეთებელ ძალად. ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ არიან ასეთი ადამიანები და მალე უფრო აქტიურად გამოჩნდებიან.

**— დასაწყისში ეროვნულ იდეოლოგიასა და ღირებულებებზე ვსაუბრობდით, დღეს, როცა მიდის გაშმაგებული შეტევა სწორედ ამ იდეოლოგიაზე, ფასეულობებსა და მენტალობაზე, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეკლესია, ცოტა არ იყოს, ინერტულია მიმდინარე პროცესების მიმართ. საზოგადოებაში ხშირად ისმის ხოლმე ამის გამო საყვედური საპატრიარქოს მისამართით. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ბევრი ახლობელი სასულიერო პირი მყავს, კარგად ვიცნობ მეუფეებს და ყოველთვის ვამბობ ხოლმე, ეგ გასაქცევიც რომ არ იყოს, შეიძლება თავი მოვიკლა-მეთქი. ამას მართლმადიდებელი ქრისტიანი ვამბობ. თუმცა თქვენი შეკითხვის პათოსიც მესმის, ეკლესია სულიერი საყრდენია და მისგან სულ უფრო მეტს ველით, გვგონია, რომ მეტი შეუძლია სამღვდელოებას.

**— და რეალურად არ შეუძლია?**

— იცით რა, იქაც არის შეპარული ხალხი და თანაც არაერთი... მივლენ მიღებაზე, გაფაციცებით მოუსმენენ უწმინდესს და მერე საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებენ; პატრიარქს კიდევ მხრებზე იმდენი წელი აწევს, აღარ ძალუძს, ყველაფერს წინ აღუდგეს. ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო, არის რაღაც, რასაც ვერ მოვერევით ადამიანური ძალებით, ბრძოლით. ამიტომაც ქადაგებს ხოლმე მისი უწმინდესობა, რომ ლოცვით გავძლიერდეთ. ლოცვის დროს ხომ ადამიანი ღმერთს ესაუბრება და მხოლოდ ღმერთის ძალით, უფლის ნებით შეიძლება იმ ფარისევლური ძალების ძლევა...

## «ამათ ქართველებისგან დაცლილი, დაუძლურებული და გაპარტახებული საქართველო უნდათ»

**— მაგრამ არის საფრთხეც, რომ სამღვდელოებაში არსებული დაპირისპირებით გარკვეულმა გარე ძალებმა ისარგებლონ.**

— ის ძალები დღესაც სარგებლობენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, მთავარია, საღად მოაზროვნე სამღვდელოება იყოს ფხიზლად და არ მისცეს ზოგიერთ ფარისეველს საშუალება, თავის ხალხი შემოაპაროს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„თავდადებულ მოწამეთა სისხლითაა გაჟღენთილი ჩვენი მიწა და ამ წმინდა მიწაზე სურთ, სოდომისა და გომორის მოქალაქეების მანიფესტირებული მარში გამართონ... საქართველომ არ შეიძლება იზეიმოს და აღნიშნოს გარყვნილების არავითარი ფორმა, რადგან ეს უფლისთვის სათნო არ არის“.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხან «შარლი ებდოა» და ხან — «ფარული ჩანაწერების» გამავრცელებლის მაძებარ-მაგინებელი?

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით, 2014 წლიდან 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა. წელს ამ დღისადმი მიძღვნილი აქცია-მსვლელობა რუსთაველის გამზირზე მშვიდად ჩატარდა. თუმცა „ლგბტ აქტივისტების დამოუკიდებელმა ჯგუფმა“ რამდენიმე „სტრატეგიულ ობიექტზე“ მიიტანა „იერიში“.**

შეგახსენებთ, რომ 17 მაისი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეც არის. „ლგბტ აქტივისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ კატეგორიულად მოითხოვდა აქციის ჩატარების უფლებას რუსთაველის გამზირზე, მაგრამ რაკი იქ უკვე ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება იყო დაგეგმილი, ვერ მოხერხდებოდა. ხელისუფლების შეთავაზებაზე, თბილისის სხვა უბნებში შეკრებილიყვნენ, მათ უარი განაცხადეს. Gგანაწყენებულმა ლგბტ-აქტივისტებმა 17 მაისს, გამთენიისას, საპატრიარქოს კედელზე, ერთი ვერსიით, წარწერის „სიყვარული თანასწორია“ და, მეორე ვერსიით, ფერადი დროშის დახატვა სცადეს. მაგრამ, როგორც ერთ-ერთი აქტივისტი თავის ფეისბუქგვერდზე „განმარტავს“: „სტენსილი, რომლითაც ბოროტი ღორების გაპრიალებულ ღობეს ვაჭრელებდით, იყო არა „სიყვარული ყველაფერია“ და ა.შ.; არამედ მოგი****ნთ ჰომოფობია და ტრანსფობია“.

ამავე დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი არტისტების ჯგუფმა ლგბტ პირების მხარდასაჭერად „სახელმწიფოს უმოქმედობა“ პერფორმანსით გააპროტესტა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სიმბოლურად ცისარტყელას ფერებით მორთული კუბო მიიტანა. პროცესიას წინ მიძღვოდა ანაფორაში გადაცმული არასასულიერო პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგ აქტივისტებმა ლგბტ-თა მოძრაობის სიმბოლო — დროშა ცისარტყელას ფერებში — თბილისის საკრებულოსა და სასამართლოსთანაც გაშალეს.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი საქართველოს მოქალაქეობას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას ეხება. მეცხრამეტე მუხლში ვკითხულობთ, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე, მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“. აქვე ვკითხულობთ, რომ „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“.

ნუთუ 17 მაისს მომხდარი ეს ამბები ქართველი მართლმადიდებლების რელიგიურ გრძნობებს არ აკნინებს?! ნუთუ ეს არ არის მართლმადიდებლების უფლებების შელახვა?! სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საბაბით პერიოდულად რომ ხდება ფარული თუ პირდაპირი შეურაცხყოფა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა, რომ გაურკვეველი ჯგუფები და პიროვნებები მიზანმიმართულად ახორციელებენ რელიგიური სიწმინდეების, ნაგებობებისა და სიმბოლოების შეურაცხყოფას, ხომ არახალია? მაგრამ რატომ დუმს საპატრიარქო (ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელს, დეკანოზ დავით შარაშენიძეს. მან გვიპასუხა, რომ აღნიშნულ თემაზე კომენტარის გაკეთება არ სურს)? რატომ არაფერს ამბობს მომხდარზე სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი? ან სად არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხან „შარლი ებდოა“ და ხან — „ფარული ჩანაწერების“ გამავრცელებლის მაძებარ-მაგინებელი?

ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიო“ აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძეს**, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარსა და დეკანოზს, **კონსტანტინე გიორგაძესა** და ადვოკატ **გაგი მოსიაშვილს** ესაუბრა:



## „არც ზნეობა, არც ერი, არც დედა, არც მამა, არც შვილები — მათ მხოლოდ თავიანთი მუცელი, ასო და საშო აინტერესებთ“

**ელიზბარ ჯაველიძე**, აკადემიკოსი:

— **ეს ხელისუფლება, რომელიც ვითომ ტოლერანტულია, უნდა ვაიძულოთ და, თუ არაფერს გააკეთებს, ხალხმა უნდა ჩამოაშოროს ხელისუფლებას ყველა პედარასტი, ყველა ტვინგადაბრუნებული, ყველა სექსუალურად დაავადებული ადამიანი.** ყველამ უნდა შეიგნოს, რომ უტევენ მართლმადიდებლობას, როგორც ჩვენი ეროვნულობის ბურჯს. მართლმადიდებლობაზე შეტევის იდეა აქ არ დაბადებულა, ის სათავეს იღებს ჩვენი „მეგობარი“ ამერიკიდან და, როგორც შეუტიეს მართლმადიდებელ სერბეთს და ამბობდნენ, როგორ შეიძლება მართლმადიდებლობა არსებობდეს შუა ევროპაშიო, ასე უნდათ, საქართველოშიც მოსპონ ეს რელიგია... ზნეობრივად არ უნდა დამარცხდეს ქართველი კაცი. დიდი შეურაცხყოფაა, როდესაც მე, 80 წელს მიტანებულ კაცს, მეუბნებიან, ჩემს შვილიშვილს ვკითხო: ბაბუ, შენ რომელი გინდა — ქალობა თუ კაცობა? ეს უკვე თავის მოჭრაა. ამ საკითხს ჩვენი პოლიტიკოსები პრინციპულად რომ უდგებოდნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ არაფერი აინტერესებთ — არც ზნეობა, არც ერი, არც დედა, არც მამა, არც შვილები. მათ მხოლოდ თავიანთი მუცელი, ასო და საშო აინტერესებთ. აი, ეს არის დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი და, თუ დროულად არ მოვლენ გონს, ეს პოლიტიკური სპექტრიც უნდა განიდევნოს აქედან.

რა შეუძლია მხოლოდ საპატრიარქოს? მისი პასუხი იყო უწმინდესის მიერ ქართული ტრადიციული ოჯახის დღის დაწესება 17 მაისს. სარწმუნოება ვერ გამოვა ხმლით, საზოგადოება კი დუმს. დუმს იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნე, ტვინგამორეცხილია ტელევიზიების წყალობით.



## „ცრუ დემოკრატიის ნიღბით ლამის სახლებში გვიცვივდებიან“

**დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი**

— **წელს სექსუალური უმცირესობის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს არ მიეცათ რუსთაველის გამზირზე შეკრებისა და მსვლელობის გამართვის საშუალება. ამ გადაწყვეტილებით განაწყენებულები რამდენიმე ადგილას შეიკრიბნენ და სხვადასხვა ფორმით სცადეს პროტესტის გამოხატვა. ერთმა ჯგუფმა თავისი სიმბოლოების ხატვა საპატრიარქოს კედლებზე დაიწყო. არის თუ არა ეს ჩვენი რელიგიისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა?**

— **თავდადებულ მოწამეთა სისხლითაა გაჟღენთილი ჩვენი მიწა და ამ წმინდა მიწაზე სურთ, სოდომისა და გომორის მოქალაქეების მანიფესტირებული მარში გამართონ.**

უფალმა გოგირდის წვიმით დაწვა სოდომისა და გომორის მოქალაქეები და უფლის მიერ ამ ცოდვისადმი ზიზღის დასამტკიცებლად იქ დღეს მკვდარი ზღვაა და ბიოლოგიური სიცოცხლე არ არსებობს. საქართველომ არ შეიძლება იზეიმოს და აღნიშნოს გარყვნილების არავითარი ფორმა, რადგან ეს უფლისთვის სათნო არ არის.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ქართველი სადმე შევარდნოდეს ლგბტ-თა წარმომადგენელს. მათ თავიანთ გარემოცვაში იურიდიული უფლება აქვთ, რაც სურთ, ის აკეთონ, მაგრამ არავითარი უფლება არ აქვთ, თავიანთი სიბილწეები საზოგადოებას მოახვიონ თავს და საპატრიარქო და ეკლესია შეავიწროვონ. წარმოიდგინეთ, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ამგვარად რომ შეურაცხყონ სიწმინდეები, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას?! ჩვენთან კი ცრუ დემოკრატიის ნიღბით ლამის სახლებში გვიცვივდებიან.

— **როგორ უნდა რეაგირებდეს მათ ამგვარ ქცევებზე საპატრიარქო და საზოგადოება?**

— საპატრიარქომ თავისი დამოკიდებულება უკვე გამოხატა, სამოქალაქო წესრიგი კი სახელმწიფომ უნდა დაიცვას.

— **თვლით, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი აქციები მიზანმიმართული ბრძოლაა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ?**

— რა თქმა უნდა, ბრძოლაა, მაგრამ კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არასოდეს შერჩენია. ეკლესია კლდეზეა აშენებული, ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერასოდეს მოერევიან მას.





## „არ შეიძლება ვიღაცის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება კრიმინალურ ქმედებას დაემსგავსოს“

2016 წლის თებერვალში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“ დაისჯებოდა. კანონპროქტი ითვალისწინებდა პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში — 600 ლარით, რელიგიური სიწმინდეებისა და საკულტო ნაგებობების წაბილწვისთვის კი — 500 ლარით. კანონპროექტი არ დამტკიცებულა. დღეს ამ საკითხის სამართლებრივად რეგულირებაზე კომენტარი ვთხოვეთ ადვოკატ **გაგი მოსიაშვილს**:

— **ნებისმიერი პირი, თუნდაც ადამიანური ეთიკის ფარგლებში, ვალდებულია, სიტყვისა და გამოხატვის უფლებას პატივი სცეს. ამასთანავე, უნდა დაიცვას სხვა ადამიანის მრწამსი და არ შეიძლება ვიღაცის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება სამართლებრივად კრიმინალურ ქმედებას დაემსგავსოს.** რა თქმა უნდა, დემოკრატიული ღირებულებაა ის, რომ სიტყვის, აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ყველას თანაბრად ჰქონდეს, მაგრამ უნდა გავავლოთ ხაზი ამ უფლებასა და რელიგიის დისკრიმინაციას შორის. **იმიტომ არის საკანონმდებლო რეგულაციებში მოქცეული რელიგიის შეურაცხყოფა, აღმსარებლობისადმი ხელის შეშლა, რომ ეს იყოს სამართლებრივად შეფასებული.** როცა საქმე გვაქვს მიზანმიმართულ ე.წ სლოგანების გავრცელებასთან, რაც შეურაცხყოფს ამა თუ იმ რელიგიას, ეს, საზოგადოდ, აზიანებს მრევლს. ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების ვალდებულება არის ის, რომ, ერთი მხრივ, პატივი სცეს სხვის აზრს და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება იყოს დაცული; მეორე მხრივ, ნებისმიერმა პირმა, იქნება ეს ათეისტი თუ რომელიმე რელიგიის მიმდევარი, სამოქალაქო საზოგადოებას უნდა სცეს პატივი.

მოამზადა
**ნატალი ბრეგვაძემ**



SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დენის მოხმარების გადასახადის ამოღების ამჟამად მოქმედი მექანიზმის წყალობით თითოეულ შინამეურნეობას ელეტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიები სახელმწიფოს ლოცვა-კურთხევითა და თანხმობით მოსახლეობის ჯიბიდან ყოველთვიურად აცლიან 17.55 ლარს, წელიწადზე გაანგარიშებით კი — 210.6 ლარს.**

# «ქვითრების საქმე»

ფრთხილად!

# «თელასი» გატყუებთ, «სემეკი» კი ხმას არ იღებს

**„ქართული ოცნების“ 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირება №4: დაიწევს ფასი კომუნალურ გადასახადებზე.**
**მე გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას. გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს. ნახავთ, როგორ დაიწევს ფასი ძალიან ბევრ პროდუქტზე: პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ბენზინზე, ელექტროენერგიაზე, სადაც ხელოვნურად აქვთ გაზრდილი ფასები და ფულს აკეთებენ“.**
**მკითხველი, ალბათ, მიხვდა, ეს ფრაზები „ქართული ოცნების“ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, ეკუთვნის. გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას დედაქალაქში მცხოვრები ქალბატონი დაუიკავშირდა. მან გვითხრა, რომ „თელასის“ ქვითრებში, ანუ ელექტროენერგიის გადასახადში შეცდომებია, მაგრამ ვერაფრით გაარკვია ეს შეგნებულად ხდება თუ უნებლიედ. ფაქტია, რომ მის მიერ წარმოდგენილ თითქმის ყველა ქვითარში მომხარებული ელექტროენერგიის საფასური არ ემთხვევა გადასახდელ თანხას, ეს თანხა კი ხშირად ათ ლარზე მეტია. ერთ-ერთი ქვითრით, ქალბატონს 22 ლარით მეტი თანხა აქვს გადახდილი და სწორედ ამან მიიყვანა გადაწყვიტილებამდე, ყველა ქვითარში გამოწერილი თანხა დაეანგარიშებინა.**




ზუსტად 35 წუთს ვესაუბრებოდი ქალბატონს და მასთან ერთად განვიხილეთ „თელასიდან“ მოსული ელექტროენერგიის გადასახადი, მაგრამ თანხების ოდენობა ერთმანეთს კილოვატების „სავარაუდო“ მომატებით ვერ დავამთხვიეთ.

**რას ნიშნავს სავარაუდო თანხა? საქმე ის არის, რომ „თელასის“ თანამშრომლები, რომლებიც მრიცხველების აღრიცხვას აწარმოებენ, თვის ერთსა და იმავე რიცხვში ვერ ახერხებენ მრიცხველის შემოწმებას, სხვაობა ორ-სამ დღეშია, რაც, როგორც ჩანს, „თელასს“ ფასებით მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს — ადგენს „სავარაუდო“ ფასს, რომელიც არ ემთხვევა არც მრიცხველზე და არც ქვითარზე აღრიცხული კილოვატების საფასურს.**

ქალბატონი, რომელმაც ქვითრებში დარღვევა იპოვა, ეცადა, იმ ორ-სამ დღეში, როდესაც აღმრიცხველმა მის მრცხველთან მისვლა ვერ მოახერხა და „თელასმა“ სავარაუდო თანხა გამოიყვანა, დღეში ათი კილოვატის მოხმარება დაეანგარიშებინა, მაგრამ გადასახადი მაინც არ დაემთხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ჩვენებაში“, რომელიც ყველა ქვითარზეა დატანილი, შეცდომა არ არის და წინა თვის მაჩვენებელი მეორე თვისას ემთხვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეცდომა გამორიცხული უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის.

ამ ქალბატონისნაამბობისა და მოყვანილი ფაქტების შემდეგ, ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ხდებოდა ელექტროენერგიის სხვა მომხმარებელთა ქვითრებში და გაირკვა, რომ ცდომილება ყველაშია: ზოგში — ცოტა, ზოგში — ბევრი. ზოგი მომხმარებლის ქვითარში ცდომილება საგრძნობლად დიდი ყოფილა, ადვილად შესამჩნევი და შესაბამისი ზომებიც მიუღიათ. დიდი დავისა და სასამართლოს დახმარებით მომდევნო თვეში ნაკლები გადასახადი მისვლიათ. შეცდომა მხოლოდ ასე „აღმოფხვრეს“. ოჯახი, რომელმაც „ბოლომდე“ იბრძოლა, 70 ლარით იყო დაზარალებული — ქვითარში ცდომილება 70 ლარი იყო.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმ ხნის განმავლობაში, რაც „თელასის“ ქვითრებში დარღვევების შესახებ შევიტყვეთ, ბევრ ადამიანს შევხვდით და თითქმის ყველას ქვითარში აღმოჩნდა დარღვევა, თუმცა მოქალაქეები თვლიან, რომ, თუ თანხა დიდი არ არის, ნერვების წყვეტად არ ღირს, რადგან ერთჯერადად სამართლის მიღწევა არ ნიშნავს, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება.

„მას შემდეგ, რაც 70-ლარიანი ქვითარი გავაუქმებინე, სულ ვაკვირდები თანხას და ვანგარიშობ. ცდომილება მაინც არის, მაგრამ დიდი არა. მცირე თანხაზე სირბილი არ ღირს, სანამ ჩემსას მივაღწიე, ნახევარი სიცოცხლე წამართვეს, იმდენი მარბენინეს, ის 70 ლარი გზაში დამახარჯვინეს. ასე რომ, არ ღირს მცირე თანხაზე სირბილი,“ — განგვიმარტა ოჯახის უფროსმა, რომელსაც ელექტროენერგიის გადასახადი 70 ლარით მეტი გამოუწერეს.

სამწუხაროდ, ასევე ფიქრობს ქალბატონი, რომელიც დაგვიკავშირდა და „ქვითრების საქმით“ დაგვაინტერესა. **„სემეკსა“ და „თელასს“ შორის სარბენად, არც დრო მაქვს და არც ნერვები, მაგრამ, რომ ვიცოდე, ჩემი სირბილით პრობლემას სამუდამოდ აღმოვფხვრი, აუცილებლად წავალ. ამიტომაც მოგმართეთ თქვენ — იქნებ ამ პრობლემის საჯაროდ გამოტანამ ხელისუფლება და ხალხი გამოაფხიზლოს. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ „თელასი“ გვატყუებს, „სემეკი“ კი ხმას არ იღებს. ფხიზლად ვიყოთ, ხალხო!“,** — განაცხადა „თელასის“ აბონენტმა.

„თელასის“ ქვითრებში არსებული დარღვევების ყველა წვრილმანის გულდასმით განხილვის შემდეგ, დიდუბეში მდებარე „თელასის“ ცენტრალურ ოფისს ვეწვიეთ ქვითრებით ხელში და პასუხისმგებელ პირთან შეხვედრა მოვითხოვეთ, მაგრამ ამაოდ...

კოსტიუმში გამოწყობილმა გოგონამ, რომელმაც გვარსახელი არ გაგვიმხილა, აგვიხსნა, ნებისმიერ დარღვევაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიას უნდა მიმართოთო და დასძინა; **„ასეთი შემთხვევები ბევრი არა, მაგრამ ყოფილა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მექანიკური შეცდომაა და სხვა არაფერი. გარწმუნებთ, რომ ყველაფერი გამოსწორდება და თქვენ არც ერთ კაპიკს არ დაკარგავთ“.** ამის შემდეგ „თელასის“ ვებგვერდზე პრესასთან ურთიერთობისთვის მითითებულ ნომრებზე ვინმე **ვალერი ფანცულაიასთან** დაკავშირებას შევეცადეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცხელი ხაზია და ავტომატმა გვიპასუხა: „სამწუხაროდ, ყველა ოპერატორი დაკავებულია, დარეკეთ მოგვიანებით“.

ბოლოს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მთავარ ექსპერტს დავუკავშირდით — **სერგო ლაცაბიძეს:**

**— ბატონო სერგო, „თელასს“ ბევრი მომჩივანი ჰყავს. აბონენტები ამბობენ, რომ გახარჯულ ელექტროენერგიასა და გადასახადს შორის დიდი ცდომილებაა...**

— დიახ, ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. დავების განყოფილებაში 90-95% პროცენტი ზუსტად ასეთი საქმეებია, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ მომხმარებელი თითქმის ყოველთვის მართლდება, ამიტომ ყველას ვურჩევ, ჩვენი კომისიის დავების განყოფილებას მიმართოს.

**— იმედია, გეცოდინებათ, რომ ბევრმა მიმართა, გასწორდა ცდომილებაც, მაგრამ მოგვიანებით ისევ განმეორდა. რას აკეთებს ასეთ შემთხვევაში მარეგულირებელი კომისია?**

— როდესაც კომპანია ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, ვაჯარიმებთ. „თელასიც“ ხშირად დაგვიჯარიმებია. დიდ კომპანიებს დიდი რესურსი აქვთ, ამიტომ, როდესაც დაუცველ მოსახლეობას ხედავენ, „მოჭარბებულ რესურს“ ცუდად იყენებენ.

**რა ცდომილებებია კომუნალური გადასახადების ქვითრებში? — ამ შეკითხვით მივმართეთ სტატისტიკოსს, პროფესორ იოსებ არჩვაძეს:**

— მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მტკივნეულ თემას შეეხეთ... დავიწყებ იმით, რომ მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გადასახადების ამოღების დღეს მოქმედი სატარიფო სისტემა, ჩემი აზრით, უსამართლო და რეპრესიულია. თვითონ განსაჯეთ: **101 კვტსთ-ის ჩათვლით ტარიფი 12.980 თეთრია; 101-ზე მეტი კვტსთ-ის მოხმარების შემთხვევაში, 301 კვტსაათის ჩათვლით, ამ 301 კვტსთ-იდან უკვე 16.992 თეთრი ღირს, ხოლო 301 კვტსთ-ზე მეტის მოხმარებისას – ყოველი, ხაზს ვუსვამ, ყოველი მოხმარებული კვტსთ — 21.476 თეთრი.**

### «ელექტროენერგიაზე გადასახადების ამოღების მოქმედი სატარიფო სისტემა უსამართლო და რეპრესიულია»

მაგალითად, **თუ მოიხმარ 101 კვტსთ-ს, გადასახდელი გექნება 13.11 ლარი (101 X 0.1298), ხოლო ამაზე ერთი კილოვატ-საათით მეტის მოხმარების შემთხვევაში, ანუ მთლიანობაში 102 კილოვატ-საათის მოხმარებისას, უკვე 17.33 ლარი, ანუ ერთი კილოვატით მოხმარების გაზრდა დენის გადასახადს ზრდის 4.22 ლარით (17.33 – 13.11).**

ანალოგიური ვითარება, თუ მოხმარება გაიზრდება 301 კვტსთ-დან 302 კვტსთ-მდე. 301 კილოვატ სთ-ის მოხმარებისას მთლიანად გადასახდელი იქნებოდა 51.15 ლარი, ხოლო 302 კილოვატ საათის მოხმარებისას — უკვე 64.86 ლარი, ანუ 13.71 ლარით მეტი.

მოკლედ, ხატოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ მომხმარებელთათვის ყოველთვიურად, 102-ე და 302-ე კვტსთ მოხმარებულ ელექტროენერგიას თითქმის საკრალური დატვირთვა აქვს, ერთ შემთხვევაში, კვტსთ ელეტროენერგია აძვირებს მოხმარებას 5.15 ლარით, მეორე შემთხვევაში — 13.71 ლარით.

**საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია, რომ, მეტი საქონლის მოხმარების შემთხვევაში, საქონლის ერთეული უფრო იაფი ღირდეს.**

**განხილულ შემთხვევაში ეს პრინციპი თავდაყირაა დაყენებული — ელექტროენერგიის მოხმარების ზრდისას სამომხმარებლო დოვლათის ერთეული (კილოვატსაათი) უფრო ძვირი ჯდება. ლაპარაკი აღარ არის პროპორციულ გადასახადზე. ამას პროგრესული გადასახადიც აღარ ეთქმის. ვიმეორებ: ეს რეპრესიულია თავისი შინაარსით და ელექტროენერგიის წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესში დაუმსახურებელი მოგების მიღებას ემსახურება.**

ტარიფი რომ მართლაც პროგრესული იყოს, ანუ მოხმარებული პირველი 101 კვტსთ მხოლოდ 12.98 თეთრი ღირდეს, მომდევნო 200 კვტსთ (102-დან 301 კვტსთ-მდე) — 16.992 თეთრი, ხოლო 301 კვტსთ-ზე მეტის მოხმარებისას — 21.476 თეთრი, მოსახლეობა შვებას იგრძნობდა. ▶

**კორცხელის ინციდენტის მთავარი მიზეზი იმ პროცესში უნდა ვეძიოთ, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარდა, როდესაც სამართლიანობის აღდგენის დაპირებით ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“, ქართველი ხალხის თავზე დატრიალებული უბედურებების გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯის ნაცვლად, ამ უბედურებების შემოქმედ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაციურ რეჟიმში დაიწყო თანამშრომლობა. შედეგად, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული და დასავლეთის მიერ წაქეზებული ნაციონალები დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერების დაკითხვასა და გასამართლებას ითხოვენ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄ კერძოდ:
საქართველოს ერთი შინამეურნეობის მიერ დენის საშუალო მოხმარება თვეში დაახლოებით 450 კვტსთ-ია, ანუ დღეს მოქმედი საგადასახადო მექანიზმის „წყალობით“ — 96.64 ლარი, ხოლო თუ დენის ტარიფი პროგრესული იქნებოდა, მაშინ გახდებოდა 79.09 ლარი (= 101 X 0.12980 + 200 X 0.16992 + 149 X 0.21476). ანუ, **დენის მოხმარების გადასახადის ამოღების ამჟამად მოქმედი მექანიზმის წყალობით, თითოეულ შინამეურნეობას ელეტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიები სახელმწიფოს ლოცვა-კურთხევითა და თანხმობით („დამოუკიდებელი“ მარეგულირებელი კომისიები იქმნება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე) მოსახლეობას ჯიბიდან ყოველთვიურად აცლიან 17.55 ლარს, წელიწადზე გაანგარიშებით კი — 210.6 ლარს.**

ეს — ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით.

საქართველოში კი ერთ მილიონზე მეტი შინამეურნეობაა.

თანაც, ჩვენ აქ ხომ საერთოდ არ ვსაუბრობთ იმაზე, რამდენად სამართლიანადაა მოქმედი ტარიფები შედგენილი.

არ ვსაუბრობთ, ასევე, მარეგულირებელი კომისიების (არა მხოლოდ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების) წევრთა (რომელთაგან ზოგიერთმა ეს თანამდებობა წინა, პარტიული მოღვაწეობისას გამოჩენილი ერთგულებისთვის მიიღო), ფაქტობრივად, რენტული ტიპის საარაკო სიდიდის ხელფასებზე.

ეს, რაც შეეხება მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გადასახადის დარიცხვის წესს.

დენის კონტროლიორთა შემოვლის თარიღებს შორის შეიძლება არ იყოს სრული თვე გასული, მაგალითად, პერიოდი 30 მარტსა და 28 აპრილს შორის, და მრიცხველმა ამ 28 დღეზე აჩვენოს მხოლოდ 98 კვტ.სთ-ის მოხმარება. ამ 28 დღეზე იანგარიშება საშუალო სადღეღამისო მოხმარება (98:28 = 3.5) და მიღებული რიცხვი მრავლდება 30-ზე (თვის სრულ დღეთა რიცხვზე). ამ პირობებში ოჯახის გადასახადი დაანგარიშებული იქნება, როგორც თვეში 101 კვტ.-სთ-ზე მეტის მოხმარების შემთხვევა (3.5 X 30 = 105) და 98 კვტსთ, ფაქტობრივად, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გადასახდელი იქნება მეორე კატეგორიის ტარიფით, ანუ 98 X 0.16992 =**16.65 ლარი**, და **არა 12.72** ლარი, რამდენიც იქნებოდა გადასახდელი პირველი კატეგორიის შემთხვევაში.

მაგრამ, ვიმეორებ, **„ძაღლის თავი“ დამარხულია არა დენის გადასახადის სრულ თვემდე შევსებაში, არამედ მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის ზემოხსენებულ დრაკონულ, უსამართლო, რეპრესიულ ფორმაში, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# არასამთავრობო სექტორი თუ მეხუთე კოლონა?

**ჯერ კიდევ ოპოზიციონერი სააკაშვილის მთავარი მოკავშირეები ე. წ. ასო-ები იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ე.წ. კმარა, რომლებმაც შევარდნაძის დამხობაში დიდი როლი ითამაშეს, მაგრამ ეს, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ პროგრამა-მინიმუმი იყო. მაქსიმუმისთვის კი მხოლოდ „კმარა“ და საია აშკარად არ კმაროდა. ამიტომ სააკაშვილის მმართველობისას, როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე „ამოთესლდნენ“ ასო-ები და იმდენი, რომ მათი ზუსტი რაოდენობა ძნელი დასადგენია.**


ნინო ლომჯარია


ეკა გიგაური

ჰოდა, შეუდგნენ კიდეც პროგრამა მაქსიმუმის შესრულებას, ერთი მხრივ, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი და, მეორე მხრივ, ფაშიზმის „გამპრავებელი“ ასო-ები:

**გააუქმეს ეროვნული კუთვნილების გრაფა დაბადების მოწმობებსა თუ პასპორტებში; მოსპეს ათწლეულებში გამოცდილი განათლების, თუნდაც საბჭოური (დიახ, თუნდაც, რადგან, მიუხედავად საბჭოურობისა, არა მხოლოდ ზოგად განათლებას ვიღებდით იმჟამინდელ საშუალო სკოლებში, არამედ, რაც უმთავრესია, სამშობლოს პატრიოტებად გვზრდიდნენ მასწავლებლები, აღარაფერს ვიტყვი უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებშიც მართლაც ფუნდამენტურ განათლებას ვიღებდით) სისტემა და სანაცვლოდ უნარჩვევები შემოგვაჩეჩეს; გაანადგურეს ეროვნული სამეცნიერო სკოლა, რომელიც მოწინავე იყო საბჭოეთში და ე.ი. მსოფლიოშიც.**

და მთავარი — **სააკაშვილის რეჟიმმა ჩვენი შვილების, სულ ცოტა, ორი თაობა წაგვართვა, ანუ ისინი, ვინც 2003 წელს 10-12 წლისანი იყვნენ და დღეს ყმაწვილები არიან. მათი დიდი ნაწილი სრულიად დაცლილია პატრიოტიზმის, ეროვნულობის, რელიგიურობის განცდისგან, რადგან მიშას ბუჩქებში მიღეს „განათლება“.**

ამას დავუმატოთ 7 ნოემბერი თუ 26 მაისი, 2008 წლის სამხედრო ავანტიურა და შედეგად ცხინვალ-სოხუმის დე ფაქტოსთან ერთად, დე იურე დაკარგვაც, პლუს ახალგორი და კოდორი, 300 ათასზე მეტი მოქალაქის ციხეებში გამომწყვდევა, ათასობით ქართველის გაუპატიურება, ათობით ახალგაზრდის ქუჩაში დახვრეტა... **კიდევ რომელი დანაშაული გავიხსენოთ სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი მონაგარიდან, რომლებზეც სიტყვა არ დასცდენიათ კაპიტან ეკა გიგაურსა და ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას ან საიას, ახლა „კაბელების საქმის“ გამო ნიფხვიდან რომ ხტებიან?..**

**ლომჯარია-გიგაურები დღესაც ყოფილი ხელისუფლების მოკავშირეები არიან, უფრო მეტიც — ნაცების ხელისუფლების სარესტავრაციოდ იღვწიან შინ თუ გარეთ.** ეს უვიცები ყველაფერზე აკეთებენ კომენტარს და რეკომენდაციებსაც არ იშურებენ: ხშირად მოისმენთ, — პრემიერმა თუ პრეზიდენტმა კონსულტაციები გამართა ან უნდა გამართოს ასოებთანო. რას ჰგავს ეს, **ვინ არიან ეს დასავლეთის გრანტებით აღზევებული უზიოგრაფიო არარაობები?**

ან ისინი ვინ ბრძანდებიან, ვინც კონსულტატიებს გადის ასოებთან? — პრემიერი **კვირიკაშვილი** იქნება, პრეზიდენტი **მარგველაშვილი** თუ პარლამენტის სპიკერი **უსუფაშვილი,** ყველანი ერთად თუ ცალ-ცალკე, ბიძინა ივანიშვილის მიერ აღზევებული არარაობები.

ამას წინათ ამ ვაჟბატონებს ასოებმა ერთობლივად მიმართეს მოთხოვნა-რეკომენდაციით, რომ აიკრძალოს რუსული არხების მაუწყებლობა, რადგან მათ გამო თურმე პრორუსული განწყობა მატულობს საქართველოში.

**ნეტავ, რომელ დემოკრატიაში „ჯდება“ ასოების მიმართვა, ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიაში ხომ არა?**

აღსანიშნავია, რომ, სანამ ხსენებული უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები ასოთა „რეკომენდაციას“ გაითვალისწინებდნენ, მათ მოთხოვნას უკვე გამოეხმაურა ამ ბიზნესის მონოპოლისტი საკაბელო ტელევიზია „სილქნეტი“ და 1 ივნისიდან წყვეტს „რაშა თუდეი“-სა და „როსია 24“-ის მაუწყებლობას საქართველოში.

**რა არის ეს? დემოკრატიის დროშით საით მიგვაქანებენ ასოები, დემოტრაკიისკენ ხომ არა? 21-ე საუკუნეში კაპიტანმა გიგაურმა და ეფრეიტორმა ლომჯარიამ, ამ პოლიტიკურმა კურტიზანებმა, უნდა დამიდგინონ, რას ვუყურო და რას არა?**

ან რომელ რუსულ ტელეპროპაგანდაზეა საუბარი, იმ არხების გადაცემებზე ხომ არა, რომელთა ცქერის ფუფუნება, დიდი-დიდი, მოსახლეობის 1/3 ჰქონდეს, ხოლო სრულიად საქართველო უყურებს „რუსთავი 2“-ს, „იმედს“, „იბერიას“, საზმაუწყებელს, „მაესტროს“, ანუ ე. წ. ნაციონალურ არხებს, რომლებიც დღედაღამ რუსეთის ლანძღვით არიან დაკავებულნი?!

**და თუ მაინც რუსული არხების „ტყუილებისა“ უფრო სჯერა საქართველოს, ვიდრე „რუსთავი 2“-ის „სიმართლისა“, იქნებ სხვაგან გვეძებნა პრორუსული განწყობების მატების მიზეზები? როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და იქნებ სულაც არ არის უსაფუძვლო პრორუსული განწყობების მატება?**

ამ საფუძველს წლების განმავლობაში დასავლეთით (წაიკითხე, აშშ და ნატო) იმედგაცრუება ხომ არ ჰქვია, ჯერ საკუთარი გამოცდილებით და შემდეგ უკრაინის მაგალითზე?

ამ სიმართლეს ის ხომ არ ჰქვია, დასავლეთის მიერ ჩვენი დედა-ეკლესიის შეურაცხყოფის დაფინანსების ფონზე, სოდომური გარყვნილების მეტი რომ არაფერი შემოდის ჩვენში ევროპა-ამერიკიდან და ამ დროს რუსეთი რომ არის ევროპაში ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც კანონით არის აკრძალული გეიპროპაგანდა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ლაპარაკიც ზედმეტია?

**ერთნაირსქესიანთა ქორწინება** გასული წლის 26 ივნისს დაკანონდა ამერიკაში და ამ გარყვნილების მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ლეგალიზება საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად დაისახა ჩვენმა სტრატეგიულმა მოკავშირემ.

**ერთნაირსქესიანთა ქორწინება** საქართველოშიც რომ დაკანონდეს, ამისთვის ჯერ გეიაღლუმი უნდა ჩაატარონ თბილისში, რასაც 2012 წლიდან ცდილობენ, მაგრამ, მიუხედავად ამერიკიდან მიღებული დიდძალი ფულისა, ჩვენმა ასოებმა ოკეანისგაღმელ პატრონებს ოცნება ვერ აუსრულეს.

ანალოგიურის თქმა ე. წ. სახალხო დამცველზეც შეიძლება: **უჩა ნანუაშვილი** მხოლოდ პედერასტების, იეღოველებისა და სატანისტების უფლებებს რომ იცავს, ნორმალური ორიენტაციის ქართველებს არ გვაქვს უფლება, ჩვენი ეკლესია, რელიგიური მრწამსი დავიცვათ და პასუხი მოვთხოვოთ საპატრიარქოს წამბილწველ პედერასტებს?

ერთი სიტყვით, უპრიანი მგონია, რომ სახალხო დამცველიც ასოთა მეხუთე კოლონას, გნებავთ, საქართველოს დაუძინებელ მტრებს მივაკუთვნოთ...

როგორც კი სოფელ კორცხელში ნაცები გალახეს, დამნაშავეთა დასჯა უმალ მოითხოვეს ასოებმა და უეჭველად ასევე მოიქცევა უჩა ნანუაშვილიც.

ალბათ, თავისუფალი დემოკრატებიც გამოუცხადებენ სოლიდარობას ნაცებს და, თუ ასე მოხდა, ალასანია-ბოკერიას ალიანსი ოფიციალურად გაფორმდება.

**დავით მხეიძე**

# კორცხელის ინციდენტი — კოაბიტაციის შედეგი

**22 მაისს საქართველოს 9 საარჩევნო ოლქში (45 უბანზე) გამართულ შუალედურ არჩევნებს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელში, 53-ე საარჩევნო უბნის შესასვლელთან ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები.**



დაშავდა „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრი, მათ შორის, **ნიკა მელია, გიგა ბოკერია** და **თენგიზ გუნავა.** „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტში მონაწილეობდნენ თბილისიდან ჩაყვანილი მოჭიდავეები და მორაგბეები. ნაციონალებმა თავდასხმის ორგანიზებაში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცეპრემიერი **კახა კალაძე,** აგრეთვე, ყოფილი პრემიერმინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** დაადანაშაულეს და მათი დაკითხვა მოითხოვეს.

კახა კალაძემ და „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებმა კი პროვოკაციის მოწყობაში „ნაციონალური მოძრაობა“ დაადანაშაულეს.

კორცხელის სამარცხვინო ინციდენტმა დაადასტურა, რომ არც ამჟამინდელი ხელისუფლება ამბობს უარს იმ მეთოდებზე, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმი იყენებდა 9 წლის განმავლობაში, და ეს ძალიან სახიფათო ტენდენციაა.

**დღეს ბევრი ფიქრობს, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა კორცხელში ის მოიმკეს, რასაც თვითონ თესდნენ წლების განმავლობაში, მაგრამ ქვეყანაში ძალადობის ესკალაციამ შეიძლება კიდევ ერთი სამოქალაქო ომი გამოიწვიოს, რომელიც საბოლოოდ დაღუპავს ტერიტორიაშემოძარცვულ და გაღატაკებულ ქვეყანას, ამიტომ კორცხელის ინციდენტი აუცილებლად უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ, რომელიც პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება, მათ შორის, პროვოკაციის (როგორც თვითონ განაცხადეს) აღკვეთაზეც.**

კორცხელის ინციდენტის მთავარი მიზეზი იმ პროცესში უნდა ვეძიოთ, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარდა, როდესაც სამართლიანობის აღდგენის დაპირებით ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“, ქართველი ხალხის თავზე დატრიალებული უბედურებების გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯის ნაცვლად, ამ უბედურებების შემოქმედ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაციურ რეჟიმში დაიწყო თანამშრომლობა. შედეგად, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული და დასავლეთის მიერ წაქეზებული ნაციონალები დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერების დაკითხვასა და გასამართლებას ითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ კორცხელში, სადაც დაპირისპირება მოხდა, არჩევნებში მონაწილეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ორი წარმომადგენელი: „ნაცმოძრაობის“ სახელით **ვარდებულ ლაშხია** და „ნაცმოძრაობიდან“, როგორც ამბობენ, „ქართულ ოცნებაში“ „გადაპორტირებული“ **ამირან ლაგვილავა**, რომელიც ნაციონალების „სრულუფლებიან“ წარმომადგენელთან 11 ხმით დამარცხდა...

ამაზეა ნათქვამი: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

**ნიკა კორინთელი**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოცმუშაკთა ინსტიტუტის დაფუძნება მკვეთრად მიუღებელი და დაუშვებელია, რადგან, მისი შექმნისა და ამოქმედების შემთხვევაში, ვშიშობთ, იგი გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას საზოგადოებაში; მის დაპირისპირებას, როგორც სოცმუშაკებთან, ისე ხელისუფლებასთან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ მშვიდობას, მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.**

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს



# შენიშვნები საქართველოს კანონის მიმართ «ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (შემდგომ კანონპროექტი) მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოებაში.**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონში შედის ცვლილებები, კერძოდ: შედის ე.წ. სოციალურ მუშაკთა ინსტიტუტი, რომელიც დიდი უფლებებით იქნება აღჭურვილი. სოცმუშაკს ენიჭება უფლება, რომ მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისით, სასამართლოს გვერდის ავლით, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახიდან ბავშვის გაყვანაზე. ეს გადაწყვეტილება აღსასრულებლად სავალდებულო ხდება პოლიციისთვის. აი, ამონარიდები კანონპროექტიდან:

**„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)... შემთხვევებში, სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, არასრულწლოვანი განცალკევდება მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან... გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური მუშაკი ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, მსხვერპლის გამოკითხვას, შემთხვევის შეფასებას და... იღებს გადაწყვეტილებას განცალკევების შესახებ... სოციალური მუშაკი განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მიმართავს პოლიციას, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას“** (კანონპროექტი, 4. მე-14 მუხლის ახალი რედაქცია). **„სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, პოლიცია იღებს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს“** (კანონპროექტი, 6, გბ, მე-6 პუნქტი).

ამგვარად, **გამოძიების ფუნქციებს — ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, მსხვერპლის გამოკითხვას, შემთხვევის შეფასებას — სოცმუშაკი მარტოდმარტო ასრულებს და ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას ისეთი ტრაგიზმით აღსავსე აქტის შესახებ, როგორიცაა ბავშვის გაყვანა ოჯახიდან. ასეთი უფლებები და სუბიექტივიზმი, რომელიც ნებისმიერ ინდივიდს ახასიათებს, ერთმანეთთან ყოვლად შეუსაბამო და დაუბალანსებელია. შესაბამისად, ყოვლად დაუშვებელია ისეთი უაღრესად ფაქიზი სფეროსთვის, როგორიცაა ოჯახი, მშობლებისა და შვილების ურთიერთობა.** კანონპროექტში არ ჩანს სოცმუშაკის პასუხისმგებლობის საკითხი უნებლიე თუ მიზანმიმართული ტენდენციურობის გამოვლენის შემთხვევაში, როგორიცაა სასჯელი უფლებების ბოროტად გამოყენებისას, არც რაიმე მითითებაა ამ საკითხზე. ასევე არ არის აღწერილი, როგორია სოცმუშაკის მიმართ უნდობლობის გამოცხადებისა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები, პროცედურები და ა.შ.

ოჯახიდან გაყვანილი ბავშვის დაკითხვაზე ძალადობაში ეჭვმიტანილი პირის დასწრების აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს ოჯახის სხვა წევრებსა თუ კანონიერ წარმომადგენლებზე **მხოლოდ სოცმუშაკის ეჭვის** საფუძველზე, ასევე, ყოველგვარი ძიებისა და მტკიცებულების გარეშე (კპ, 7, 17-ე მუხლის მე-3 პუნქტი), ანუ ბავშვი, ფაქტობრივად, შეიძლება მარტოც დაიკითხოს. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი დაკითხვისას სოცმუშაკს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ოჯახიდან ბავშვის გაყვანაზე, გაუჭირდება, იყოს ნეიტრალური და ობიექტური, და შეიძლება შეეცადოს ბავშვისგან ისეთი ჩვენების მიღებას, რომელიც გაამართლებს ოჯახიდან ბავშვის გაყვანის მისეულ გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, კანონპროექტში აღწერილი **უფლებებით აღჭურვილი სოცმუშაკის არსებობის შემთხვევაში მოქმედ კანონში მოცემული ტერმინები კარგავს სიცხადესა და მდგრადობას, განსაკუთრებით — ტერმინები, რომლებიც აღწერს ძალადობას, რადგან ჩნდება სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.**

დღეს მოქმედი კანონმდებლობით უწყებათაშორისი სააგენტოს წევრი სოცმუშაკი არ არის ასეთი ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებით აღჭურვილი. კანონპროექტში არ არის დასაბუთებული, რატომ შეიქნა აუცილებელი ახალი სამსახურისა და ახალი პერსონის შემოყვანა ამ მეტად მგრძნობიარე სივრცეში. **თუ მიზანი ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ოპერატიული, სწრაფი რეაგირების მექანიზმების შექმნაა, მაშინ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, როგორც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, აგრეთვე, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულებით (ბრძანება №152/ნ — №496 — №45/ნ 2010 წლის 31 მაისი ქ. თბილისი) ასეთი მექანიზმები სავსებით საკმარისია.**

ცინიზმის შემცველია კანონპროექტის შემდეგი ნორმა: „ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (კანონპროექტი, 4, მუხლი 14, 6-ე პუნქტი), ანუ მკვიდრდება პრინციპი: **„მე ოჯახიდან წავიყვან ბავშვს, თუ მინდა, მარტოსაც დავკითხავ და მერე შენ, თუ გინდა, მიჩივლე“. ამასთანავე, კანონპროექტი სასამართლოში ჩივილისა და სამართალწარმოების ტვირთს ოჯახს აკისრებს, არადა, მოქმედი კანონმდებლობით ამ ტვირთს სახელმწიფო ეწევა. და ეს იმ ფონზე, როდესაც სოცმუშაკის პასუხისმგებლობაზე სიტყვაც არ არის დაძრული.** რომც იყოს პასუხისმგებლობის საკითხი აღნიშნული და მკაცრი სასჯელიც დაწესებული, ეს მაინც ვერ აანაზღაურებს იმ ტრაგედიას, სტრესებს, ფსიქოლოგიურ ტრავმებსა და ნერვების წყვეტას, რომლებსაც სოცმუშაკის გაუმართლებელი გადაწყვეტილება გამოიწვევს. რა სახითაც უნდა იყოს კანონი მიღებული, ნებისმიერ შემთხვევაში, **სასამართლოს ხარჯები სახელმწიფომ უნდა გაიღოს.**

კანონპროექტში **არ არის გათვლილი,** რამდენი სოცმუშაკი იქნება საჭირო საზოგადოდ, რა სამსახური იქმნება, რა ერქმევა, როგორი იქნება უწყებრივი დაქვემდებარება, როგორი იქნება შერჩევის კრიტერიუმები (მხოლოდ ზოგადი ფრაზაა), ვინ შეარჩევს მათ და რა პროცედურებით, რა ვადით, როგორ იქნება უზრუნველყოფილი სოცმუშაკისადმი საზოგადოების ნდობა, ასევე, როგორია სოცმუშაკისადმი უნდობლობის გამოცხადებისა და აღსრულების მექანიზმები.

მეტად **საეჭვოა იმის მტკიცება,** რომ ასეთი ინსტიტუტის შექმნა და ფუნქციობა, რაც აუცილებლად გამოიწვევს მთელი სისტემის შექმნას, მსგავსად დასავლეთის ქვეყნებში მოქმედი **იუვენალური იუსტიციის** უზარმაზარი სისტემისა, არ საჭიროებს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს. კანონპროექტში მხოლოდ დაუსაბუთებელი მტკიცებაა ამ საკითხზე და არანაირი გათვლა.

ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ სოცმუშაკთა ინსტიტუტის შექმნა იმ უფლებებით, როგორც ეს კანონპროექტშია მოცემული, კიდევ იმიტომ არის კატეგორიულად დაუშვებელი, რომ ამით იქმნება **ოჯახებზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი.** ეს კი გარკვეულ სამსახურსა და თვითონ ხელისუფლებას შეუქმნის საცდურს, გამოიყენოს ეს იარაღი სხვა მიზნებისთვის. **კანონი არ უნდა იძლეოდეს ისეთ უფლებებს, რომელთა პირობებშიც მხოლოდ პიროვნებისა თუ პიროვნებების კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული, გამოიყენებს ამ უფლებებს ოჯახების შანტაჟისა და კონტროლისათვის თუ არა.**

ჩვენ, სასულიერო პირები, დარწმუნებულიც რომ ვიყოთ, სოცმუშაკები მთლიანად მართლმადიდებლებით დაკომპლექტდება, რომლებსაც მცნებად არა მხოლოდ მოყვასის, არამედ მტრის სიყვარული და კეთილისმყოფელობაც აქვთ, მაინც **მიუღებლად მივიჩნევდით ასეთი ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე პირისა და ინსტიტუტის შემოღებას,** რადგან, როგორც აღვნიშნეთ, **ასეთი უფლება აჩენს ტენდენციური გადაწყვეტილების მიღების ცდუნებას განსხვავებულის მიმართ.** არც იმას გამოვრიცხავთ, რომ კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში ტენდენციურობის სამიზნე სწორედ უმრავლესობა გახდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ კანონპროექტით განსაზღვრული **სოცმუშაკთა ინსტიტუტის დაფუძნება მკვეთრად მიუღებელი და დაუშვებელია, რადგან, მისი შექმნისა და ამოქმედების შემთხვევაში, ვშიშობთ, იგი გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას საზოგადოებაში, მის დაპირისპირებას როგორც სოცმუშაკებთან, ისე ხელისუფლებასთან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ მშვიდობას, მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.**

არ შეგვიძლია, არ გამოვთქვათ ჩვენი უკმაყოფილება კანონის მიღების პროცედურის მიმართ. **კანონი, რომელიც შეეხება ოჯახებს, ანუ, ფაქტობრივად, მოიცავს საზოგადოების უდიდეს ნაწილს, არ უნდა იქნას მიღებული ფართო, საზოგადოებრივი განხილვის გარეშე. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ ოჯახების უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოა, მისი მიღება ეკლესიის აზრის გაუთვალისწინებლად ყოვლად დაუშვებელია, რადგან წარმოადგენს უპატივცემლობას ეკლესიის მიმართ, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის იგნორირებას, ვინაიდან ეკლესია, სახელმწიფოსთან, ხელისუფლებასთან ერთად, თანაბარუფლებიანი სუბიექტია, რომლის აზრის გარეშეც არ უნდა ხდებოდეს რაიმე მნიშვნელოვანი კანონის მიღება, მით უმეტეს კანონისა, რომლის მოქმედების არეალის უდიდეს ნაწილს სწორედ ეკლესიის სამწყსო შეადგენს.** ამასთანავე, როდესაც კანონის განხილვა და მიღება იგეგმება ვნების კვირასა და ბრწყინვალე შვიდეულში, როდესაც მორწმუნე ერი, მთლიანად ეკლესია ჩართულია წინასააღდგომო და აღდგომის შემდგომ ღვთისმსახურებებში, ეს ეკლესიისა და ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის უპატივცემლობაა. აქედან გამომდინარე, **ვითხოვთ, რომ კანონის მიღებამდე მოხდეს კანონპროექტის საჯარო განხილვა.**

კიდევ უფრო გაუგებარი და შემაშფოთებელია ის, რომ ეკლესიის იგნორირების ფონზე კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა ისეთი რელიგიურად მოტივირებული ორგანიზაცია, როგორიც **„კარიტასია“**, აგრეთვე, **„ვორდვიჟენი“**, რომლის იდეოლოგია ისევე, როგორც პროცესში ჩართული ზოგიერთი სხვა ორგანიზაციისა, პირდაპირ რომ ვთქვათ, არ არის კეთილად განწყობილი ჩვენი ტრადიციული ფასეულობებისა და რელიგიური შეხედულებების მიმართ. გასაკვირია, რომ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოში მათთვის გამოიძებნა ადგილი, ხოლო ეკლესიის წარმომადგენლისთვის — არა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ეკლესიის ზრუნვა თავის მოქალაქეებსა და ოჯახებზე გაცილებით უფრო დიდი და მასშტაბურია, ვიდრე სხვა ორგანიზაციებისა ერთად აღებული.**

დასასრულ, თავს უფლებას მივცემთ და გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებსა და სურვილებს მოქმედ კანონზე, რომელიც ასევე შეიცავს მრავალ ხარვეზს:

**ა)** ოჯახიდან ბავშვის გაყვანის მექანიზმები და პროცედურები კიდევ უფრო დასახვეწია, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს შეცდომები, სუბიექტივიზმი და ტენდენციურობა. მოქმედი სააგენტოც არ არის დაზღვეული ამისგან;

**ბ)** პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის ხარჯები, რომელთაც სახელმწიფო ოჯახიდან გაყვანილი ბავშვის არსებობისა და განვითარებისთვის იყენებს, რამდენჯერმე აღემატება იმ ხარჯებს, რომელთა უქონლობაც ხდება ხოლმე ხელმოკლე ოჯახიდან ბავშვის გაყვანის საფუძველი, ამიტომ სხვა მექანიზმებიცაა მოსაძებნი;

**გ)** ოჯახში დაძაბულობის მატება პირდაპირ უკავშირდება მძიმე სოციალურ ფონს ქვეყანაში, ამიტომ ოჯახში არსებულ დაძაბულობაზე პასუხისმგებლობის გარკვეული წილი ხელისუფლებაზეც მოდის, როგორც ქვეყანაში არსებულ სოციალურ ვითარებაზე პასუხისმგებელზე. ამიტომ იგი სწორედ ამ პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს და არა ისე გულცივად, როგორც ეს მოქმედ კანონმდელობაშია და არა ისე ხისტად, როგორც ეს კანონპროექტით არის გათვალისწინებული;

**დ)** მოქმედ კანონში კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და გაძლიერდეს მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოზარდის ოჯახში დარჩენასა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ხოლო გაშვილების შემთხვევაში — მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს მის დარჩენას ოჯახის არამოძალადე წევრებთან, მზრუნველობის მოსურნე ნათე- ▶

**„ხელისუფლების წარმომადგენლები ისე არიან შეშინებულები ევროპელი „ცისფერი კომისრებისგან“, რომ სიტყვას ველარ ეუბნებიან ლგბტ თემის წარმომადგენლებს. ფაქტობრივად, ამის გამო ხდება ეს ყველაფერი. ამ ადამიანებმა კი უცხოელი „ცისფერი კომისრების“ დავალება შეასრულეს და ამისთვის ფულსაც იღებენ“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სავებთან და ახლობლებთან, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავშვისადმი სითბო და სიყვარული უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი, ვიდრე უცხო პირზე გაშვილების დროს. აგრეთვე, ამ შემთხვევაში გაცილებით მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ შვილად აყვანა მოხდეს მატერიალური დაინტერესების გამო;

**ე)** არაახლობელ პირებზე გაშვილების შემთხვევაში, უფრო მეტად უნდა იქნას გათვალისწინებული ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობლების აზრი და სურვილები;

**ვ)** უნდა გაძლიერდეს უცხო გარემოსა და ადამიანების გარემოცვაში გაშვილებული ბავშვის მდგომარეობაზე კონტროლის მექანიზმები;

**ზ)** კარგი იქნება, თუ კანონში იქნება მითითება მოქმედ ნორმაზე ბავშვის ქვეყნის გარეთ გაშვილების აკრძალვის თაობაზე.

გვინდა შეგახსენოთ, რომ აღნიშნული კანონის არსებული სახით მიღების შემთხვევაში ყველა შესაძლო ნეგატიურ შედეგზე პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე ეკისრებათ როგორც კანონის ინიციატორებს, ისე მის მხარდამჭერებს. მორწმუნე ერი არასდროს შეეგუება ოჯახის ინსტიტუტისა და მისი მდგრადობისთვის საფრთხის შემცველი კანონების მიღებასა და ცხოვრებაში გატარებას.

**ქრისტესმიერი სიყვარულით:**

**დეკანოზი დავითი (ისაკაძე) მრევლით**
**დეკანოზი დიმიტრი (გორგოძე) მრევლით**
**დეკანოზი დავითი (ქვლივიძე) მრევლით**
**დეკანოზი თადეოზი (სარალიძე) მრევლით**
**დეკანოზი ბასილი (იაშაღაშვილი) მრევლით**
**დეკანოზი გიორგი (რაზმაძე) მრევლით**
**დეკანოზი დავითი (ლასურაშვილი) მრევლით**
**დეკანოზი არჩილი (ქიტუაშვილი) მრევლით**
**დეკანოზი ზაქარია (მარგალიტაძე) მრევლით**
**დეკანოზი დავითი (მინდორაშვილი) მრევლით**
**დეკანოზი ლევანი (კუტივაძე) მრევლით**
**დეკანოზი გიორგი (ასათიანი) მრევლით**
**მღვდელი გაბრიელი (ვაშაძე) მრევლით**
**მღვდელი დავითი (ნოზაძე) მრევლით**
**მღვდელი ვახტანგი (დავითაშვილი) მრევლით**
**მღვდელი დავითი (ქალებაშვილი) მრევლით**
**მღვდელი ნიკოლოზი (ჩხიკვაძე) მრევლით**
**მღვდელი გურამი (გამცემლიძე) მრევლით**
**მღვდელი ათანასე (ხაბეიშვილი) მრევლით**
**მღვდელი ნიკოლოზი (ერაძე) მრევლით**
**მღვდელი ლევანი (ანთაძე) მრევლით**
**მღვდელი გიორგი (ლაზარიაშვილი) მრევლით**
**მღვდელი ირაკლი (ცუცქირიძე) მრევლით**
**დიაკონი გაბრიელი (აბულაძე)**

# რატომ ვერ განახორციელეს ლგბტ-პირებმა ჩანაფიქრი და რატომ არ ჰქონდა მათ საქციელზე საპატრიარქოს მწვავე რეაქცია

**17 მაისი, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, საქართველოს ეკლესიამ ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და მრევლმა და მოქალაქეების ნაწილმა ეს დღე ქუჩაში მშვიდობიანი დემონსტრაციით აღნიშნა. საპასუხოდ, ლგბტ აქტივისტებმა, წინა წლებთან შედარებით, სითამამე გამოიჩინეს და საქართველოს საპატრიარქოს კედლები სხვადასხვა ფერის საღებავით შეღებეს. ამას გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ სასულიერო პირის ფორმაში ჩაცმულმა ლგბტ ორგანიზაციის წევრებმა და მხარდამჭერებმა მღვდლის ანაფორა ჩაიცვეს და პერფორმანსი გამართეს. მართალია, რამდენიმე ლგბტ აქტივისტი სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული შენობის დამახინჯების ბრალდებით უკვე დააკავეს, მაგრამ ამ ფაქტს თვითონ საპატრიარქოს, მრევლისა თუ სასულიერო პირების მხრიდან მწვავე პროტესტი არ მოჰყოლია. ლგბტ აქტივისტების ქმედების შესაფასებლად „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის სასულიერო პირებს დაუკავშირდა.**



**დეკანოზი დავითი (ისაკაძე), წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი:**

— სწორედ ეს არის აგრესიული ლიბერალიზმი, რომლის ერთ-ერთ განშტოებასაც წარმოადგენენ ამ ე.წ. უმცირესობის წარმომადგენლები, ანუ სოდომიის ცოდვით დაკავებული ადამიანები. 17 მაისს ასეთი საქციელით მათ თავიანთი აგრესიული სახის ერთი პატარა ნაწილი წარმოაჩინეს.

არგენტინაში ასეთი ადამიანები გაშიშვლდნენ და ეკლესიაში შევარდნას ცდილობდნენ, აფურთხებდნენ და რალაცებს ესროდნენ მორწმუნეებს, რომლებიც ეკლესიის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებულები დადგნენ და ამ ფანატიკოსებისგან ტაძარს იცავდნენ. **თუ საზოგადოება ყურადღებას არ მიაქცევს ასეთ ფანატიზმს, აგრესიას, რომლითაც ეს სოდომისტური სექტა გამოირჩევა, ცოტა ხანში საქართველოშიც ანალოგიურ პროცესები განვითარდება. მათ ძალიან სურთ კონფლიქტის პროვოცირება. ხომ ხედავთ, საპატრიარქოსაც კი მიადგნენ. უკვე ეკლესიაც შეურაცხყვეს.**



**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი:**

— არც კი ვიცი, რა უნდა ითქვას ასეთ ფაქტზე. გვახსოვს, რა დღეში აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებმაც შს იმჟამინდელ მინისტრ ვანო მერაბიშვილს სამინისტროს წინ კაბა ჩამოუკიდეს. ისიც გვახსოვს, ე.წ. ოპოზიციურ ტელეკომპანია „კავკასიასთან“ რა პროვოკაციაც მოუწყვეს ახალგაზრდებს — უდანაშაულო ხალხი ციხეში 4 წლით გამოამწყვდიეს. ახლა კი ამ მთავრობას ისე ეშინია არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომ ვერაფერს ამბობს, თორემ **წარმოიდგინეთ, ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ ვიღაცებს მსგავსი ფლეშმობი რომ მოეწყოთ, რა მოხდებოდა...**

**— ფიქრობთ, ამან გაათამამა ლგბტ აქტივისტები?**

— დიახ, ხელისუფლების წარმომადგენლები ისე არიან შეშინებულები ევროპელი „ცისფერი კომისრებისგან“, რომ სიტყვას ველარ ეუბნებიან ლგბტ თემის წარმომადგენლებს. ფაქტობრივად, ამის გამო ხდება ეს ყველაფერი. ამ ადამიანებმა კი უცხოელი „ცისფერი კომისრების“ დავალება შეასრულეს და ამისთვის ფულსაც იღებენ. სხვა მიზანს, უბრალოდ, ვერ ვხედავ, ჭკუათმყოფელმა ადამიანმა რატომ უნდა მოხატოს საპატრიარქოს კედლები? ეკლესია რა შუაშია ამ ყველაფერთან? ეკლესია ყველას ზნეობისკენ მოუწოდებს და თავის ცოდვებზე მიუთითებს.

**— უნდა ჰქონოდა თუ არა რეაქცია საპატრიარქოს, მრევლს?**

— ისინიც სწორედ ამას ელოდებიან. სურთ, ყველას აჩვენონ, რომ მრევლის წევრები აგრესიულები და ფანატიკოსები არიან. ასეთი თემები უკვე აღარავის აინტერესებს. **როგორც ბაპტისტები და იეღოველები შემოვიდნენ საქართველოში და ხმაურით ცდილობდნენ ყურადღების მიპყრობას, ახლაც იგივე ხდება. თუ მოვლენ ეკლესიაში და შეინანებენ თავიანთ დამპალ ცხოვრებას, ყველას მივიღებთ, მაგრამ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ხმაური ატეხონ, რათა ამით მეტი ფული იშოვონ. ამის საშუალებას ჩვენ არ მივცემთ.**



**დეკანოზი დავითი (ქვლივიძე), მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური:**

— სამღვდელოებას აგრესიულობას, სხვისი აზრის შეუწყნარებლობასა და თავხედობას აბრალებენ, მაგრამ კარგად დაინახა საზოგადოებამ, ვინ არის აგრესიული და თავხედი. ლგბტ-ების კაფე-ბარები თბილისში სადაცაა, ყველამ იცის, მაგრამ გინახავთ, ვინმე იქ მივარდნილი, მათთვის რამე რომ დაეშავებინოს? საპატრიარქო ჩვენი სახლია, ისინი კი სახლში გვივარდებიან და ჩვენი სახლის კედელზე რაღაცებს გვიხატავენ. მსგავსი დონის თავხედობა სადმე გინახავთ?!

**— რამ გამოიწვია მათი გათავხედება, ვინ მფარველობს მათ?**

— არ იცით, ვინ მფარველობს და ვინ დგას მათ უკან? დასავლელი პოლიტიკოსები უჭერენ მხარს ამ ადამიანებს. ძლიერი მხარდამჭერები ჰყავთ და იმიტომაც გათავხედდნენ, მაგრამ ასეთი თავხედობა კარგად არავისთვის დამთავრებულა...

**— სასულიერო პირებს როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ, როდესაც საპატრიარქოს კედლებს ხატავენ და ეკლესიას შეურაცხყოფენ?**

— რა უნდა ვქნათ, ხელჩართულ ჩხუბს ხომ არ დავიწყებთ? აქედანაც ჩანს, ჩვენ ვინ ვართ და ისინი ვინ არიან. ჩვენ ოჯახის სიწმინდის დღე მშვიდობიანად აღვნიშნეთ. ამით გამოვხატეთ ჩვენი პროტესტი. მეტი მწვავე განცხადება რა გააკეთოს საპატრიარქომ, როცა ხუთმა ეპისკოპოსმა, უამრავმა სასულიერო პირმა და ათასობით ადამიანმა მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყო ქალაქში. ესეც ჩვენი პასუხი მათ მიმართ. სრულად პასუხს კი მათ ღმერთი გასცემს.

იმიტომ გაგიჟდნენ ასე და ყველანაირად ცდილობენ ჩვენს პროვოცირებას, რომ შემდეგ თავი დაჩაგრულად გამოაცხადონ და უცხოეთიდან დიდძალი ფული აიღონ. მათ უნდათ, რომ სცემონ და, მიზანს რომ ვერ აღწევენ, სწორედ ეს აგიჟებთ.





**დეკანოზი არჩილი (ქიტუაშვილი), დაბა კაზრეთის წმინდა სამების ტაძრის წინამძღვარი:**

— ამ შემთხვევაში **ლგბტ-თა ვანდალურ ქმედებებს პასუხი კანონმა უნდა გასცეს.**

რადგან საქართველოში ისე ვერ ჩაატარეს აქცია და ვერ აღნიშნეს ეს დღე, როგორც სურდათ, რაც შეძლეს, ის გააკეთეს. გალიზიანდნენ, რადგან ვერ ახერხებენ ჩვენს ქვეყანაში თავიანთი იდეების განხორციელებას. ვფიქრობ, ასეთი აგრესიული საქციელი მათი დამარცხება უფროა, ვიდრე გამარჯვება. როდესაც ვამბობთ, რომ ეს ადამიანები სულაც არ არიან მშვიდობიანები და პირიქით, აგრესიულობით გამოირჩევიან, ეს 17 მაისს დადასტურდა.

სურდათ, მათზე ეძალადა ვინმეს, ფიზიკურად შეურაცხეყო, რათა შემდგომ ამაზე საკუთარი პიარი აეგოთ და ყველასთვის ეჩვენებინათ, საქართველოში ე.წ. სექსუალურ უმცირესობაზე ძალადობენო, მაგრამ არ გამოუვიდათ. **ქართველმა ხალხმა ოჯახის სიწმინდის დღე მშვიდად აღნიშნა. ისინი ეცადნენ, ამ საყოველთაო ზეიმში თავიანთი ბნელი, აგრესიული ელემენტები შეეტანათ, მაგრამ, მადლობა უფალს, არ გამოუვიდათ. ვფიქრობ, კანონი მათ პასუხს გასცემს და არა მგონია, მათ საქციელზე ზედმეტი ყურადღების მიქცევა ღირდეს, რადგან მათი მიზანიც სწორედ ეს არის.** ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში იგნორირება საუკეთესო გამოსავალია.

**«საპატრიარქო ჩვენი სახლია, ისინი კი სახლში გვიცვივდებიან და ჩვენი სახლის კედელზე რაღაცებს გვიხატავენ. მსგავსი თავხედობა სადმე გინახავთ?!»**

*მოამზადა* **შორენა ცივქარაშვილმა**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩასვრილი და გაბანძებული დასავლურ-ამერიკული პროპაგანდის მიმდევრებს სასწრაფოდ სჭირდებათ მიზეზები თავიანთ უცხოელ შეფებთან, თუ რატომ ჩაისვარა მილიარდებით დაფინანსებულმა პროპაგანდამ. ამ მიზნით, ისინი ნებისმიერ სიმართლეს, რომელსაც ვინმე თუნდაც გაუბედავად წამოისვრის, წამსვე რუსულ პროპაგანდად ნათლავენ და სრულიად წყნარი ამინდისგან იმისთანა ქარიშხალს წარმოაჩენენ, გეგონება, რუსულ პროპაგანდას მიაქვს ეს ქვეყანა და მისი მოქალაქენი.**

# ვერდავაჟკაცებულთა პრობლემები, ანუ რუსოფობიული პროპაგანდის შედევრები

**იმდენი იძახა ზოგიერთმა ტვინშეზღუდულმა პრიმიტიულად მოაზროვნე „ცნობადმა სახემ“, — არიქა, საქართველოში რუსული პროპაგანდა მძვინვარებსო, რომ, თუკი აქამდე, უბრალოდ, თავისთავად ვხედავდი და მესმოდა, სინამდვილეში რაც მძვინვარებს საქართველოში, ახლა უკვე ათჯერ უფრო ყურადღებით დავაკვირდი არსებულ რეალობას.**

დასკვნა ასეთია: **საქართველოში მართლა მძვინვარებს ყველა და ყველაფერი, გარდა რუსული პროპაგანდისა.** უბრალოდ, საქმე ის არის, რომ სრულიად ობიექტური მიზეზებით **ჩასვრილი და გაბანძებული დასავლურ-ამერიკული პროპაგანდის მიმდევრებს სასწრაფოდ სჭირდებათ მიზეზები თავიანთ უცხოელ შეფებთან, თუ რატომ ჩაისვარა მილიარდებით დაფინანსებულმა პროპაგანდამ. ამ მიზნით, ისინი ნებისმიერ სიმართლეს, რომელსაც ვინმე თუნდაც გაუბედავად წამოისვრის, წამსვე რუსულ პროპაგანდად ნათლავენ და სრულიად წყნარი ამინდისგან იმისთანა ქარიშხალს წარმოაჩენენ, გეგონება, რუსულ პროპაგანდას მიაქვს ეს ქვეყანა და მისი მოქალაქენი.**

სინამდვილეში კი ხდება ის, რომ არაერთ ტვინდაბნელებულს უკვე იმდენად აემღვრა გონება, მათი პროპაგანდა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, წინააღმდეგ კი აღარ არის მიმართული, არამედ რუსი ეროვნებისა და წარმომავლობის ყველა და ყველაფერი ეზიზღებათ და განურჩევლად ლანძღავენ და თათხავენ ყველაფერს, რაც სიტყვა „რუსთან“ არის დაკავშირებული.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა თვალსაჩინოდ ტვინგარეცხილმა ინტერნეტმომხმარებელმა, ფაქტობრივად, ბრალი დამდო რუსეთუმეობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მე რუს ქალებზე უარყოფითი წარმოდგენის არ ვარ და არ მიმაჩნია, რომ ყველა რუსი ქალი ბოზი, გათახსირებული და კახპაა(!).

როგორც ჩანს, **მალე ეს „ძაანპატრიოტი“ რეგვენები რუსული პელმენის ან ბორშჩის საწინააღმდეგო პროპაგანდის ჩატარებასაც დაიწყებენ და კატეგორიულად მოგვთხოვენ, განვაცხადოთ, რომ რუსულ პელმენზე უფრო უგემური და საზიზღარი საკვები არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვიქნებით რუსეთუმეები, კრემლის მონები და ადამიანები, რომლებსაც პუტინი ფულს უხდის რუსული პროპაგანდის წარმოებაში.**

საზოგადოდ, **„რუსები ფულს გიხდიან“ ძალიან ჩვეული ბრალდებაა თავგადაკლული მედასავლეთეების მხრიდან და, ალბათ, არც არის გასაკვირი. ეს ხომ ის ხალხია, რომლისთვისაც ფული მთავარი ღირებულებაა ცხოვრებაში და ვერც კი წარმოუდგენია, რომ ადამიანმა შეიძლება ისე თქვას ან დაწეროს საკუთარი აზრი, რომ ამაში ვიღაცამ ფული არ გადაუხადოს.** ეს ადამიანები თვითონ ასე იქცევიან და ამიტომ ჰგონიათ, სხვაც მისნაირია, თორემ **საზოგადოებამ უკვე შესანიშნავად იცის, საიდან შემოდის ჩვენს ქვეყანაში მილიარდები, რომელი ე.წ. არასამთავრობოები საიდან ფინანსდებიან და რამდენით, რა მავნებლურ საქმიანობას ეწევიან ისინი ჩვენი ქვეყნისთვის.**

განსხვავება ჩემნაირ და მათნაირ ადამიანებს შორის სწორედ ეგ არის — მე ვწერ და ვამბობ სიმართლეს და არასოდეს აღმივლენია ხოტბა და ქება-დიდება რუსეთის, კრემლის ან პუტინისთვის. თუკი რაიმე დათმობაზე, რაიმე გააზრებულ სვლაზეა საუბარი რუსეთის მიმართ, მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ეს შედეგი ჩვენს ქვეყანას წაადგება, ხოლო, თუ რუსეთი ან რუსი რამეს აშავებს, არც მის კრიტიკასა და გინებას ვერიდებით არასოდეს.

**ეს ვითომპატრიოტები კი, ამერიკელებმა მათი ოჯახის წევრებს თავზე რომ დაასვარონ, მაინც თვალებში შესციცინებენ იმავე ამერიკელებს და ამტკიცებენ, რომ, თუკი ამერიკელმა მათ ოჯახის წევრს თავზე დაასვარა, ეს ამერიკელის ბრალი კი არ იყო, არამედ იმ ბოროტი რუსისა, რომელმაც ამ ამერიკელს საკვებში საფაღარათო საშუალება ჩაუყარა ჩუმად.**

ამის კლასიკური მაგალითი იყო ამ დღეებში სოფელ ხურჩაში, საბაჟოზე ულვთოდ დახვრეტილი ქართველის ამბავი. **თავდაპირველად, როდესაც გავრცელდა ცნობა, რომ ეს ქართველი რუსმა მოკლა, ინტერნეტსივრცე წალეკა რუსოფობების ხმამაღალმა წიკვინმა — „აი, რუსული ჯიში! ასე სასტიკად ადამიანის მოკვლა მხოლოდ რუს ღორებს თუ შეუძლიათ!“ და სხვა მისთანანი. ხოლო როდესაც გაირკვა, რომ მკვლელი სინამდვილეში აფხაზეთში დაბადებული თურქი ეროვნების რაშიდ კანჯი ოღლუ ყოფილა, არავის აღარაფერი უთქვამს „თურქების სისასტიკეზე“, მათ დაუნდობლობაზე ან ჯიშსა და ჯილაგზე!**

ასეთივე მიდგომა შეინიშნება რუსი ქალების მიმართაც — **თუკი რუსი ქალი 2 დღის გაცნობილ მამაკაცს ლოგინში ჩაუწვა, ბოზია; ხოლო თუ იგივე ჩაიდინა ევროპელმა ქალმა, მაშინ ის არის „თავისუფალი ქალი“, „ძლიერი პიროვნება“ და „სითამამის სიმბოლო“!**

თუკი რუსმა მამაკაცმა უსაქციელო ცოლი ისე გაუშვა, რომ სახეში მუშტი არ სთხლიშა, ეს „ჩმორი რუსი მამაკაცია“! ხოლო თუ ევროპელმა მამაკაცმა გააკეთა იგივე, ის უკვე „თანამედროვე“ „შეგნებული“ „ცივილიზებული“ მამაკაცის სახეა!

მკითხველი იფიქრებს, მოცლილია და რაღაც უაზრო თემებზე წერსო. არა, ბატონო, ეს უაზრო თემები სწორედ ახალი ტალღაა რუსოფობიული პროპაგანდისა, რომელიც უკვე მის მწარმოებლებს ანტიქართულ პროპაგანდაშიც გადასდით!



სირცხვილია, იმ ქვეყნის სიწმინდედ მოყვანა, სადაც დასავაჟკაცებლად დადიოდა მთელი საქართველ�

MARSHALPRESS.GE

აბორტების რაოდენობა ბევრად მეტია რუსეთში. მაგალითად მოყვანა იმ ქვეყნის, სადაც დასავაჟკაცებლად დადიოდა მთელი საქართველო, გენერლის ცოლებთან, იმის მაგალითად მოყვანა, როგორ შევინარჩუნოთ ოჯახის სიწმინდე, სასაცილოა. ჰქონდეთ მათ ოჯახებში რუსული ოჯახის სიწმინდე! რაც შეეხება დასავლურ ოჯახში სიწმინდეს, თუნდაც ის, რომ შედარებით გვიან ასაკში ქორწინდებიან, სწორედ იმიტომ, რომ ისინი მართლა სამუდამოდ ქმნიან ოჯახებს და იქ ღალატი დაუშვებელია", – განაცხადა ჭანტურიამ ტელეკომპანია "პირველის" ეთერში.

Tea Nikuradze Es prorusuli svanidze rom gamoxteba mecineba, rusebis advokatoba xeiria magistvis etkoba, neta ramdens uxdian?! Europeli da rusu kalis da ojaxis, girebulebis, mentalobis shedareba sheidzleba?! Sircxvilia!!! imaze ratom dums, dges 30 clis kartveli, rom dacxrila rusma egretcodebulma mesagvrem?! ragac ver vxedav kartvelebis protests!!! dumili danashaulia!!!!!!

მივყვეთ თანმიმდევრობით:

ინტერნეტში გამოჩნდა ყოფილი „კავეენშიკისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის **გიორგი ჭანტურიას** მკვეთრად გამოხატული უკულტურო რუსოფობიული განცხადება სათაურით: „სირცხვილია იმ ქვეყნის სიწმინდედ მოყვანა, სადაც დასავაჟკაცებლად დადიოდა მთელი საქართველო“

რა თქმა უნდა, ეს განცხადება ეხება ლევან ვასაძის ცნობილ გამოსვლას მსოფლიო საოჯახო კონგრესზე. რამდენჯერმე ყურადღებით მოსმენის მიუხედავად, ამ გამოსვლაში ვერსად ვიპოვე, ვასაძე რუსეთს „სიწმინდედ“ აცხადებდეს, მაგრამ ამას არ აქვს არავითარი მნიშვნელობა ჭანტურიას ნაბოდვარისთვის. **ვასაძეს მართლაც რომ ეთქვა, — რუსეთ სიწმინდეაო, ეს არავის აძლევს უფლებას, რომ ვითომდა ამის „საპასუხოდ“ უზრდელურად ლანძღოს რომელიმე ერი, მით უმეტეს, იმ ერის წარმომადგენელი ქალბატონები!**

შეიძლება თქვა, რომ რუსეთი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიწმინდეს რომელიმე სხვა ქვეყანასთან შედარებით და რუსეთშიც ისევე არსებობს წმინდა და გარყვნილი, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მაგრამ **მტკიცება იმისა, რომ რუსეთში ქალები მასობრივად გარყვნილები არიან და თურმე ეს არის ქვეყანა, რომელთანაც მხოლოდ ის გვაკავშირებს, რომ იქ მთელი საქართველო „ვაჟკაცდებოდა“, ცოტა არ იყოს „დაუვაჟკაცებელი“ აზროვნების გამოხატულებაა.**

თუმცა, რა უნდა თქვა, როდესაც ჭანტურიას დანარჩენი ტექსტიც „ჯუმბერა ძიას ზღაპრების“ გავლენით ვიწროდ მოაზროვნე ტვინში ჩამოყალიბებული „კლიშეებია“ და სხვა არაფერი.

მაგალითად: „დასავაჟკაცებლად დადიოდა მთელი საქართველო გენერლის ცოლებთან“. ამ ფრაზას ადამიანი რომ იტყვის, იქ აზროვნებაზე, ლოგიკაზე, ტვინზე ლაპარაკი ზედმეტია. ნებისმიერი ვაჟა, გივია თუ ზაურა, რომელიც სადმე ოფშკვითში წავიდოდა ცოტა ხნით, მერე დაბრუნდებოდა და იტყუებოდა, რომ რუსეთში იყო და იქ გენერლის ცოლს “ჟიმავდა”, როგორც ჩანს, პატივცემული ყოფილი დირექტორისთვის უტყუარ წყაროა.

ცოტაც რომ ეცლიათ და კიდევ ჰქონოდა სასაუბრო დრო, დარწმუნებული ვარ, ბატონი ყოფილი დირექტორი იმასაც მოყვებოდა, როგორ წააწყდა შემთხვევით მოსკოვის ქუჩებში მისი მეზობელი ტრისტანა გალეწილ მთვრალ **ალა პუგაჩოვას** და როგორ „ხერხავდა“ დილამდე მას ერთი ბოთლი შამპანურის ფასად „გასტინიცა როსიაში“.

მე, პირადად, ეს ვერსია დაახლოებით ასოცდათვრამეტი ტრაბახა ქართველი მამაკაცისგან მაქვს მოსმენილი, მხოლოდ ეგაა, რომ ცოტა მოგვიანებით ალა პუგაჩოვა ირინა ალეგროვათი შეცვალეს, თუმცა ვინ იცის, მანამდე სოფია როტარუც ყოფილიყო ეგებ.

რაც შეეხება გენერლის ცოლებს, აი, აქ საქმე გაცილებით მასშტაბურ მოვლენასთან გვაქვს და, თუკი ჩვენც ისეთივე გონებაშეზღუდულები ვიქნებით და ყველა ბაქიას დავუჯერებთ ამ კლასიკურ ტრაბახს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსებს ასე, მილიონ-ნახევარი გენერალი ჰყოლიათ და თანაც უკლებლივ ყველა გენერალს — ცოლი აუცილებლად ბოზი, თან ისეთი „პრაშმანდოვკა“ ბოზი, რომ „სარფიან“ საყვარელსაც ვერ შოულობენ და ყველა მათგანი, გამონაკლისის გარეშე, ვიღაც ქართველ „სალდაფონ“ ტრისტანას აძლევს.

ერთადერთი შემიძლია ვთქვა — საკუთარი თვალით მყავს ნანახი, გვარს არ დავასახელებ, ზოგიერთი ქართველი „კავეენშიკი“, აი, ასეთი ლეგენდებით ტვინგაბერილი რომ წავიდა სოჭსა და მოსკოვში, იქიდან კი დაბოლმილი ჩამოვიდა, — რა იყო, კაცო, ეს რუსები, მეგონა, ყველას ზედ ახტებოდნენ და ორი კვირის განმავლობაში არც ერთმა რატომ არ მომცაო?!

გამოგიტყდებით და, ამ ზოგიერთის ასეთი უტვინო ტლიკინიც სწორედ ამ ბოლმის ბრალი მგონია...

როგორც ჩანს, **არსებობენ ადამიანები, რომლებიც სამი ცოლის გამოცვლის შემდეგაც ვერ ვაჟკაცდებიან და, მიუხედავად ოჯახის სამჯერ გამოცვლისა, მაინც ილაპარაკებენ „ოჯახის სიმტკიცეზე“.**

რაც შეეხება რუს ქალებს, დავაჟკაცებისა რა გითხრათ და, უამრავ ქართ- ▶

## რა ესაქმება „მეოცნებეებში“ ადამიანს, რომელიც მუდამ რეალურად აღიქვამს ყველაფერს და ხალხსაც რეალობაზე ელაპარაკება?

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ველს ცოლად, ოჯახის დედად, სწორედ რუსი ქალი ჰყავს და ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე ანდობენ მათ საკუთარი შვილების აღზრდას.

და, რადგან ჭანტურია გვისურვებს, ოჯახებში გვქონდეს რუსული ოჯახების სიწმინდე, მე პირადად ვუპასუხებ — რადგანაც ახლოს ვიცნობ არაერთ რუსულ ოჯახს, ამ სურვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! მით უფრო, იმ ფონზე, რომელიც არაერთ ქართულ ოჯახში საკუთარი თვალით ვნახე ბოლო პერიოდში...

აქვე ხაზგასმით ვიტყვი, რომ ეს პუბლიკაცია პასუხია მხოლოდ რუსი ქალებისა და რუსული ოჯახების ასეთ უპასუხისმგებლო და უზრდელურ ლანძღვაზე და ჩემი მიზანი სულაც არ არის ევროპელი ქალების ან ევროპული ოჯახების ლანძღვა. პირიქით — რუსული ოჯახებისა არ იყოს, ძალიან ახლოს ვიცნობ რამდენიმე იტალიურ, ფრანგულ, ბრიტანულ ოჯახს და ყველა ქართველს ვუსურვებ ასეთი მტკიცე და შეუბღალავი ოჯახი ჰქონდეს!

ნორმალური ადამიანებისთვის არც უნდა სჭირდებოდეს მტკიცება იმას, რომ არ არსებობს დედამიწაზე ქვეყანა, რომელშიც ყველა გარყვნილია ან ყველა წმინდა...

რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა შედარება რუსული გარყვნილებისა ევროპულთან და ამერიკულთან, გავიხსენოთ კინოშედევრად აღიარებული ფილმი „ერთხელ ამერიკაში“. მგონი, რეალობისგან მთლად მოწყვეტილი არ უნდა იყოს ის მომენტი, როდესაც ფილმის უკვე „დავაჟკაცებული“ მთავარი გმირები ერთ წვეულებაზე გადააწყდებიან ყმაწვილობისდროინდელ მეგობარ გოგონას, თანაც, ქმართან ერთად. შემდეგ ხდება ის, რომ ამ ქალბატონს როგორღაც ცალკე გაიტყუებენ გვერდით ოთახში, თვალებს აუხვევენ და ისიც შარვლებიდან ამოგდებულ პენისებზე ხელების ფათურით, ზომის მიხედვით გამოიცნობს რიგში ჩამწკრივებული ყმაწვილობისდროინდელი მეგობარი ბიჭებიდან რომელი რომელია...

კიდევ არაფერს ვიტყოდი, ეს ყოველივე რომ პრობლემურად, უარყოფითად ყოფილიყო წარმოჩენილი ფილმში. პირიქით — ამ ფილმს ბევრი ქართველი იდეალურ ფილმად ასახელებს, მოსწონს მისი გმირები ქალიან-კაციანად, მოსწონს იქ წარმოჩენილი ამორალურობა და თამამად უწოდებს მას „საკულტო ფილმს“.

უკაცრავად, **ხომ არ იცით რომელიმე რუსული ფილმი, რომელშიც ქალის ანალოგიური საქციელი დადებითად, მისაბაძ საქციელად რომ იყოს წარმოჩენილი?**

იქნებ „რუსი ბოზი“ **ანა კარენინა** დამისახელოთ, რომელმაც საკუთარ თავს შეცდომა ვერაფრით აპატია და მატარებელს დაუწვა რელსებზე?

სიმართლე გითხრათ, რუსოფობიით შეპყრობილთა უტიფარ აზროვნებას რომ ვუყურებ, არ გამიკვირდება, რაიმე საწინააღმდეგო „არგუმენტიც“ გამოჩხრიკონ.

დაველოდოთ, რას იტყვის პატივცემული დირექტორი. იტყვის ვითომ კიდევ რამეს?!

# მეჭიაურის «ოცნებიდან» გასვლა-გარიცხვის რეალური მიზეზები

**ამ დღეებში გამალებით განიხილავენ, დეპუტატი თამაზ მეჭიაური პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს თუ თვითონ გავიდა. ჩვენმა ზედმეტად დაკვირვებულმა კორესპონდენტმა შენიშნა, რომ ეს მავანთა ტრიუკია, რათა ყურადღება ამ, არც ისე მნიშვნელოვან ამბავზე გამახვილდეს და მთავარი ყურადღების მიღმა დარჩეს.**




კერძოდ, მთავარი არის მიზეზი! მიუხედავად იმისა, გარიცხეს თუ გავიდა, ორივე შემთხვევაში რა არის მიზეზი იმისა, რომ თამაზ მეჭიაური „ქართული ოცნების“ წევრი აღარ არის?

ამაზე ბევრი ექსპერტი იმტვრევს თავს. ჩვენმა ძალიან მიხვედრილმა კორესპონდენტმა კი უმარტივესად ამოხსნა ეს თავსატეხი.

აბა, დაუკვირდით, რას ლაპარაკობს ხოლმე მეჭიაური, ანუ რა გახდა ამ კონკრეტულ დეპუტატსა და პარტია „ქართულ ოცნებას“ შორის შეუთავსებლობის საბაბი. გავიხსენოთ მეჭიაურის განცხადებები ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და, კერძოდ, ნატოს შესახებ — **„ნატოში საქართველოს მიღება ჩვეულებრივი ბლეფი და ტყუილია“; „ჩვენ თუ ასეთი საგარეო კურსი გავაგრძელეთ და რუსეთთან რამე საერთო არ გამოვნახეთ, საბოლოოდ დავკარგავთ სოხუმსა და ცხინვალს“** და სხვა ანალოგიურ განცხადებებს მეჭიაურის მხრიდან რას დაარქმევდით?

რას და, ეს არის აშკარა და თვალნათელი რეალობა!

აბა, ახლა კიდევ ერთხელ გაიხსენეთ: რა ჰქვია პარტიას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი მეთაურობს?

რა და „ოცნება“!

მორჩა! არის კიდევ რამე ახსნა საჭირო? **რა ესაქმება „მეოცნებეებში“ ადამიანს, რომელიც მუდამ რეალურად აღიქვამს ყველაფერს და ხალხსაც რეალობაზე ელაპარაკება?**

არც არაფერი!

**„ოცნება“ იმიტომ დაარქვა, ბატონო, იმ კაცმა თავის პარტიას, რომ იქ მეოცნებე ხალხია საჭირო! ბოლოს და ბოლოს, თუ თვითონ არ ხარ მეოცნებე, ისე მაინც უნდა მოიქცე, რომ ხალხი, ამომრჩეველი, მოქალაქეები აოცნებო!**

უნდა უთხრა: „მეოთხე წელი იქნება საუკეთესო!“, „ყველა თქვენგანი საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს ეკონომიკურ წინსვლას“, „იქნება უამრავი სამუშაო ადგილები“, „მიგვიღებენ ნატოში და ხონჩით მოგვართმევენ სოხუმსა და ცხინვალს“, „რუსეთი, ასევე, მოგვიერთებს კრასნოდარის მხარეს და კომპენსაციის სახით გადმოგვცემს სტავროპოლსა და ყირიმის სამხრეთ ნაწილს“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ!

აი, ასე ტკბილად, გემრიელად უნდა აოცნებო ხალხი!

**აბა, რა უბედურებაა, რომ გამომდგარხარ აქ ამხელა კაცი და ყველაფერს მართალს ლაპარაკობ და გულს უხეთქავ მოსახლეობას?!**

განა ცოტა აქვს ამ გატანჯულ ადამიანებს გულგასახეთქი, საზრუნავი და საფიქრალი?

მოდი და, ახლა იმაზე აფიქრე კიდევ, რომ სოხუმსა და ცხინვალს ვერასდროს დავიბრუნებთ, თუკი ნატოში შევალთ! მით უმეტეს, როგორ შეიძლება ასე პირდაპირ აჯახო ოცნებებში ჩაძირულ მოქალაქეებს, რომ ცხინვალისა და სოხუმის დათმობის ფასადაც კი ვერასოდეს შეხვალ ნატოში და კავკასიის რეგიონში, სულ ცოტა, 100 წელიწადი კიდევ რუსეთი იქნება „პირველი ხმა“ და, თუ შენ ამ „პირველ ხმას“ ვერ აუწყვე, „სცენიდან“ საერთოდ მოგაშორებენ!

აი, **ამ საშინელი რეალობის თქმა განა შეიძლება ხალხისთვის, რომელიც სასოებით შეჰყურებს მილიარდერის ყოველ თითის აწევას, ყოველ გაღიმებას, ყოველ დაპირებას?**

რა თქმა უნდა, ეს ველურობა, უხეშობა, უტაქტობაა!

აი, სწორედ ამიტომ დარჩა ეს გაუთლელი და სიმართლის მოყვარული ცუდი კაცი თამაზ მეჭიაური „ოცნების“ გარეთ და, ჩვენ თუ გვკითხავთ, ღირსიც იყო!

იმედია, ამის შემდეგ მაინც ისწავლის ჭკუას და აშკარა რეალობით გულებს აღარ დაგვიხეთქავს.

თუ მაინცდამაინც ბიძინას ოცნებები არ მოწონს, ხომ შეუძლია რამე სხვა ფარფატა და ფაფუკი ოცნება მოიფიქროს და იმაზე ელაპარაკოს ხალხს?!

მაგრამ არა!

**ბუნებით ბოროტი რომ იქნები ადამიანი ასე იცის! მაინცდამაინც სიმართლე უნდა ატენოს ცხვირში ადამიანებს და გამოაფხიზლოს. კარგი რა, ბოლოს და ბოლოს!**

ჰოდა, ამოუვიდა კიდეც ყელში „ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს და...

აჰ! თუმცა, ჯერ ხომ გაურკვეველია, „ოცნებამ“ გააგდო მეჭიაური თუ მეჭიაურმა გააგდო „ოცნება“.

არადა, აქვს კი ამას რაიმე მნიშვნელობა? თქვენ როგორ ფიქრობთ?

**რუსო ნატოშვილი**

# «ქართული ოცნების» ოფისში «ზუგი»-ს ვირუსის გადამტან კოღოს ეძებენ

**„ზიკას“ ვირუსის შემდეგ საქართველოში ახალი დაავადების — „ზუგი“-ს (ზურა-გიგი) — გადამტანი კოღო შემოვიდა. როგორც ჩვენი აცრილი კორესპონდენტი გვაცნობებს, კოღოს აქამდე უცნობი სახეობა „ქართული ოცნების“ ოფისში ნახეს და მას სამედიცინო ენაზე ადეიშვილ-უგულავას ვირუსის გადამტან მწერს ეძახიან.**

პოლიტმწეროლოგების ცნობით, კოღოს ეს სახეობა ხასიათდება ფარული მიპარვით და მისგან დაინფიცირების შემდეგ იწყება ე.წ. ფანჯრის პერიოდი, როდესაც პაციენტს კლინიკური ნიშნები უვითარდება.

მეხსიერების დაბინდვა, აგრესია, გადამეტებული მადიანობა, მაღალი სექსუალური მოთხოვნილებები და ე.წ. გაუმაძღრობის სინდრომი — ეს იმ კლინიკური ნიშნების არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც „ზუგი“-ს ვირუსი გამოირჩევა.

საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა „ქართულ ოცნებაში“. პარტიის ცნობით, **ეკა ბესელია, მანანა კობახიძე** და **გუგული მაღრაძე** სპეციალური ელექტროშოკით 24-საათიანი მორიგეობით დარაჯობენ ვირუსის გადამტან კოღოს.

„მეორე დღეა, მე და გოგოები ვდარაჯობთ, რომ ჯერ დავიჭიროთ და მერე პოლიტსაბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, რა უნდა მოვიმოქმედოთ“, — განაცხადა **გუგული მაღრაძემ.**

„ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ნაციონალების გამოგზავნილმა კოღომ ერთი ხელის მოსმით გაანადგუროს ის, რასაც ამ 4 წლის განმავლობაში ვქმნიდით“, — ამბობს **ბესელია.**

ჩვენი ინფორმაციით, დიდი ბუზსაკლავით არის ჩასაფრებული **ლუკა კურტანიძე** და **გოგი თოფაძეც,** რომლებმაც სადარაჯო პერიმეტრი გაიყვეს.

როგორც ცნობილია, კოღო ამჟამად პრემიერის სამუშაო ოთახშია, მაგრამ მისი პოვნა ვერ ხერხდება და მხოლოდ ბზუილით ხვდებიან, რომ ის იქ არის.

საოცარია, რომ ზოგჯერ ეს კოღო სატელევიზიო ეთერშიც ჩანს ხოლმე, მაგრამ მისი დაჭერა მაინც ვერ ხერხდება.

გუგული მაღრაძე შიშობს, რომ შესაძლოა, არა მხოლოდ კბენით, არამედ ხანგრძლივი ბზუილითაც დაავადდეს ადამიანი ამ ე.წ. ზუგი-ს ვირუსით. „აქედან გამომდინარე, ბატონი კვირიკაშვილის სამუშაო ოთახს ყოველ 1 საათში ვანიავებთ და სადეზინფექციო ხსნარებს ვასხამთ“, — განაცხადა მაღრაძემ.

ფაქტს ეხმაურება ამერიკის საელჩო საქართველოში, რომელმაც სპეციალური განცხადება გაავრცელა.

„შევიტყვეთ რა აღნიშნული კოღოს „ქართულ ოცნებაში“ შემოსვლის შესახებ, ვფიქრობთ, როგორ საშიშროებასაც უნდა წარმოადგენდეს იგი, არსებობისა და სიცოცხლის უფლება მაინც აქვს, ვინაიდან დემოკრატიული საქართველოს პირობებში დაიბადა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მისი დაჭერის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაცია არ უნდა მოხდეს, ვინაიდან ეს, შესაძლოა, დემოკრატიული პროცესების შეფერხების მაპროვოცირებელი აღმოჩნდეს“, — ნათქვამია ამერიკის ელჩ **იასონ კელაძის** განცხადებაში.

ისტორიული წყაროების მიხედვით, აღნიშნულმა კოღომ ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი ერთხელ უკვე დაკბინა.

„ამ სახეობის კოღო იმითაც არის საშიში, რომ მას ზოგჯერ არა მხოლოდ „ზუგი“-ს, არამედ „ვამი“-ს ვირუსის (ვანო-მიშა) გადატანაც შეუძლია!“ — აფრთხილებელნ მოსახლეობას შესაბამისი სამსახურების უსაქმური თანამშრომლები.

**მიშა ვანო ზურა გიგი კოღუაშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენით გადაწყვიტეთ ოპერის სცენიდან პოლიტიკის სამზარეულოში თავის შეყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და აქ ამერიკა არაფერ შუაშია? პოტომაკის ნაპირებზე კონსულტაციების მისაღებადაც თქვენივე ინიციატივით ჩადიხართ? დავიჯერებდით დაუჯერებელს, მაგრამ თქვენი პარტიის იდეოლოგის, თანაც — „ექსპერტის“, ქალბატონი ხათუნა ლაგაზიძის აღიარებას რა ვუყოთ?**

# სააკაშვილის ათწლიანი პოლიტიკა ყველაფერს გასაგებად და მისაღებად გეუბნებოდათ, ბატონო პაატა, გატრუნული რომ იყავით?!

## პაატა ბურჭულაძის მიშანარევი რეჩიტატივი

**დიდი ხანია, ნაციონალებისა და მათი მხარდამჭერების უტიფარ განცხადებებზე გამოხმაურებას აზრი დაკარგული აქვს, აზრი მხოლოდ სამართლის ენაზე საუბარს აქვს, მაგრამ აშშ-ის მხარდაჭერით გულმოცემულ დამნაშავე ნაცებს ამ ენაზე საუბარს ვერავინ უბედავს. სხვისი ავტორიტეტით თბილ სავარძლებზე მოკალათებულ, ფულის კეთებაზე გადასულ ხალხის „რჩეულებს“ ფიქრადაც არ მოსდით წინასაარჩევნოდ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა. ჩვენდა სამარცხვინოდ, 150 დეპუტატიდან მხოლოდ ორმა ადამიანმა გაბედა სიმართლის თქმა — გოგი თოფაძემ და თამაზ მეჭიაურმა.**

მე საღერღელი ამიშალა და საკრიტიკო კალამიც ახალმა პოლიტიკურმა ძალამ ამაღებინა ხელში, კერძოდ, პაატა ბურჭულაძის განცხადებამ (პოლიტიკაში ჩართვაზე) და მისი პარტიის იდეოლოგიური ლიდერის — ხათუნა ლაგაზიძის აღიარებამ.

დავიწყოთ ბატონი პაატას ერთიმეორეზე „უკეთესი“ წინადადებებით:

**1. „არ გვინდა, რომ ქვეყანას ჰყავდეს არაფორმალური ბატონი და მისი გემოვნებით ვცხოვრობდეთ“.**

შესანიშნავი სიტყვებია, მაგრამ რომელი ბატონი, ბატონო პაატა, – შინაური თუ გარეული? „ბატონის“ ნაცვლად „მმართველი“ რომ გეთქვათ, ალბათ, მეც თქვენსავით შინაურს ვიგულისხმებდი, მაგრამ დავიჯერო, **მართლა გგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილია ჩვენი ბატონი და ის გვაცხოვრებს თავისი გემოვნების მიხედვით? შემთხვევით ამერიკის სრულუფლებიან (ჭეშმარიტად) ელჩში (ელჩებში) ხომ არ გერევათ?!**

**2. „ამ ხელისუფლების პირობებში მივიღეთ ქვეყანა, რომელმაც არ იცის, რა უნდა, გარდა იმისა, რომ მედია თურმე უნდა იყოს თავისუფალი და ბიზნესი ხელშეუხებელი“.**

კი მაგრამ, არც „ეკონომიკურ მკვლელებად“ მომაგრებულმა (ყველა უწყებაში) ამერიკელმა მრჩევლებმა იციან, რა უნდა უნდოდეს ნორმალურ ქვეყანას? თუ იციან და გვიმალავენ? **და ამის გასაგებადაა საჭირო თქვენი ამერიკაში ვიზიტები?!**

ბიზნესის ხელშეუხებლობის მნიშვნელობაზე კი იმას გეტყვით ცნობისთვის, რომ **სწორედ ბიზნესისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობის გზით მიაღწია დიქტატორმა პინოჩეტმა უდიდეს წარმატებას — ჩილე საგარეო ვალის არმქონე ერთადერთ სახელმწიფოდ აქცია დასავლეთ ნახევარსფეროში.**

**3. „ჩვენ უნდა ვირჩევდეთ ჩვენს მომავალს, ისეთს, როგორიც მოგვწონს“.**

ისე გვთავაზობთ ამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებასავით მისაღებ აზრს, თითქოს, მრავალფეროვანი მომავალი გვეხატებოდეს წინ და ჩვენს გემოზე შეგვეძლოს ისეთის არჩევა, როგორიც მოგვწონს, ეს შტერი ქართველები კი მაინც საკუთარი თავისა და ქვეყნის დამღუპველ მომავალს ვირჩევდეთ. ისე, **ამ მოსაწონებელი მომავლის თაობაზე რამე ხომ არ ჩაუჩურჩულეთ მორიდებულად ძია სემს ყურში? მხოლოდ სამოქმედო დირექტივებით ხელდამშვენებული ჩამობრძანდით ვაშინგტონიდან?**

**4. „ჩვენი პოლიტიკა არ გვეუბნება, როგორი უნდა იყოს ქვეყანა სტრატეგიულად, რა როლი უნდა ითამაშოს მსოფლიო თანამეგობრობაში... რა როლი უნდა ვითამაშოთ ევროპულ ოჯახში, რის გამო უნდა გვცენ პატივი ჩვენმა მეზობლებმა და სხვა ქვეყნებმა“.**

პოლიტიკა არ გვეუბნება, რის გამო უნდა გვცენ პატივი მეზობლებმაო. როგორ დაიმსახურო პატივისცემა, ეს თუ არ იცი პოლიტიკაში მიმავალმა ზრდასრულმა კაცმა და ამის თქმას ხელისუფლების პოლიტიკისგან მოელი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! და კიდევ — **სააკაშვილის 10-წლიანი პოლიტიკა ყველაფერს გასაგებად და მისაღებად(!) გეუბნებოდათ, ბატონო პაატა, გატრუნული რომ იყავით?!**

ჩვენი პოლიტიკა არ გვეუბნება, რა როლი უნდა ვითამაშოთ მსოფლიო თანამეგობრობაშიო. **მსოფლიო „თანამეგობრობაში“ ჩვენისთანა ნიჭიერ, ნებისმიერი როლის შემსრულებელ ხალხს, აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, მართლაც რომ გვათამაშებენ, როგორც თოჯინებს, სპეციალურად ჩვენთვის დაწერილი სცენარის მიხედვით — ეს თუ არ იცით, ბატონო პაატა, პოლიტიკაში რა გინდათ?!** ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანი, რაც უნდა კეთილი სურვილები ამოძრავებდეს, ნაბიჯს ვერ გადადგამს თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად და მხოლოდ ფუჭ, უტოპიურ იმედებს ჩაუსახავს მოსახლეობას.



**ძნელი მისახვედრი არ არის ის, რომ პაატა ბურჭულაძე და მისი გუნდი ამერიკის ინტერესების გასატარებლად, ნაცების გასაძლიერებლადაა შექმნილი და არა — საქართველოს ინტერესების დასაცავად**

**5. „ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ვერ ვხედავთ, როგორი სამშობლო გვექნება ხვალ. ეს, ეტყობა, ჩვენი საქმე არ არის, ეტყობა, ჩვენ ეს არ უნდა ვიცოდეთ“.**

რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები მსოფლიოს ბანს (და მეც ბანს ვაძლევ), არის ის, რომ საქართველოს მოქალაქეები ნამდვილად ვერ ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს, უფრო სწორად, ვხედავთ ძალიან მუქ ფერებში – დაგლახავებულს, ერთმანეთზე გადაკიდებულს, კიდევ უფრო დანაწევრებულ-დამცრობილს, მიწაგაყიდულსა და გადაგვარებულს.

**ეს, ეტყობა, ჩვენი საქმე არ არის, ეტყობა, ეს არ უნდა ვიცოდეთო, რომ ამბობთ, ამას „ეტყობა“, რად უნდა, ეს რომ ასე იყო გუშინაც, გუშინწინაც, დღესაც ასე რომ არის და ხვალაც — სააკაშვილის, უსუფაშვილის, ალასანიას პარტიებთან, ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებულ „არასამთავრობო“ ორგანიზაციებსა და სხვა ქინძ-გირჩებთან თქვენი ჩახუტების შემდეგაც (და შედეგად) ჩვენი ხვალინდელი დღე ჩვენი საქმე რომ არ იქნება, არც ეს იცით? და, თუ არ იცით და არც „პოლიტიკა“ გვეუბნება ამას, შორს წასვლა რისთვის გჭირდებათ?! აგერ, დიღომში გვყავს ამერიკის ელჩი, შეეკითხოდით მას და ამომწურავ პასუხს არ დაგამადლიდათ და არც რჩევებს დაიშურებდა! აჰ, უკვე დაგაკვალიანათ?**

**6. „და რატომ გინდათ, ხელისუფლებავ, რომ ხალხმა კიდევ 4 წელი გითმინოთ? ჩვენ ვაკვირდებოდით ყველას, ვინც ქართულ პოლიტიკაში რაიმე პოზიტიურის შექმნას ცდილობდა და გვერდით ვედექით; ჩვენ გვტკიოდა და გვიხაროდა და ბოლოს გასაგები გახდა, რომ არ შეგვიძლია გარედან ამის ყურება“.**

ეს დამაგვირგვინებელი ნაწილია პაატა ბურჭულაძის განცხადებისა.

**ჰმ, 10 წელი, როცა სააკაშვილის რეჟიმის სახელმწიფო ტერორი მძვინვარებდა, ითმენდა ეს კაცი და ახლა, როცა არც აწამებენ და აღარც აუპატიურებენ, როცა ქონებასაც აღარ ართმევენ სახელმწიფოს სახელით და ქუჩაში, ციხეებსა თუ პოლიციის განყოფილებებში უდანაშაულო ხალხს განუკითხავად სულს აღარ ხდიან, როცა გლეხს უფასოდ უხნავენ მიწას, სასუქის ფულსაც აძლევენ და სეტყვით მიყენებულ ზარალსაც უნაზღაურებენ, ახლა გახდა ხელისუფლება ისეთი აუტანელი, რომ მეტის მოთმენა თურმე აღარ შეუძლია?! საკრიტიკო და თანაც გვარიანად საკრიტიკო როგორ არ არის ამჟამინდელი ხელისუფლება, მაგრამ სირცხვილია, დიდი სირცხვილი მოთმენაზე ლაპარაკი იმ კაცის მხრიდან, რომელსაც 10 წელი პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული!**

„ჩვენ გვტკიოდა და გვიხაროდაო...“ თუ გტკიოდა, ამ ტკივილს მხოლოდ სიმღერით გამოხატავდით, ბატონო პაატა? იქნებ პოლიციის რეფორმა, იუსტიციის სახლი და ავღანეთ-აფრიკაში ამერიკის სახელით „საქართველოსთვის“ მეომარი და დაღუპული ბიჭები გიყუჩებდათ ამ ტკივილს? **ხმის ამოღებას ვერ ბედავდით და ახლა დიდი გული გაქვთ, ხომ? ან რა გიხაროდათ, „გვიხაროდაო“ რომ ამბობთ, დუმბაძის ენით რომ ვთქვათ: თუ ქვეყანა ინგრეოდა, თუ სოფელი უკაცრიელდებოდა და შენი სამშობლო ქართველებისგან იცლებოდა, თუ ტრადიციებს, ეკლესიასა და პატრიარქს დასცინოდნენ და გიგინებდნენ, შენ რა გიხაროდა, შე კაიდედმამიშვილო (არადა, მართლაც კარგი დედმამის შვილია)?!**

გარედან ამის ყურება აღარ შეგვიძლიაო, შიგნიდან ყურება უფრო ადვილად გეჩვენებათ? **თუ გაბედავთ და პოლიტიკაში მომყვან ძალას აუხდებით ისე, როგორც ეს პრეზიდენტად დასმულმა მარგველაშვილმა მოიმოქმედა „მადლობის“ ნიშნად?!** უკაცრავად, რა ბრძანეთ, არავის არ მოუყვანიხართ? **თქვენით გადაწყვიტეთ ოპერის სცენიდან პოლიტიკის სამზარეულოში თავის შეყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და აქ ამერიკა არაფერ შუაშია? პოტომაკის ნაპირებზე კონსულტაციების მისაღებადაც თქვენივე ინიციატივით ჩადიხართ? დავიჯერებდით დაუჯერებელს, მაგრამ თქვენი პარტიის იდეოლოგის, თანაც — „ექსპერტის“, ქალბატონი ხათუნა ლაგაზიძის აღიარებას რა ვუყოთ?**

„ფაქტი გახლავთ ის, რომ დღეს მთელი პოლიტიკური სპექტრი არის გაკოტრებული და, უბრალოდ, პაატა ბურჭულაძეს დღეს არ ჰქონდა უფლება ისევე, როგორც მის გუნდს, ქვეყანა დაეტოვებინა გაკოტრებული პოლიტიკური სპექტრის იმედად. პოლიტიკური სპექტრით იმედგაცრუება ქმნის დესტაბილიზაციის საკმაოდ მაღალ რისკს და, ბუნებრივია, რომ, როგორც საზოგადოება ქვეყნის შიგნით, ასევე **ჩვენი დასავლელი პარტნიორები ეძებდნენ იმ ადამიანს, იმ გუნდს, რომელსაც ექნებოდა რესურსი, სწორედ სტაბილურობის მუხტი, განვითარების მუხტი შემოეტანა, შემოეთავაზებინა, ეს იყო გადამწყვეტი“,** — გვამცნო ქალბატონმა ხათუნამ „მაესტროს“ ეთერით.

**საზოგადოებას რომ არ შეურჩევია პაატა ბურჭულაძე, საზოგადოება რომ, პირიქით — გუ-** ▶

## „მოვითხოვთ, დამყარდეს საგადასახადო სამართლიანობა საქართველოში და მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა სასწრაფოდ აღადგინოს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი ქვეყანაში.“

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლისტკივილით შეხვდა პოლიტიკაში მის ჩართვას — ეს არაერთმა გამოკითხვამ დაადასტურა, როცა ათიდან ცხრა რესპონდენტმა ჩათვალა, რომ ეს დიდი შეცდომაა დიდი მომღერლის მხრიდან, რომ გარედან თავსმოხვეული პოლიტიკა მას დააკარგვინებს ხალხის სიყვარულს, ისევე, როგორც ეს დაემართა ბატონ ბიძინა ივანიშვილს,** რომელიც თავიდანვე დაუფიქრებლად, უფრო კი, ვფიქრობ, იძულებით დაჰყვა დასავლეთის ნებას — პოლიტიკაში წასვლას და უსუფაშვილ-ალასანიას პარტიების პარლამენტში გაყვანას, პრემიერმინისტრობიდან მალევე გადადგომას და, შემდეგ ამერიკის ელჩის „რეკომენდაციების“ ხელისუფლებისთვის მიწოდებას.

დასავლელმა პარტნიორებმა, უფრო ზუსტად კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ნამდვილად მოძებნა ასეთი ადამიანი პაატა ბურჭულაძის სახით (ისევე, როგორც 2011-ში – ბიძინა ივანიშვილი) და, რადგან გუნდსაც ეძებდნენ (დავუჯეროთ ქალბატონ ხათუნას), მისი ბირთვიც, ლაგაზიძის ჩათვლით, ამ უწყების შერჩეული იქნება უდავოდ! აქედან გამომდინარე, **ძნელი მისახვედრი არ არის ის, რომ პაატა ბურჭულაძე და მისი გუნდი ამერიკის ინტერესების გასატარებლად, ნატების გასაძლიერებლადაა შექმნილი და არა — საქართველოს ინტერესების დასაცავად (რაღა დაგიმალოთ და მგონია, რომ, ივანიშვილის მსგავსად, ბურჭულაძეც გამოჭერილი ჰყავთ რაღაცაში ამერიკის სპეცსამსახურებს და, როგორც გაეხარდებათ, ისე გააჭენებენ).**

შეიძლება პროამერიკელიც იყო და პრონაციც ან სხვა პრო. კაცია და გუნება, ამაში უცნაური არაფერია, ასეც უნდა იყოს ნორმალურ სახელმწიფოში – ყველა ადამიანი ერთნაირად ხომ არ იაზროვნებს, მაგრამ **გასაკვირია, როცა მმართველი ძალა – „ქართული ოცნება“ — პრემიერ კვირიკაშვილის პირით ამბობს, არაპროამერიკულად, ანუ პრორუსულად, სანახევროდ(!) პრორუსულადაც განწყობილი არც ერთი ადამიანი არ უნდა მოხვდეს პარლამენტში ასარჩევ კანდიდატთა სიაშიო. ცუდია, ძალიან ცუდი და ქვეყნისთვის დამღუპველი, როცა პრემიერი, პრეზიდენტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მხოლოდ პროდასავლურ კურსს გვაძალებენ და როცა ამ კურსის მართებულობაში დაეჭვებულებს (25-წლიანი მწარე გამოცდილების შემდეგ თვალახელილებს) მოღალატეებად, აგენტებად და რუსეთის მონებად (იხ. ლაგაზიძის დებატების ლექსიკონი) აცხადებენ.** მაგრამ რა ქნან, როცა სხვა გამოსავალი, ანუ არგუმენტი არ აქვთ, ცილისწამებასა და შეურაცხყოფაზე კი, სწორედ დასავლეთის მიერ დაკანონებული „სიტყვის თავისუფლებიდან“ გამომდინარე, პასუხი არ მოეთხოვებათ! არადა, **ყველას, ლაგაზიძის ჩათვლით, შევახსენებ, რომ მხოლოდ 25 წელია, რაც ნამდვილ მონებად ვიქეცით, როცა მოსახლეობის ერთი მესამედი, ორ მილიონზე მეტი ადამიანი, ავიყარეთ მამაპაპისეული მიწიდან და მოჯამაგირეებად, შავ მუშებად მოვედეთ მსოფლიოს. სწორედ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ამერიკის გავლენის სფეროში მოხვედრის შემდეგ დავჩაჩანაკდით და არა მაშინ, როცა საქართველოს ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა მეფე ერეკლემ, რის შედეგადაც კი არ დავკნინდით, როგორც დღეს, არამედ ფიზიკურად გადავრჩით, გავმრავლდით და გავფართოვდით, ისე გავძლიერდით და ავყვავდით განათლება-კულტურასა და სპორტში, რომ „კოლონიზატორი“ რუსი ხალხი შურის თვალით შემოგვცქეროდა „კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავ“ ქართველებს!**

პირდაპირ უნდა ვთქვა: მომავალი არჩევნებიდან ბევრი ფაქტორის გამო (უპირველესად, გამოკვეთილი ლიდერის არარსებობის გამო), ბევრს არაფერს მოველი. ბევრს მოველოდით 2003 წლის „ვარდების“ რევოლუციისა (გადატრიალების) და 2012 წლის არჩევნების შემდეგ (აღარაფერი რომ არ ვთქვა, საზოგადოდ, ამერიკული დახმარების 25-წლიან მოლოდინზე დემოკრატიული, სამართლიანი სახელმწიფოს შენების საქმეში), მაგრამ ჩვენი „იონჯა არც ერთ გაზაფხულზე არ მოვა“, წელში ვერასოდეს გავიმართებით. **ჩვენისთანა პატარა, 3-მილიონიან ქვეყანას ამერიკა, სურვილის შემთხვევაში, 2-3 წელიწადში დააყენებდა ფეხზე, ეკონომიკურად წელში გამართავდა და მეოთხედი საუკუნე დაჩოქილი მათხოვრის პოზაში არ გვამყოფებდა, მაგრამ ფეხზე მყარად მდგარი და ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველო ამერიკას (და არც არავის) არ სჭირდება, რადგან დიდი ალბათობაა იმისა, რომ სხვის ხელებში არშემყურე სახელმწიფოები ისევე მიუჩენენ თავის ადგილს სხვის საშინაო საქმეებში ცხვირის ჩამყოფ ამერიკის ელჩს, „ენ-დი-აის“, „აი-არ-აისა“ და მეხუთე კოლონის ფუნქციების მქონე „არასამთავრობოებს“, როგორც ეს არა მხოლოდ რუსეთმა, არამედ მეზობელმა აზერბაიჯანმაც გააკეთა!**

დასასრულ — ისევ კრიტიკის ადრესატს მივუბრუნდები. როდესაც სახელმწიფოს მართვაზე პრეტენზიის მქონე ადამიანი ამდენ ლაფსუსს დაუშვებს წინასწარ მომზადებულ (ალბათ, ლაგაზიძის მიერ) ერთგვერდიან განცხადებაში, ადვილი წარმოსადგენია, რა „სასიამოვნო“ სიურპრიზები გველის წინ ექსპრომტად გაკეთებულ კომენტარებში (მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტთან სავარაუდო შეხვედრის ან სექსის „სიმდიდრის“ თაობაზე).

ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

**იაკობ ლეჟავა**

# ღია წერილი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ მეჭიაურს

**ბატონო თამაზ, გიდასტურებთ ჩვენს უდიდეს პატივისცემას, როგორც ეროვნული ინტერესების გამტარებელ და დემოკრატიული ღირებულებების მხარდამჭერ ერთ-ერთ მაღალკვალიფიციურ და ნათელ სახეს ქართულ პოლიტიკაში. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩარევითა და მხარდაჭერით უთუოდ დაჩქარდება საგადასახადო სამართლიანობის აღდგენის თაობაზე ქვემოთ მოყვანილი ჩვენი წინადადებების განხორციელება საქართველოში.**

მოგეხსენებათ, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 2004 წელს, შეცვალა და თავის თავზე მოირგო საქართველოს საგადასახადო კოდექსი; გააუქმა პროგრესული ფორმის საშემოსავლო გადასახადი, რომლის განაკვეთები იზრდებოდა საგადასახადო ბაზის, ანუ ფიზიკურ პირთა შემოსავლის გაზრდასთან ერთად 12-დან 15, 17 და 20%-მდე. ამის მაგიერ შემოიღეს პროპორციული ფორმის საშემოსავლო გადასახადი, რომლის მიხედვითაც ყველა ფიზიკურ პირს, როგორც მაღალშემოსავლიან მდიდრებს (ნაცმოძრაობის ელიტას), ისე დაბალშემოსავლიან ღარიბებს (მოსახლეობის უდიდეს ნაწილს) საშემოსავლო გადასახადის გადახდა დაეკისრათ ფიქსირებული 12-პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთით. იმხანად „ნაციონალებმა“ ატეხეს ხმაური და დაიწყეს პიარი, რომ მათ მნიშვნელოვნად შეუმცირეს საშემოსავლო გადასახადი მშრომელ ხალხს. სინამდვილეში კი მხოლოდ თავიანთ თავს შეუმცირეს საშემოსავლო გადასახადი, თორემ მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის საგადასახადო განაკვეთი ისევ 12 პროცენტი დარჩა.

შემდგომ, **როცა დაეპატრონენ და წილებში ჩაუჯდნენ ყველა ბიზნესს, ხელისუფლებამ მეპატრონეებისთვის, ანუ დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი სოცდაზღვევის გადასახადი შეიტანა საშემოსავლო გადასახადში, განაკვეთი ასწია 20%-მდე და ეს საგადასახადო ტვირთი აჰკიდა დასაქმებულებს, ანუ მშრომელ ხალხს, რაც დღემდე გრძელდება.**

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ **სააკაშვილის მთავრობის მიერ გადადგმული როგორც აღნიშნული, ისე სხვა ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯები არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით ან უცოდინარობით დაშვებულ შეცდომებად. პირიქით, მათი ყველა ნაბიჯი იყო გააზრებული, მიზანმიმართული და მორგებული მმართველი ელიტისა და ერთი მუჭა მაღალჩინოსნების უსაზღვროდ გამდიდრებასა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი მსხვილი მონოპოლიური ბიზნესის ინტერესებზე.**

სამწუხაროდ, უკვე მეოთხე წელია, კოალიცია **„ქართულ ოცნებაში“ ჩაბუდებული მედროვეების ზეგავლენით ქვეყნის მთავრობა და მისი ეკონომიკური გუნდი არც კი ფიქრობს „ნაცმოძრაობისგან“ მემკვიდრეობით მიღებული ზემოაღნიშნული და სხვა ანტიეროვნული ნამოქმედარის გამოსწორებასა და სამართლიანობის აღდგენას.** მათ არ სურთ, გაიგონ, რომ საერთაშორისო პრაქტიკისა და მსოფლიო გამოცდილების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის პროგრესული ფორმა უფრო სამართლიანი, ჰუმანური, სოციალურ გათანაბრებაზე ორიენტირებული და ეფექტიანია სხვა ფორმებთან შედარებით. მათ არც ის უნდათ დაინახონ, რომ **თანამედროვე ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, მათ შორის, ევროგაერთიანების უკლებლივ ყველა ქვეყანაში გამოიყენება სწორედ პროგრესული საშემოსავლო გადასახადები ზღვრულ საგადასახადო სარგოებს შორის ფართო დიაპაზონით.** მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში მოქმედი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს შორის დაწესებული ინტერვალის დიაპაზონი შეადგენს 0-დან 50%-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 10-დან 35%-მდე, გერმანიაში — 14-დან 45%-მდე, საფრანგეთში — 10,5-დან 47%-მდე, ესპანეთში — 24-დან 43%-მდე, პორტუგალიაში — 0-დან 43%-მდე, იტალიაში — 23-დან 43%-მდე, დანიაში — 38-დან 59%-მდე, ბელგიაში —25-დან 50%-მდე, ნიდერლანდებში — 0-დან 52%-მდე, ავსტრიაში —21-დან 59%-მდე, ნორვეგიაში — 28-დან 51%-მდე, შვედეთში — 0-დან 56%-მდე, ირლანდიაში —20-დან 41%-მდე, ისრაელში — 10-დან 47%-მდე, სინგაპურში — 3,5-დან 20%-მდე, იაპონიაში — 5-დან 40%-მდე და ა. შ.** უფრო მეტიც, საფრანგეთის პრეზიდენტს **ფრანსუა ოლანდს** დროებით შემოღებული აქვს **75-პროცენტიანი გადასახადი ფიზიკური პირების მიერ წელიწადში ერთი მილიონი ევროს ზევით მიღებულ შემოსავალზე,** რითაც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, სავსებით სამართლიანად, ძირითადად დაკისრებული აქვს მოსახლეობის მდიდარ ფენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ **სამარცხვინოდ მიგვაჩნია იმ ეგოისტი ვაი-ექსპერტების მოსაზრებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პროგრესული ფორმის საშემოსავლო გადასახადის პირობებში თურმე ირღვევა ადამიანთა თანასწორუფლებიანობა, რაც წინააღმდეგობაში მოდისო საქართველოს კონსტიტუციასთან. მათი ლოგიკით გამოდის, რომ ევროკავშირში შემავალ ყველა ქვეყანასა და მსოფლიოს წამყვან ცივილიზებულ სახელმწიფოებში პროგრესული საშემოსავლო გადასახადების გამოყენების გამო გამეფებულია ადამიანთა დისკრიმინაცია და ფეხქვეშ ითელება მათი უფლებები, რაც სრული აბსურდია.** სინამდვილეში, ზემოაღნიშნულ მაღალგანვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში, უპირველად, ყურადღება ექცევა იმ დისკრეციული თანხის მოცულობას, რომელიც რჩება სხვადასხვა შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების ხელში მათი დაბეგვრის შემდეგ და იმას, თუ როგორ არის დაცული ჰუმანურობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, **ჩვენი მთავრობის შემადგენლობაში მყოფი ფულს დახარბებული მაღალჩინოსნების ნაწილს დაკარგული აქვს სოლიდარობის განცდა ქვეყნის შედარებით დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მიმართ და ხელმძღვანელობს ცნობილი ქართული ანდაზით „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“. მათ გადაწყვიტეს, ჭეშმარიტებად ჩათვალონ ზემოაღნიშნული ვაი-ექსპერტების მცდარი მოსაზრებები, უცვლელად შეინარჩუნონ თავიანთი მაღალი შემოსავლები და განაგრძონ უზრუნველი ცხოვრება სააკაშვილისდროინდელი პროპორციული საშემოსავლო გადასახადის პირობებში.** ასეთი აგდებული დამოკიდებულება დაბალშემოსავლიანი ფართო მასების მიმართ მათვე დაუბრუნდებათ ბუმერანგივით და მიიღებენ სოციალურ აფეთქებასა და აღშფოთებული ხალხის გამოსვლას ქუჩაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **მოვითხოვთ, დამყარდეს საგადასახადო სამართლიანობა საქართველოში და მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა სასწრაფოდ აღადგინოს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი ქვეყანაში.** ამ წინადადების რეალიზება ადვილად შეიძლება და მისი განხორციელება მრავალ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. მოსახლეობის მცირეშემოსავლიან ნაწილს მნიშვნელოვნად შეუმცირდება საშემოსავლო გადასახადი, რაც მათ მისცემს გარკვეულ ფინანსურ შვებას და შეამცირებს სოციალური დაძაბულობის საფრთხეს. ამას გარდა, თუ პროგრესული საშემოსავლო გადასახადის ზედა ზღვრული სარგო გაუტოლდება 56%-ს, როგორც ეს შვედეთშია, ან 59%-ს, როგორც ეს არის ავსტრიასა და დანიაში, მნიშვნელოვნად მოიმატებს შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის მთავრობას სხვადასხვა ჰუმანური და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღება საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირ ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელობას, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებულ ზოგიერთ გაზულუქებულ, მაღალშემოსავლიან მუშაკს მნიშვნელოვნად გაუნელებს სწრაფვას, დაინიშნოს მაღალი დანამატები ხელფასზე და გამოიწეროს პრემიები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აგრეთვე, რომ **სოციალური გადასახადი გამოეყოს საშემოსავლო გადასახადს და მისი გადახდა კვლავ დაეკისროს იურდიულ პირებს, ანუ დამსაქმებლებს, რომლებიც არ შეიძლება, არ იყვნენ პასუხისმგებელნი და დაინტერესებულნი მათ მიერ დასაქმებული მუშაკების სოციალური მდგომარეობით. ჰუმანური იქნებოდა და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა საარსებო მინიმუმთან გატოლებული დაუბეგრავი მინიმუმისა და მისი ინდექსაციის შემოღება ქვეყანაში, გარკვეული საგადასახადო შეღავათების ამოქმედება იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებსაც ჰყავთ ოჯახები, კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილები, პენსიონერი მშობლები, ინვალიდები და სხვა უნარშეზღუდული წევრები, როგორც ეს არის საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები:

**ანზორ აბრალავა, თამაზ ბაქრაძე,
აკაკი გაბელაია, ლევან გაბელაია,
ვახტანგ დათაშვილი, შოთა ვეშაპიძე,
იგორ კვესელავა, პაატა კოღუაშვილი,
ნინო ლაზვიაშვილი, პარმენ ლემონჯავა,
ციალა ლომაია, გიორგი მალაშხია,
რამაზ ოთინაშვილი, თამარ როსტიაშვილი,
კარლო ღურწკაია, შოთა ყიზილაშვილი,
კონსტანტინე ყიზილაშვილი,
ნოდარ ცანავა, ზაურ ციხელაშვილი**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბრედლის“ შეიარაღება — ეს არის: ავტომატური ქვემეხი მსუბუქჯავშნიანი მიზნების წინააღმდეგ საბრძოლველად; ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები მოწყობილობა. ქსა-3-ის შეიარაღება, ბრედლისთან შედარებით, უფრო მძლავრია: 100 და 30 მმ-იანი ქვემეხები და 7,62 მმ-იანი კალიბრის ტყვიამრქვევი. შეიარაღების ამ კომპლექსს შეუძლია როგორც ტანკების წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე, სანგრებში გამაგრებული მტრის ქვეითების განადგურება. ბრძოლებში კი მძლავრ შეიარაღებას გადამწყვეტი როლი ენიჭება.**

# რომელი პარამეტრებით სჯობს რუსული ქვეითთა საბრძოლო მანქანა ამერიკულ «ბრედლის»



**ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი — 2016“, რომელშიც 1300 სამხედრო (500 — ქართველი, 650 — ამერიკელი, 150 — ბრიტანელი) მონაწილეობდა, თბილისში, ვაზიანში ამა წლის 11 მაისს დაიწყო და 26-ში დასრულდება. ამერიკელებმა ამ სწავლებაში მონაწილეობისთვის ჩამოიტანეს ტანკები M1A2 „აბრამსი“ და ქვეითთა საბრძოლო მანქანა M2 „ბრედლი“.**

„საქართველო და მსოფლიოს“ 2016 წლის მე-17 ნომერში ვწერდით ამერიკულ „აბრამსსა“ და რუსულ „ამარტაზე“, ამჯერად კი გთავაზობთ სამხედრო ექსპერტების შეფასებებს ამერიკული „ბრედლისა“ და რუსული БМП-3-ს ტექნიკურ მახასიათებლებზე.

ექსპერტები, პირველ რიგში, აღნიშნავენ, რომ ორივე მანქანა ერთი და იმავე თაობის საბრძოლო ტექნიკის წარმომადგენელია.

ამერიკის შეერთებული შტატების არმია „ბრედლით“ 1981 წელს შეიარაღდა, საბჭოთა კავშირის (რუსეთის) არმია კი БМП-3-ით — 1987 წელს. ორივე მანქანა შეიქმნა ფრონტის წინა ხაზზე საჯარისო ფორმირებების ბრძოლებში მონაწილეობისთვის ტანკებთან ერთად.

მიუხედავად ერთნაირი მიზნებისა და ამოცანებისა, ეს საბრძოლო მანქანები ერთმანეთისგან ბევრი პარამეტრით განსხვავდება, პირველ რიგში — სიჩქარითა და მანევრულობით. „ბრედლის“ ევოლუციისას აქცენტი გაკეთდა დაცვის გაძლიერებაზე და მანქანის საბრძოლო მასა დინამიკური ჯავშნის გამოყენების გამო 30 ტონამდე გაიზარდა, რაც თითქმის გამორიცხავს წყლის წინაღობების გადალახვას, ეს კი მექანიზებული შენაერთებისთვის მნიშვნელოვანი პარამეტრია. **БМП-3 კი 18,7 ტონას იწონის, ხასიათდება მაღალი მანევრულობით და შეუძლია თავისუფლად გაცუროს წყალში, ამასთანავე, აქვს მაღალხარისხიანი ჯავშანი** (ჯავშანის სიმტკიცის მხრივ ორივე საბრძოლო მანქანის მონაცემები ერთნაირია).

ამერიკული და რუსული ქვეითთა საბრძოლო მანქანების ჯავშანი უზრუნველყოფს 25-30 მმ-იანი ჭურვებისგან დაცვას როგორც პირდაპირ, ისე გვერდებიდან მოხვედრისას, აგრეთვე, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებისგან დაცვას.

„ბრედლის“ შეიარაღება — ეს არის: ავტომატური ქვემეხი მსუბუქჯავშნიანი მიზნების წინააღმდეგ საბრძოლველად; ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები მოწყობილობა.

БМП-3-ის შეიარაღება, ბრედლისთან შედარებით, უფრო მძლავრია: 100 და 30 მმ-იანი ქვემეხები და 7,62 მმ-იანი კალიბრის ტყვიამრქვევი. შეიარაღების ამ კომპლექსს შეუძლია როგორც ტანკების წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე, სანგრებში გამაგრებული მტრის ქვეითების განადგურება. ბრძოლებში კი მძლავრ შეიარაღებას გადამწყვეტილი როლი ენიჭება.



**„ბრედლის“ ტექნიკური მახასიათებლები:**

ს2 „ბრედლი“ — ეს არის აშშ-ის სახმელეთო ჯარების საბრძოლო მანქანა, რომელსაც სახელი გენერალ ომარ ბრედლის პატივსაცემად დაერქვა.

ამერიკული საბრძოლო მანქანის შექმნა ჯავშანტრანსპორტიორ M113-ის ბაზაზე დაიწყო 1971 წელს საბჭოთა ქსა-1-სა და გერმანული Marder-ის გავლენით. 1981 წლიდან კი აშშ-ის არმიის შეიარაღებაშია. გამოშვებულია 9753 ერთეული.

* ეკიპაჟი — 3 კაცი.
* დესანტი — 6 კაცი (ს2A3-ში — 7 კაცი)
* მასა — 27 ტ (M2A3-ის — 30 ტ)
* სიგრძე — 6550 მმ
* სიგანე — 3280
* სიმაღლე — 2972
* ჯავშანი — კომბინირებული — ფოლადისა და ალუმინის
* შეიარაღება:

25 მმ-იანი ქვემეხი (M242) 900 ჭურვით;

დღისა და ღამის ხედვის მოწყობილობები

ტყვიამფრქვევი — 1X7.62 მმ-იანი, 2200 ვაზნით; ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები მოწყობილობა 2 X TOW

* რაკეტის სროლის სიშორე — 2 კმ
* ძრავის სიმძლავრე — 500 ცხ. ძ.
* სიჩქარე (მაქსიმალური) — 66 კმ/სთ
* სვლის რეზერვი — 480 კმ



**БМП-3-ის ტექნიკური მახასიათებლები**

БМП-3 (ქვეითთა საბრძოლო მანქანა — 3) — სსრკ-ისა და რუსეთის ჯავშანმანქანაა, რომლის დანიშნულებაც არის პირადი შემადგენლობის გადაყვანა წინა ხაზზე. ჯარისკაცების მობილურობის, შეიარაღებისა და დაცვის ამაღლება ფრონტზე სატანკო ბრძოლებისა და ბირთვული იარაღის გამოყენების პირობებში.

ექსპლუატაციაშია 1987 წლიდან, გამოშვებულია 1500 ერთეულზე მეტი.

* ეკიპაჟი — 3 კაცი.
* დესანტი — 5 + 2 (კორპუსის წინა ნაწილში არსებული დამატებითი ადგილების ხარჯზე) კაცი
* მასა — 18,7 ტ
* სიგრძე — 6,700 მმ
* სიგანე — 3300 მმ
* სიმაღლე — 2300 მმ
* ჯავშანი — კომბინირებული — ფოლადისა და ალუმინის
* შეიარაღება

100 მმ-იანი ქვემეხი — 1.

30 მმ-იანი ქვემეხი — 1.

დღისა და ღამის ხედვის მოწყობილობები (ლაზერული მზომით).

ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები მოწყობილობები

რაკეტის სროლის სიშორე — 4 კმ

* ძრავის სიმძლავრე — 500 ცხ. ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 70 კმ/სთ
* სვლის რეზერვი — 600 კმ

# «ლეგენდარული იარაღი»



## FN Five-seveN (ბელგია)

**პისტოლეტი „ფაივ-სევენი“ ბელგიურმა ფირმა „ფაბრიკ ნეიშენალ პერსელმა“ 2000 წელს შექმნა და ამ იარაღმა დროთა განმავლობაში დიდი პოპულარულობა მოიხვეჭა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებსა და სამართალდამცველთა შორის.**

*** მასა — 0,610 გრ უვაზნებოდ, 0744 გრ ვაზნებით.**

*** სიგრძე — 208 მმ**

*** ლულის სიგრძე — 122 მმ**

*** ვაზნები — 5,7X28 მმ**

*** მიზანში ზუსტად სროლის მანძილი — 50 მ**

*** სროლის მაქსიმალური სიშორე — 1510 მ.**



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლებმა ამერიკულ სადაზვერვო თვითმფრინავს გზა მოუჭრეს

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჩინეთის ორი გამანადგურებელი ამერიკულ სადაზვერვო თვითმფრინავს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, საერთაშორისო წყლების თავზე, დაედევნა და გზა მოუჭრა. ინციდენტი 17 მაისს მოხდა.**

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კონფრონტაციის რისკი ამ რეგიონში ორივე ქვეყნის სამხედრო აქტიურობის გამო გაიზარდა.

ამ რეგიონში ჩინეთს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს ბრუნეისთან, მალაიზიასთან, ვიეტნამთან, ფილიპინებსა და ტაივანთან. ჩინეთს მიაჩნია, რომ მისი საკუთრებაა არქიპელაგები სინშა და ნანშა, რომლებზეც პრეტენზია აქვთ სხვა ქვეყნებსაც.

აშშ რეგულარულად ადანაშაულებს ჩინეთს რეგიონის მილიტარიზაციაში, ჩინეთი კი ამ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს. ამასთანავე, ვაშინგტონი ამ ტერიტორიებს სადავოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ უფლება აქვს, „იფრინოს, იცუროს და იმოქმედოს ყველგან, სადაც ნებადართულია საერთაშორისო სამართლით“.



აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლოს რუსულმა თვითმფრინავმა კამჩატკის თავზე გზა მოუჭრა ამერიკულ სადაზვერვო თვითმფრინავს —„ბოინგ P-8“-ს.

# ამერიკული ბომბდამშენი წყნარი ოკეანის კუნძულზე ჩამოვარდა

**აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 წყნარ ოკეანეში მდებარე გუამზე ჩამოვარდა. კატასტროფა თვითმფრინავის აფრენიდან რამდენიმე წამში მოხდა.** ეკიპაჟი (7 კაცი) უვნებლად გადარჩა — მოასწრეს გამოსვლა, ვიდრე თვითმფრინავი აალდებოდა.

B-52 „სტრატოფორტრესი“ — ეს არის კომპანია „ბოინგის“ მრავალფუნქციური სტრატეგიული რაკეტმზიდი ბომდამშენი, რომელსაც აშშ-ის არმია 1956 წლიდან იყენებს.



**დაინტერესებულებს შეეძლებათ ფეკალიების რამდენიმე სახეობის დათვალიერება — დაწყებული 140 მლნ წლის წინათ დედამიწის ბინადარი ცოცხალი ორგანიზმების გაქვავებული ექსკრემენტებით, დამთავრებული ლომის, მელიის, ლოსის, მტრედისა და ფაუნის სხვა წარმომადგენელთა თანამედროვე ნიმუშებით.**

ეს უნდა ვიცოდეთ



# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## აშშ-ის სახმელეთო ჯარების მინისტრად ჰომოსექსუალი დანიშნეს

**აშშ-ის სენატმა რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახმელეთო ჯარების მინისტრად ერთხმად დაამტკიცა ერიკ ფენინგი. ამრიგად, ფენინგი პირველი გეია, რომელიც აშშ-ის არმიის ერთ-ერთ სახეობას უხელმძღვანელებს.**



ფენინგი, რომელიც აშშ-ის სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელის პოსტზე პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** წარადგინა, ადრე სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრის მოადგილედ და თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსად მუშაობდა.

არმიის მინისტრი პენტაგონში სამოქალაქო პოსტია. პირი, რომელიც ამ პოსტს დაიკავებს, პასუხისმგებელია სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაზე, აგრეთვე, იარაღის შეძენასა და საფინანსო საკითხებზე.




## ჰიტლერის «მაინ კამპფი», შესაძლოა, გერმანიის სკოლების სასწავლო პროგრამაში შეიტანონ

**ბავარიის ფედერალური მიწის პარლამენტი (ლანდტაგი) განიხილავს შესაძლებლობას, 15-17 წლის მოზარდების სასწავლო პროგრამაში ადოლფ ჰიტლერის წიგნის — „მაინ კამპფის" („ჩემი ბრძოლა") შეტანის შესახებ.**

იდეის ერთ-ერთი ავტორის, რეგიონის დეპუტატ **ტომას გერინგის** (იმედია, მისი და ნაცისტების ერთ-ერთი მეთაურის, ჰერმან გერინგის, გვარის დამთხვევა შემთხვევითია — ნ.კ.) აზრით, „წარსულში ჩადენილი შეცდომების ცოდნა მოზარდებს დაიცავს ახალი მემარჯვენე იდეოლოგიისგან". ეს არ არის ამ რეზონანსული ინიციატივის განხორციელების პირველი მცდელობა. უფრო ადრე გერმანიის განათლების მინისტრმა **იოჰანა ვანკამ** წამოაყენა წინადადება გერმანული სკოლების სასწავლო პროგრამაში ჰიტლერის წიგნის შეტანის შესახებ.

ხელისუფლების ამ ნაბიჯმა ქვეყანაში, რომელშიც საიმიგრაციო პოლიტიკას საზოგადოება მწვავედ აკრიტიკებს, შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდების გადახრა ნაციონალ-სოციალიზმის მხარეს. ამ თემატიკის მიმართ გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენა იჩენს ინტერესს. „2016 წლის დასაწყისში „მაინ კამპფის" ბოლო გამოცემის მთელი ტირაჟი წინასწარ, მაღაზიის დახლებზე გამოჩენამდე გაიყიდა — „შპიგელის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 55 ათასი ეგზემპლარი.

გერმანიაში მემარჯვენე პარტიების გააქტიურება შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია, მთავრობა კი ისე იქცევა, თითქოს ვითარებას აკონტროლებს. ახლახან ულტრამემარჯვენე პარტია „პეგიდის" მიტინგზე, პირველად ბოლო 70 წლის განმავლობაში, გაისმა მოწოდება „გერმანია, გაიღვიძე!". რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლოზუნგისთვის ციხეში სვამდნენ, ახლა კი მას ყურადღებას არავინ აქცევს.

## უკრაინელებმა ჯამალას გამოსახულებიანი საცვლების გაყიდვა დაიწყეს

**„ნეზალეჟნაიას" მოხერხებულმა ბიზნესმენებმა „ევროვიზიის" კონკურსში უკრაინრელი მომღერლის გამარჯვებით გამოწვეული საყოველთაო აღტაცებით ისარგებლეს და მომღერალ ჯამალას გამოსახულებიანი საცვლები დაამზადეს.**




ვებგვერდ Amazon-ზე ახალგამომცხვარი ვარკვლავის თაყვანისმცემლებს სთავაზობენ, შეიძინონ ზურგჩანთები, მაისურები, შორტები და ტრუსებიც კი, რომლებზეც „ევროვიზია-2016"-ის გამარჯვებულია გამოსახული.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსეს პეტიცია — მოსახლეობის ნაწილი ჯამალასთვის „უკრაინის გმირის" წოდების მინიჭებას ითხოვს.

## ბრიტანელებმა ფეკალიების ეროვნული მუზეუმი გახსნეს





**ლა მანშის სრუტეში მდებარე დიდი ბრიტანეთის ყველაზე დიდ კუნძულ უაიტზე (ჰემფშირის საგრაფო) ფეკალიების ეროვნული მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის ექსპოზიციის დათვალიერება ზაფხულის დასასრულამდე შეიძლება, შემდეგ ის „გასტროლებზე" გაემგზავრება მსოფლიოს სხვა მუზეუმებში.**

ფეკალიების ეროვნული მუზეუმი რამდენიმე ბრიტანელი ბიზნესმენისა და უაიტის ზოოპარკის ხელმძღვანელთა თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა.

დაინტერესებულებს შეეძლებათ ფეკალიების რამდენიმე სახეობის დათვალიერება — დაწყებული 140 მლნ წლის წინათ დედამიწის ბინადარი ცოცხალი ორგანიზმების გაქვავებული ექსკრემენტებით, დამთავრებული ლომის, მელიის, ლოსის, მტრედისა და ფაუნის სხვა წარმომადგენელთა თანამედროვე ნიმუშებით.

მუზეუმში მოწყობილია რეტროს სტილის ტუალეტები, რომლებშიც გამოკრულია ინფორმაცია ცოცხალი ორგანიზმების მოქმედების ამ მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ.

კუნძულ უაიტზე მოწყობილი ფეკალიების ეროვნული მუზეუმი პირველია დიდ ბრიტანეთში. ამ კატეგორიის მუზეუმებში პირველობა ეკუთვნის იტალიას: იქ ემილია-რომანიას რეგიონში 2015 წელს შექმნეს ნეხვის მუზეუმი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უამრავი დამპყრობის აქლემების ქარავნებს გადაულახავთ ტაკლა-მაკანისა და გობის უდაბნოები, მაგრამ ჩინელმა ხალხმა გმირულად იბრძოლა, შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა და ის თავის ქვეყანაში თვალშისაცემი უმრავლესობაა: ჩინეთში ჩინელების რაოდენობა 94%-ს აღემატება.**

# სტალინი და მაო ძედუნი

## ნაწილი I

**ვიდრე ორი აზიელის ურთიერთობაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე ცნობა უნდა გაგაცნოთ ქვეყანაზე, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში „იმპერატორობდა“ მაო ძედუნი.**

როგორც სტალინია განუზომელი და უკიდეგანო, ასევე განუზომელი და გიგანტურია ჩინეთიც. ამ ქვეყნის ტერიტორია 9 600 000 კვადრატული კილომეტრია და მეტია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ინდოეთს 3-ჯერ აჭარბებს, 14-ჯერ დიდია საფრანგეთზე და 25-ჯერ — იაპონიაზე.

**ჩინეთში მოსახლეობის აღწერა ბევრჯერ სცადეს, მაგრამ, რადგან ჭეშმარიტებამდე ვერ მივიდნენ, ხალხს გამრავლების სრული თავისუფლება მისცეს და ჩინელთა რაოდენობამ უკვე 1,3 მილიარდს მიაღწია.**

ჩინეთი ცნობილია თავისი წიაღისეულით, იქ მოიპოვებენ ვოლფრამს, ურანს, ტიტანს, რომ არაფერი ვთქვათ ქვანახშირზე, ნავთობსა და ფერად ლითონებზე, რომელთა რესურსიც ჩინეთში განუსაზღვრელია.

**ბედნიერებით სავსე და ბოროტებით გაძეძგილ დედამიწაზე ცივილიზაცია სწორედ ჩინური დიდი კედლის თავზე გამოვლილი ოთხთვალა ეტლით შემოვიდა. ჩინეთის დიდი კედლის სიმაღლე რვიდან ათ მეტრამდე მერყეობს, ხოლო ფუძის სიგანე ექვსნახევარი მეტრია, კედლის თავზე გამავალი ცივილიზაციის გზის სიგანე კი ხუთ-ნახევარ მეტრს შეადგენს. ამ ურთულესი და უნიკალური ნაგებობის სიგრძე 5000 კილომეტრზე მეტია, ხოლო ჩინეთის საზღვრის საერთო სიგრძე 15000 კილომეტრს აღემატება.**

ჩინეთის დიდ კედელთან შედარებით არარად მოჩანს ეგვიპტის პირამიდები თუ ათენის აკროპოლისი, პიზის კოშკი და სემირამიდას დაკიდებული ბაღები. ჩინური კედლის გრანდიოზულობა, მშენებლობისა და არქიტექტურის გენიალურობა არა დედამიწის, არამედ კოსმოსური ცივილიზაციის ნიმუშად წარმოუდგება დაბინძურებულ დედამიწას და გადაგვარებული ადამიანის გონებას.

სადაც სიკეთეა, იქ ხომ ბოროტებაც უმალვე ჩნდება. მიუხედავად ამ ლეგენდარული თავდაცვითი ნაგებობისა, დიდ ჩინურ კულტურასა და ფილოსოფიას, სიახლისა და ქვეყნის განვითარებისკენ სწრაფვას ხშირად ემტერებოდნენ და ჩინეთის კედელთან სიზმრისეულად გამოჩნდნენ მონღოლთა

ურდოები, რომლებმაც გზა გადაუკეტეს დიდ ჩინურ კულტურას. ჩინეთმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში დაკარგა არა მხოლოდ იმპერია, არამედ გზა დაეხშო მისი კულტურის, ხელოვნების სა და ფილოსოფიის განვითარებას.

ომების, შიმშილისა და გაუსაძლისი ცხოვრების მრავალმა საუკუნემ დავიწყებას ვერ მისცა უკვდავი ერის გონებაში დაუნჯებული სიბრძნე, იგი ჩინელმა ხალხმა ბოლომდე შეინარჩუნა და აქამდე მოიტანა. უამრავმა გმირმა ჩინელმა შესწირა თავი სამშობლოს თავისუფლებას, აღმავლობის გზაზე დააყენა თავისი ქვეყანა, მაგრამ მომხვდური ისევ მიწასთან ასწორებდა მას.

**ამ უდიდესი და უძლიერესი აზიური სახელმწიფოს ბედის, განვლილი უბედურების მნახველი მხოლოდ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმაა, რომლის სიმაღლეც 8848 მეტრს აღემატება. მიუხედავად მრავალჯერ სისხლით შეღებვისა, დღესაც წყალუხვად მიედინება ჩინეთის მიწაზე მდინარეები: იანძი, ხუანხე, მეკონგი და ჩუძიანი.**

უამრავი დამპყრობის აქლემების ქარავნებს გადაულახავთ ტაკლა-მაკანისა და გობის უდაბნოები, მაგრამ ჩინელმა ხალხმა გმირულად იბრძოლა, შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა და ის თავის ქვეყანაში მაინც თვალშისაცემი უმრავლესობაა: ჩინეთში ჩინელების რაოდებობა 94%-ს აღემატება.

1949 წლამდე, ე.ი. ჩინეთის რევოლუციამდე, ქვეყანა უკიდურესად ჩამორჩენილი იყო, სადაც თავისუფლად პარპაშებდნენ ყველა ჯურისა და ქვეყნის თაღლითები და მამაძაღლები, რის გამოც ჩინეთს ხშირად „ღია კარის“ ქვეყანასაც კი უწოდებდნენ (როგორც ამჟამად საქართველოს — გრ ონიანი). მაგალითად, ჩინეთში მანჯურების გაბატონების შემდეგ, რომლებიც უსასტიკესი მეთოდებით მართავდნენ ქვეყანას, ჩინელ მამაკაცებს სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუ ისინი ნაწნავს არ ატარებდნენ იმის ნიშნად, რომ, კაცები კი არა, ქალები არიან“. ამის გამო ათეულობით მილიონი ჩინელი მამაკაცი მხეცურად აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბაღებსა და სკვერებში გამოკრული იყო აბრა წარწერით:

**„ძაღლებისა და ჩინელებისთვის შესვლა აკრძალულია“.**

მართვის არაადამიანურმა მეთოდებმა და ცხოვრების უკიდურესად მძიმე პირობებმა ხალხში თანდათან გააღვივა ნაციონალური გრძნობები. ყოველ ჩინელში მტკიცედ გაჯდა ყველა უცხოელისადმი ზიზღი და შურისძიება (როგორ ჰგავს ჩინელი ხალხის ეს ნაციონალური მუხტი დღევანდელი საქართველოს მცხოვრებთა სიძულვილს უცხოელისა და უცხოურისადმი?! — გრ. ონიანი).

ჩინელები არ იღებდენ უცხოურ განათლებას, მათ სწავლის „თავისებური“ მეთოდიკა შემოიღეს. უხუცესები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ახალგაზრდებს უკვდავ ჩინურ სიბრძნესა და ჩინელი ხალხის ისტორიას ზეპირად გადასცემდნენ, თანაც მოუწოდებდნენ ყოველგვარი უცხოურისადმი ზიზღისა და შურისძიებისკენ. ჩინეთში ნამდვილად არსებობდა ნაციონალზმის გაღვივების ობიექტური მიზეზები.

1921 წელს ჩინეთის ულარიბეს პროვინცია შანდუნში ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტია, რომელშიც გაწევრდა 70 ადამიანი. Pპარტიის ჩამოყალიბების დღიდანვე დაიწყო გააფთრებული ბრძოლა პარტიაში შეპარული ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ბურჟუაზიულ იდეალებს რევოლუციური მანტიით ფარავდნენ.

**1935 წელს ჩინეთის მრავალრიცხოვანი კომპარტიის წევრებს შორის მუშები 11 %-ს შეადგენდნენ, გლეხები — 26%-ს, მიწათმფლობელთა და ვაჭრობის ფენებიდან გამოსულები — 37%-ს.**

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმის შეტყობა, ვინ იყვნენ და რომელი ოჯახებიდან ადამიანები, რომლებმაც დამონებული და დამშეული ქვეყანა ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანეს და დღეს იგი ზესახელმწიფოდ ითვლება:

**მაო ძედუნი** — ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარე, მსხვილი ვაჭრის შვილი.

**ჯოუ ენ ლაი** — მსხვილი მემამულის შვილი, განათლებით ისტორიკოსი. დამთავრებული ჰქონდა ორი უნივერსიტეტი.

**კან შენი** — სპეცსამსახურების ხელმძღვანელი, მემამულის შვილი.

**ჩენ ბოდა** — მაო ძედუნის თანაშემწე, მემამულის შვილი.

**ჯუ დე** — ჩინელი მხედართმთავარი, ბურჟუაზიული ნაციონალისტი.

ჩინელ კომუნისტებში ძლიერად ჩამოყალიბდა ნაციონალური ინტერესები. აქვე შეგვიძლია გავეცნოთ კიდეც მათ გამონათქვამებს:

* „ყვითელკანიანი ადამიანები უნდა გაერთიანდნენ თეთრკანიანებთან ბრძოლაში“.

* „როდესაც ევროპაში ველურები ჯერ კიდევ ხეებზე დაძვრებოდნენ, ჩინეთში უკვე ვითარდებოდა ცივილიზაცია, გამოგონილი იყო დენთი და ფაიფური“.

*** „აღმოსავლეთის ქარი ძლევს დასავლეთის ქარს“** (ნეტავ! — გრ. ონიანი).

ჩინელ ნაციონალისტებს შორის პოპულარული იყო ასეთი ფრაზაც:

„კარგი იქნება, თუ ერთმანეთს მივუსევთ ორ ვეფხვს — აშშ-სა და სსრკ-ს, ჩვენ კი ვისხდებით მთაზე და ვუყურებთ, როგორ ებრძვიან ისინი ბარში ერთმანეთს. როცა მსოფლიოში უდიდესი ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს შესანსლავს ჩინეთი პირველ ადგილზე აღმოჩნდება“ (ამის ყველაზე რეალური საფრთხე დღეს არის — გრ. ონიანი).

1949 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩინეთში რევოლუცია დასრულდა, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი ძალისხმევა გამოიჩინა ხალხის უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ჩინეთის ყველა მცხოვრებისთვის დღიურად ორი ჭიქა ბრინჯის დარიგება მილიონობით ადამიანის ხსნა იყო შიმშილით სიკვდილისგან. პარტიამ უზრუნველყო, ყველა მოქალაქისთვის შეეკერათ ტანსაცმელი — უნიფორმა, შიშველი ადამიანებისათვის არსებობის დიდი საშუალება და შეღავათი. ჩინელს გამძლე ფეხსაცმელიც ჩააცვეს. ქვეყანაში მოისპო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დანაშაული.

დაიწყო მაოს პოპულარიზაცია, მისი განდიდება, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, მისი „გაღმერთება“. ცნობილი ჩინელი მწერლის — **ემი სიაოს** (ლიტერატურული ფსევდონიმი — სიაო სანი) ფრაზებიც ნაწილობრივ დაგვარწმუნებს ამაში:

„მაო ძედუნს ახლა მთელი მსოფლიო იცნობს... მისი თანდაყოლილი იუმორი, მისი წკრიალა სიცილი, მისი რისხვა — დამნაშავეთათვის შიშის მომგვრელი, ადამიანისადმი მამობრივი მზრუნველობა და ყურადღება, მისი დაუშრეტელი ენერგია, ბოლშევიკური შეუპოვრობა და გაბედულება, სახელმწიფო მოღვაწის ბრწყინვალე ორგანიზატორული უნარი, ჟურნალისტისა და მწერლის კალამი, ორატორის ენა, მეცნიერის ტვინი, სტრატეგისა და ტაქტიკოსის ნიჭი ქმნის ფიგურას, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ ჩინეთის რევოლუციის ისტორიაში, არამედ მთელი მსოფლიოს რევოლუციების ისტორიაში“.

„მაო ძედუნი ჭკვიანურად იყენებს ჩინელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს, ხაზს უსვამს, რომ მისთვის პირველ ადგილზე დგას ჩინეთის ეროვნული აღორძინების იდეა. იაპონელებთან ომის პერიოდში მაო ძედუნი ამბობდა: „ჩინელი ხალხი დამჯერი ცხვრის ფარა არ არის, იგი დიადი ერია, დიდი ისტორიით, კეთილშობილური ეროვნული თვითშეგნებითა და ადამიანური სამართლიანობის ჭეშმარიტი გაგებით. ეროვნული თავმოყვარეობისათვის, ადამიანური სამართლიანობისა და სურვილის გამო, იცხოვროს საკუთარ მიწაზე, ჩინელი ხალხი არასოდეს დაუშვებს, რომ იაპონურმა ფაშიზმმა მონად აქციოს. ჩინეთმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი, პირველი ადგილი მსოფლიოში, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. როგორც კი ფეხზე დავდგებით, ჩვენ აუცილებლად ხელში უნდა ჩავიგდოთ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდის, ბირმის, მალაიზიის, სინგაპურის ჩათვლით. ეს რაიონი ძალიან მდიდარია, იქ ძალიან ბევრი წიაღისეულია და იმსახურებს მის ხელში ჩასაგდებად გაწეულ ხარჯებს“.

**მაო ძედუნი იყო ჩინელი ხალხის ინტერესების გამომხატველი გმირი, რომელსაც ჩინეთის ეროვნული ინტერესების დაცვა უპირველეს ამოცანად მიაჩნდა.**

1949 წლის 16 დეკემბერი ისტორიული დღეა სსრკ-ისა და ჩინეთის ისტორიაში. მოსკოვის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში ჩამოდგა სპეციალური მატარებელი, რომლითაც სტალინის დაბადების საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის პეკინიდან ჩინეთის სამთავრობო დელეგაცია ჩამოვიდა მაო ძედუნის მეთაურობით. საგანგებოდ მორთულ ბაქანზე ხალხის უზარმაზარი მასა გაფაციცებით აკვირდებოდა სპეცვაგონიდან ჩინეთის პირველი კაცის — მაო ძედუნის გამოჩენას, რათა ოვაციებით ჩამოეყვანათ იგი ვაგონის საფეხურებიდან. მაო ძედუნი ვაგონიდან გამოსვლას არ ჩქარობდა. მიზეზი არავინ იცოდა, მაო ძედუნის გარეგა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ▶



მაო ძედუნი და სტალინი

**ბედნიერებით სავსე და ბოროტებით გაძეძგილ დედამიწაზე ცივილიზაცია სწორედ ჩინური დიდი კედლის თავზე გამოვლილი ოთხთვალა ეტლით შემოვიდა. ჩინეთის დიდი კედლის სიმაღლე რვიდან ათ მეტრამდე მერყეობს, ხოლო ფუძის სიგანე ექვს-ნახევარი მეტრია, კედლის თავზე გამავალი ცივილიზაციის გზის სიგანე კი ხუთ-ნახევარ მეტრს შეადგენს. ამ ურთულესი და უნიკალური ნაგებობის სიგრძე 5000 კილომეტრზე მეტია, ხოლო ჩინეთის საზღვრის საერთო სიგრძე 15000 კილომეტრს აღემატება**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაო ძედუნი იყო ჩინელი ხალხის ინტერესების გამომხატველი გმირი, რომელსაც ჩინეთის ეროვნული ინტერესების დაცვა უპირველეს ამოცანად მიაჩნდა.

**იაპონელებთან ომის პერიოდში მაო ძედუნი ამბობდა: „ჩინელი ხალხი დამჯერი ცხვრის ფარა არ არის, იგი დიადი ერია, დიდი ისტორიით, კეთილშობილური ეროვნული თვითშეგნებითა და ადამიანური სამართლიანობის ჭეშმარიტი გაგებით. ეროვნული თავმოყვარეობისათვის, ადამიანური სამართლიანობისა და სურვილის გამო, იცხოვროს საკუთარ მიწაზე, ჩინელი ხალხი არასოდეს დაუშვებს, რომ იაპონურმა ფაშიზმმა მონად აქციოს. ჩინეთმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი, პირველი ადგილი მსოფლიოში, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის**

◀ როცა ჩინეთის მეთაური დარწმუნდა, რომ მას სტალინი ბაქანზე არ ხვდებოდა, ჯერ ვაგონის ტამბურიდან ხელის დაქნევით მიესალმა დამხვდურთ, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა ჩამოუყვა კიბეს. პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის წევრთა უმრავლესობა პატივისცემით შეეგება სტუმარს. ის კორტეჟამდე მიაცილეს და მანქანების ქარავანმა სასტუმრო „პეკინისკენ" აიღო გეზი. მაო ძედუნი სასტუმრო „პეკინის" სამთავრობო რეზიდენციაში დააბინავეს, ოღონდ გულდაწყვეტილი, რომ **აზიის ყველაზე დიდ აზიელს მსოფლიოს ყველაზე დიდი აზიელი რკინიგზის სადგურში არ დახვდა. მგზავრობის შემდეგ მაო ძედუნმა დასვენება გადაწყვიტა და განმარტოვდა.**

კრემლში კი სტალინს პირადმა საიდუმლო სამსახურმა მაო ძედუნის ჩამოსვლასა და ჯეროვან დახვედრა-დაბინავებაზე მოახსენა და მაგიდაზე შემდეგი ცნობა დაუდო:

**„ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ**

საბჭოთა კავშირის დახმარებით გაყვანილი იქნა საავტომობილო ტრასა ალმა-ატადან ლალჯოუმდე, რომლითაც იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთს საბჭოთა ავტომანქანებით ვაწვდიდით იარაღსა და საბძოლო მასალებს. მხოლოდ 1937 წელს ჩინეთის წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირიდან მიიღო 885 თვითმფრინავი, 82 ტანკი, 700 ავტომანქანა, 690 საარტილერიო ქვემეხი, 3900 ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევი საბრძოლო მასალების კომპლექტებით. ჩინელი კომუნისტებისათვის საბჭოთა მიწოდებების საერთო ღირებულებამ 173 მილიონი დოლარი შეადგინა.

1939 წლის შუა თებერვლამდე საბჭოთა კავშირიდან ჩინეთში გაიგზავნა 712 თვითმფრინავი და ავიატექნიკოსი, 200-მდე სამხედრო მრჩეველი, მათ შორის, გენერალ-ლეიტენანტი **კუზმა დერევიანკო**, რომელიც წლების განმავლობაში იყო სსრკ-ის კომპარტიის წარმომადგენელი მაო ძედუნთან.

იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურების შემდეგ მისი შეიარაღება გადაეცა ჩინელ კომუნისტებს, რაც დაეხმარა მათ, წარმატებით მოეგერიებინათ ამერიკელი ინტერვენტების აგრესია. ამერიკელები ჩინეთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ჩინეთში დიდი ხნის განმავლობაში აქტიურად მოქმედებდა ამერიკის დაზვერვის ემისარი **ედგარ (ენდრიუ) სნოუ,** რომელიც მწერლისა და ჟურნალისტის საფარქვეშ აქტიურად საქმიანობდა და მას დღე-ღამის ნებისმიერ დროს ჰქონდა მაო ძედუნთან შესვლის უფლება.


ჩინეთის დიდი კედელი

სნოუ ის კაცია (ამ კაცზე შემდეგ სტატიებში უფრო დაწვრილებით მოგიყვებით), რომელმაც თავისი სტატიებისა და წიგნების მეშვეობით დაიწყო მაო ძედუნის პოპულარიზაცია მსოფლიოს მასშტაბით. მისი წიგნებია: „წითელი ვარსკვლავი ჩინეთის თავზე", „მაგიური ძალის ადამიანი", „შავი ჩანაწერები წითელი ჩინეთის შესახებ", „მდინარის მეორე ნაპირზე" და სხვ. მაო ძედუნს აქტიურად აქებ-ადიდებდნენ თავიანთ სტატიებში ამერიკელი მზვერავები, რომლებიც ჩინეთში მუშაობდნენ — **აგნესა სმედლი** და **ანა ლუიზა სტრონგი**, რომლებსაც, აგრეთვე, აქვთ მაო ძედუნთან შეხვედრის საშუალება. სნოუს ინიციატივით სინგაპურში შეიქმნა აშშ-ის სპეციალური მისია 1000 თანამშრომლით. ისინი აქტიურად საქმიანობენ ამერიკული აგენტურის ჩასანერგად ჯერ გომინდანში (ჩინეთის კონსერვატიული პარტია — გრ. ონიანი), შემდეგ კი — ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში. ამერიკელები ჩინეთით ძალიან რომ იყვნენ დაინტერესულნი, მიუთითებს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი რუზველტი რეგულარულად ხვდებოდა სნოუს და ჩინეთის შესახებ არც ერთი გადაწყვეტილება მისი რჩევის გარეშე არ მიუღია.

დიდი ხანია, ამერიკელმა იმპერიალისტებმა შეამჩნიეს ნაციონალისტური ტენდენციების მოძალება ჩინეთის კომპარტიაში. 1947 წლის 26 ივლისს გაიშიფრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის დეპეშა ჩინეთში ამერიკის ელჩ სტიუარდისადმი. დეპეშაში ნათქვამია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესებულია, მიიღოს ცნობები იმის შესახებ, ჩინეთის ნაციონალისტურად განწყობილ ხელმძღვანელთაგან ვინ შეძლებს გამოსვლას საბჭოთა გავლენის, სსრკ-თან კავშირის წინააღმდეგ.

1949 წლის 9 აპრილს, ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების წინა დღეს, სნოუმ შანხაის ჟურნალ „ჩაინა უიკლი რევიუში" გამოაქვეყნა მკვეთრად ანტისაბჭოთა სტატია „გახდება თუ არა ჩინეთი რუსეთის სატელიტი!. ამ სტატიაში ნათქვამია: „ბოლოს და ბოლოს, პეკინი შეიძლება გახდეს თავისებური აზიური მოსკოვი, აღმოსავლეთის რომი, რომელიც მოსკოვის კონტროლის გარეშე იქადაგებს აზიურ მარქსიზმს".

თამნამშრომლებთან (ჩინეთში ამერიკელ მზვერავებთან) საუბრისას სნოუმ თქვა: „ ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მაო ძედუნი ის ადამიანია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება მოსკოვის დიქტატის წინააღმდეგ გამოვიდეს და გახლიჩოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა".

გენერალ-პოლკოვნიკი **ა. ლავროვი,**

გენერალ-ლეიტენანტი **კ. დერევიანკო".**

1949 წლის 16 დეკემბერს, როდესაც მაო ძედუნი მოსკოვში ჩავიდა და სასტუმრო „პეკინში" დაბინავდა, სტალინმა გადაწყვიტა, მაო ძედუნს სასტუმრო „პეკინში" შეხვედროდა. შეხვედრის ცერემონიის აღწერა დიდი დროს წაიღებს, მაგრამ შევეცდები, ზოგიერთ საკვანძო მომენტზე მოგითხროთ.

პირველივე შეხვედრაზე სტალინმა უბრძანა თარჯიმანს, მაო ძედუნს მიგებებოდა სიტყვებით: **„სალამი მარქსისტ აზიელს".** თარჯიმანმა ჩათვალა, რომ სწორად ვერ გაუგო სტალინს და ეს წინადადება სხვაგვარად უთარგმნა სტუმარს: „სალამი აზიის მარქსისტს". სტალინმა ყველა სიტყვის, ბგერისა და ინტონაციის წარმოთქმის მნიშვნელობა იცოდა, ამიტომ თარჯიმანს შენიშვნა მისცა, რომ მისი სიტყვები სტუმრისთვის ზუსტად გადაეთარგმნა. შენიშვნისაგან მთარგმნელი ისე დაიბნა, რომ ტუჩებს ამოძრავებდა და სიტყვები არ ისმოდა. მაშინ სტალინმა თვითონ მიმართა მაო ძედუნს ჩინურად: „სალამი მარქსისტ აზიელს". მან წინასწარ შეისწავლა ეს წინადადება ჩინურად და, აი, რა დატვირთვა მისცა ამ მოკლე წინადადებას ჩინეთის მეთაურთან შეხვედრის დროს:

„თქვენ ლაპარაკობთ რაღაც გაჩინურებულ სოციალიზმზე, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. არ არსებობს რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური სოციალიზმი, ისევე, როგორც არ არის ჩინური სოციალიზმი. არის ერთი სოციალიზმი — მარქსისტურ-ლენინური. სხვა საქმეა, რომ სოციალიზმის მშენებლობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებანი, მაგრამ სოციალიზმი მეცნიერებაა, რომელსაც, როგორც ყველა მეცნიერებას, აუცილებლად აქვს საერთო კანონზომიერებანი და საკმარისია, მათ დავცილდეთ, რომ სოციალიზმის მშენებლობა მარცხისთვისაა განწირული.... ასეთია, მოკლედ თუ ვიტყვით, სოციალიზმის, როგორც მეცნიერების ძირითადი კანონზომიერებანი, რომელსაც ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც მეცნიერებას. გაიგებთ ამას — ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობა კარგად წაგივათ, ვერ გაიგებთ — დიდად დააზარალებთ მსოფლიოს კომუნისტურ მოძრაობას. როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში პროლეტარიატის თხელი ფენაა და ძალიან ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება. და, თუ არ განახორციელებთ მეცნიერულ, ნამდვილად მარქსისტურ-ლენინურ კლასობრივ პოლიტიკას, თუ არ შეებრძოლებით ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ნაციონალისტები გაგსრესენ. მაშინ არა მხოლოდ ჩაიშლება სოციალისტური მშენებლობა, არამედ ჩინეთი შეიძლება გადაიქცეს საშიშ სათამაშოდ ამერიკელი იმპერიალისტების ხელში. დაბეჯითებით გირჩევთ, ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის დროს სრულად გამოიყენოთ ლენინის შესანიშნავი ნაშრომი „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები". ეს წარმატების საწინდარია".

**გაგრძელება იქნება**




## ყურადღება!

**„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

## მაო ძედუნი სასტუმრო «პეკინის» სამთავრობო რეზიდენციაში დააბინავეს, ოღონდ გულდაწყვეტილი, რომ აზიის ყველაზე დიდ აზიელს მსოფლიოს ყველაზე დიდი აზიელი რკინიგზის სადგურში არ დახვდა

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისრაელში მცხოვრები ევანგელისტები ჩადიან წმინდა მიწაზე მოსალოცად, რათა თაყვანი სცენ იმ ადგილებს, რომლებზეც ფეხი დადგა ქრისტემ, მაგრამ, ამასთანავე, ყურადღებას არ აქცევენ პალესტინელ ქრისტიანებს, რომლებიც იქ, 2000 წელია, ცხოვრობენ. ევანგელისტები ისრაელის პოლიტიკის დამცველები გახდნენ და არ სურთ, არა მხოლოდ რელიგიური თანამოძმეების მძიმე ყოფის დანახვა, არამედ მათი არსებობის შემჩნევაც.**

# ქრისტიანების დაცვა და ორმაგი სტანდარტები

**დღეს სირიაში, პალესტინასა და ერაყში მცხოვრებ ქრისტიანებს დევნიან და ავიწროებენ, მაგრამ დასავლეთი ან ცუდად არის ინფორმირებული მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის საშინელი ფაქტების შესახებ, ან, უბრალოდ, ყურადღებას არ აქცევს.**

ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ამა თუ იმ ძალას თავის სასარგებლოდ სურს ამ ფაქტორის გამოყენება პოლიტიკურ ბრძოლაში.

მაგალითად, პალესტინელი ქრისტიანების მძიმე ბედზე ბევრს არ ლაპარაკობენ. უფრო მეტიც — ეს რელიგიური უმცირესობა მძიმე ტვირთად იქცა მემარჯვენე მიმართულების ევანგელისტებისთვის. ისრაელში მცხოვრები ევანგელისტები ჩადიან წმინდა მიწაზე მოსალოცად, რათა თაყვანი სცენ იმ ადგილებს, რომლებზეც ფეხი დადგა ქრისტემ, მაგრამ, ამასთანავე, ყურადღებას არ აქცევენ პალესტინელ ქრისტიანებს, რომლებიც იქ, 2000 წელია, ცხოვრობენ. ევანგელისტები ისრაელის პოლიტიკის დამცველები გახდნენ და არ სურთ, არა მხოლოდ რელიგიური თანამოძმეების მძიმე ყოფის დანახვა, არამედ მათი არსებობის შემჩნევაც.

ისრაელელი ქრისტიანები ჩუმად არიან მაშინაც კი, როდესაც პალესტინის ტერიტორიაზე ქრისტიანების სალოცავ ადგილებს ძარცვავენ და ანადგურებენ. ისრაელმა თავის ტერიტორიაზე შექმნა მკაცრი სისტემა, რომელშიც უფლებები აქვს მხოლოდ ერთ რელიგიურ თემს — იუდეველებს. მუსლიმები და ქრისტიანები კი იძულებულნი არიან, დისკრიმინაციას დაემორჩილონ.



**კონფესიათაშორისი კონფლიქტის მიმდინარეობისას ერაყელ ქრისტიანებზე გამუდმებით ძალადობდნენ. მათი სახლები გაძარცვეს, ბევრი ოჯახი იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. ამჟამად ერაყში ქრისტიანების რაოდენობა მხოლოდ 400 ათასია, ადრე კი იქ 1,4 მლნ ცხოვრობდა**

**დასავლეთის არაკეთილსინდისიერებას ერაყისა და სირიის ქრისტიანებიც შეეჯახნენ. ერაყში აშშ-ის შეჭრის პერიოდში ვაშინგტონში არავინ დაფიქრებულა, რა შედეგებს მოუტანდა ეს ომი ქრისტიანებს — ამ ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობას. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე კონფესიათაშორისი კონფლიქტის მიმდინარეობისას ერაყელ ქრისტიანებზე გამუდმებით ძალადობდნენ. მათი სახლები გაძარცვეს, ბევრი ოჯახი იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. ამჟამად ერაყში ქრისტიანების რაოდენობა მხოლოდ 400 ათასია, ადრე კი იქ 1,4 მლნ ცხოვრობდა.**

დასავლეთი დიდი ხნის განმავლობაში არად აგდებდა ერაყელი ქრისტიანების მძიმე ხვედრს. ისინი მხოლოდ ქვეყანაზე „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ვერაგული თავდასხმის შემდეგ გაიხსენეს, როდესაც ქრისტიანები მოულოდნელად ჩაეწერნენ პოლიტიკურ დღის წესრიგში.

სისხლიანი კონფლიქტის დაწყების შემდეგ სირიელი ქრისტიანების ვედრებაც არავინ შეისმინა. ბევრ ქრისტიანს, მიუხედავად ოფიციალური დამასკოს მხარდაჭერისა, თავს დაესხნენ სირიელი ე.წ. ოპოზიციონერები. მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ მსოფლიოს დაანახვა თავისი სისასტიკე, დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა, როგორც იქნა, ყურადღება მიაპყრეს ქრისტიანებს, მაგრამ (ისევე, როგორც ერაყში) დაიგვიანეს.

**ჯეიმს ზაგაბი,**
**„ას საფირი“ (ლიბანი)**

# ჰილარი კლინტონი — წარმატებული რასისტი ამერიკის პოლიტიკაში



**როდესაც კუ-კლუქს-კლანის კალიფორნიის განყოფილების „დიდმა დრაკონმა“ უილ კვიგმა მხარი დაუჭირა ჰილარი კლინტონს, ბევრმა ექსპერტმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატთა კანდიდატის მოწონება გულწრფელი იყო. ზოგიერთი კი ამტკიცებდა, რომ თეთრი რასის უპირატესობის მომხრე კვიგის მხარდაჭერა იყო ცრუ მანევრი, რომელიც მიზნად ისახავდა ჰილარი კლინტონის რეპუტაციის შელახვასა და ყურადღების გადატანას დონალდ ტრამპის მხარდაჭერისგან, რომელიც კუ-კლუქს-კლანის „დიდმა მაგმა“ — დევიდ დიუკმა გამოხატა.**

მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა სინამდვილეში კლინტონმა რასისტების მხარდაჭერა, ფაქტია, რომ მისი პოლიტიკა შავკანიანი და კანის სხვა ფერის მქონე ამერიკელების მიმართ უსინდისო და დამღუპველი იყო.

ჰილარი კლინტონი აქტიურად უჭერდა მხარს მისი ქმრის მიერ 1994 წელს მიღებულ ავადსახსენებელ კანონს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელმაც ამერიკის მოქალაქეების ბევრი თავისუფლების გაუქმება გამოიწვია, განსაკუთრებით — ფერადკანიანების.

კლინტონებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

*** ფედერალურ და ადგილობრივ საპყრობილეებში პატიმრების რაოდენობის ზრდის გამო;**

* „სამი შეცდომის“ კანონის (საკანონმდებლო აქტები, რომელთა საფუძველზეც შტატების მოსამართლეებმა ხანგრძლივი პატიმრობა უნდა მიუსაჯონ სამი სერიოზული დანაშაულის ჩამდენ პირებს) იდეის გამო;

*** ათეულობით ახალი დანაშაულისთვის სიკვდილის დასჯის შემოღების გამო;**

* საპოლიციო ზედამხედველობის გაძლიერებისა და რეგიონული ციხეებისთვის დამატებით 16 მლრდ თანხის გამოყოფის გამო;

*** აფროამერიკელების არაპროპორციულად დასჯის გამო, რომლებიც ციხეში მოხვედრილი ნარკომანების 80-90%-ს შეადგენდნენ;**

* 2000 წელს აფროამერიკელი პატიმრების 50%-ით ზრდის გამო.

ჰილარი კლინტონს შეუძლია თავისი (ქმართან ერთად) მოღვაწეობის რეტუშირება, როდესაც ლაპარაკია რასობრივ პრობლემებსა და უსამართლობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ „ლიბერალური“ კლინტონი ხელმძღვანელობდა საპყრობილეების ინდუსტრიის გაფართოებას, სახელმწიფოს მიერ თავისუფლების აღკვეთის მასობრიობას, უვადო პატიმრობისა და სიკვდილით განაჩენის გამოტანის საკითხებს, რომლებიც დღესაც ვნებს „შავკანიან ამერიკას“.

არსებობს დოკუმენტური მტკიცებულებები ჰილარი კლინტონის კავშირზე უოლ სტრიტთან, რომლის მეპატრონეთა სიხარბემ კრიზისის პერიოდში განტევების ვაცად აქცია შავკანიანი ამერიკელები და სხვა უმცირესობის წარმომადგენლები, აგრეთვე, მუშათა კლასი.

და, რა თქმა უნდა, განა შეიძლება დავიწყება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთამერიკული შეთანხმებისა“, რომელმაც დააცარიელა თავის დროზე პროდუქტიული მექსიკის აგრარული სექტორი, როდესაც ფერმერები აიძულა, სამუშაოს საძებნელად და ოჯახის გამოსაკვებად მექსიკიდან აშშ-ში გაქცეულიყვნენ.

სწორედ „თავისუფალი ვაჭრობა“ აღმოჩნდა მთავარი ფაქტორი, რომელმაც სტიმული მისცა მიგრაციას აშშ-ში და ააყვავა რასიზმი და ნატივიზმი (პოლიტიკური პოზიცია, რომლის მიხედვითაც ერის გარკვეულ ნაწილს განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს ემიგრანტებთან შედარებით — რედ.).

საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას მედია აქტიურად აშუქებს. **დონალდ ტრამპს** მისი დაუფარავი რასისტული გამონათქვამების გამო, განსაკუთრებით — იმიგრაციის პრობლემებზე, ახასიათებენ, როგორც ფანატიკოსს. თვით ჰილარი კლინტონმაც კი გაიზიარა საერთო აზრი, რომ ტრამპი ბევრ სიტუაციაში რასისტივით იქცევა, და, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლეა, თვითონ ჰილარი კლინტონია ერთ-ერთი წარმატებული რასისტი პოლიტიკოსი ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ჰილარი იყო „გოლდუოტერის გოგონა“ — მომხრე ბარი გოლდუოტერისა, რომელმაც 1964 წლს წამოაყენა თავისი კანდიდატურა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე და რომელიც განთქმული იყო თავისი შეურიგებელი დამოკიდებულებით მარტინ ლუთერ კინგისა და „მოქალაქეთა უფლებების კანონის“ მიმართ.

რასიზმი ჰილარი კლინტონში უფრო შენიღბულია, ვიდრე ტრამპში, მაგრამ ვითარება უფრო სახიფათოა, რადგან, ტრამპისგან განსხვავებით, კლინტონმა შეიძლება არჩევნებში გაიმარჯვოს.

**Counter Punch**

**საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას მედია აქტიურად აშუქებს. დონალდ ტრამპს მისი დაუფარავი რასისტული გამონათქვამების გამო, განსაკუთრებით — იმიგრაციის პრობლემებზე, ახასიათებენ, როგორც ფანატიკოსს. თვით ჰილარი კლინტონმაც კი გაიზიარა საერთო აზრი, რომ ტრამპი ბევრ სიტუაციაში რასისტივით იქცევა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლეა, თვითონ ჰილარი კლინტონია ერთ-ერთი წარმატებული რასისტი პოლიტიკოსი ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2015 წლის ივლისში, „ექვსეულის“ (გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი პლუს გერმანია) მიერ მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ამ ცრუ არგუმენტაციას საფუძველი გამოეცალა და სიმართლის ოდნავი შეფერილობაც აღარ აქვს, მაგრამ ამერიკელი შულერები, რომლებიც კვლავ მოქმედებენ შემუშავებული სქემებით, რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს.**

# ამერიკელი შულერები და აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ევროპაში

**რამდენიმე დღის წინათ რუმინეთის სამხრეთში, დევესელუს ყოფილი სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე გაიხსნა ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსის — Aegis Ashore-ს მიწისზედა სტაციონარული ნაწილი, ხოლო პოლონეთში, სოფელ რეძიკოვოსთან, რუსეთის კალინინგრადის ოლქის საზღვრიდან 200 კმ-ში, საძირკველი ჩაეყარა ანალოგიურ კომპლექსს.**

ამერიკელებმა რუბიკონი გადალახეს: თუკი აქამდე აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსების მესამე (ევროპულ) პოზიციურ რაიონში განლაგების გეგმაზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ, ახლა უკვე ამ გეგმის განხორციელება დაიწყეს.

Standard SM-3-ის ოჯახის 23 საზენიტო სამართავი რაკეტა და მათი გასაშვები მოწყობილობა MK-41, რომლებითაც დევესელუს ბაზა აღიჭურვა, ეს უკვე მხოლოდ ლაპარაკი კი არა, სერიოზული საქმეა.

**ვაშინგტონმა, რომელმაც იცის, რომ აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მიერ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებას მოსკოვი თავისი ნაციონალური უსაფრთხოების მუქარად აფასებს, ჩვეულ მეთოდს მიმართა და ამ ყველაფრის მიჩქმალვა სცადა.**

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **რობერტ უორკმა**, რომელიც რუმინეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ რუსეთს შეშფოთების საფუძველი არ აქვს, რადგან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგება „მიმართულია ევროატლანტიკური რაიონის საზღვრების გარედან საფრთხის წინააღმდეგ“.

აშშ-ის მხრიდან „ევროატლანტიკური რაიონის საზღვრებს გარედან მომდინარე საფრთხეზე“ ლაპარაკი შულერების ძველ ხერხს ჰგავს — „ახსნა-განმარტებას“, რომლითაც აშშ მსოფლიოს დარწმუნებას ცდილობდა, რომ ევროპელ მოკავშირეებს თითქოს ირანის ატომური მუქარისგან იცავდა.

2015 წლის ივლისში, „ექვსეულის“ (გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი პლუს გერმანია) მიერ მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ამ ცრუ არგუმენტაციას საფუძველი გამოეცალა და სიმართლის ოდნავი შეფერილობაც აღარ აქვს, მაგრამ ამერიკელი შულერები, რომლებიც კვლავ მოქმედებენ შემუშავებული სქემებით, რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს.

ასეთივე სიცრუეა განცხადება, თითქოს ნატო მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა რუსეთთან დიალოგის გაგრძელებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, მაგრამ მოსკოვმა ვერ შენიშნა გაწვდილი ხელი და 2013 წელს ცალმხრივად შეწყვიტა პარტნიორობის შესახებ დაწყებული დიალოგი. არადა, მოსკოვი ცდილობდა, საერთო ენა გამოენახა დასავლელ პარტნიორებთან, მაგრამ მოლაპარაკებები თვითონ დასავლელმა პარტნიორებმა შეიყვანეს ჩიხში, როდესაც მხოლოდ თავიანთი ინტერესების დაცვაზე დაიწყეს ზრუნვა და, როგორც გაირკვა, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებაზე უარის თქმას არც აპირებდნენ.

რუსეთმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა ასეთ „პარტნიორობაზე. აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მესამე (ევროპული) პოზიციური რაიონის მშენებლობა კი გრძელდებოდა იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც **ბარაკ ობამამ** 2009 წლის სექტემბერში შეიმუშავა. ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტები რუმინეთსა და პოლონეთში „არანაირ საფრთხეს არ უქმნის რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს, რადგან „გეოგრაფია და ფიზიკა შეუძლებელს ხდის ნატოს სისტემებისთვის რუსეთის ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდებას“.



რა თქმა უნდა, **რეძიკოვოს პოლიგონიდან გაშვებული რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებით SS-18 („სატანა“)-ს ვერ ჩამოაგდებ, მაგრამ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ერთი-ორი ბაზით ხომ არ შემოიფარგლება?!** ამჟამად აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაში ჩართულია „დონალდ კუკის“ ტიპის სამართავი რაკეტებით შეიარაღებული საესკადრო ნაღმოსნები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში ცურავენ და აქტიურად ითვისებენ შავი და ბალტიის ზღვების აკვატორიას. ეს ნაღმოსნები აღჭურვილია ფრთოსანი რაკეტებით („ტომაჰავკებით“), აგრეთვე, „იჯისის“ საბრძოლო-საინფორმაციო სისტემებით, რომელთა ინტეგრაციით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სხვა საშუალებებთან შეიძლება ასეულობით მიზნის აღმოჩენა და განადგურება. **აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა არც მალავს, რომ ასეთი სისტემებით აღჭურვილ ხომალდებს ნაციონალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ევროპულ სეგმენტში გამოიყენებს. ამ სისტემაში ჩართულია, აგრეთვე, თურქეთში განლაგებული რადარები, ბალისტიკური რაკეტების გასანადგურებელი 4 სისტემა ესპანეთში და გერმანიაში მოქმედი სამეთაურო ცენტრი.**

**ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტები რუმინეთსა და პოლონეთში «არანაირ საფრთხეს არ უქმნის რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს», რადგან «გეოგრაფია და ფიზიკა შეუძლებელს ხდის ნატოს სისტემებისთვის რუსეთის ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდებას». რა თქმა უნდა, რეძიკოვოს პოლიგონიდან გაშვებული რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებით SS-18 («სატანა»)-ს ვერ ჩამოაგდებ, მაგრამ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ერთი-ორი ბაზით ხომ არ შემოიფარგლება?!**

ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ აშშ-ის ძალისხმევას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გლობალური ქსელის შექმნის მიმართ, სურათი სრულიად განსხვავებულია იმისგან, რომლის დახატვასაც იენს სტოლტენბერგი და სხვა ნატოელი მაღალჩინოსნები ცდილობენ. ამასთანავე, არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა **ალექსანდრე გრუშკომ** — ეს არის ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამა „ელვისებური გლობალური დარტყმა“ და ვაშინგტონის მისწრაფება კოსმოსის მილიტარიზაციისკენ. თუმცა, რუსეთი ყველაფერს აკეთებს სტრატეგიული ბალანსის შესანარჩუნებლად და შულერული მეთოდებით ამ ბალანსის დარღვევის უფლებას არავის მისცემს.

**ფონდსკ.რუ**

# 6 ნიშანი იმისა, რომ აშშ-ის არმია აგონიაშია

**ის, რაც მაღალჩინოსანმა სამხედროებმა კონგრესში განაცხადეს, ძალიან შემაშფოთებელია. ბევრი რამ მიუთითებს იმ მომაკვდინებელ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც უნიფორმიანი ამერიკელი ქალები და მამაკაცები დგანან.**



აშშ-ის კონგრესი ემზადება თავდაცვის ბიუჯეტის კანონპროექტის განსახილველად. და აი, 6 თვალსაჩინო მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, რომლებიც მოწმობს, რომ კონგრესმა ეს ბიუჯეტი ამერიკის შეიარაღებული ძალების აღსადგენად უნდა გამოიყენოს:

**1. საზღვაო ქვეითთა კორპუსი სათადარიგო ნაწილებს ხსნის მუზეუმებისთვის გადაცემული თვითმფრინავებიდან, რათა ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანონ თავიანთი F-18-ები. ამ უკიდურესი ზომების მიუხედავად, აღნიშნული თვითმფრინავების მხოლოდ 30% არის მზად გასაფრენად. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ თვეში 25-30 საათი იფრინონ, საზღვაო ქვეითთა კორპუსის თვითმფრინავების პილოტები მხოლოდ 4 საათის განმავლობაში სხედან შტურვალთან;**

2. არმიის მხოლოდ მესამედი არის მზად საომრად. ამჟამად სახმელეთო ჯარების ჯარისკაცების რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მეტადაა შემცირებული. ერთ-ერთი ამერიკელი გენერლის განცხადებით, ომი რომ დაიწყოს, არმია „სერიოზულ სამხედრო რისკს შეეჯახება“;

**3. სამხედრო-საჰაერო ძალები თვითმფრინავებიდან ხსნიან დეტალებს იმისათვის, რომ სხვა საფრენმა აპარატებმა განაგრძონ ფრენა, ხოლო B-1 ბომბდამშენებისთვის დეტალები მუზეუმებიდან გააქვთ. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილიების ნახევარი მზად არ არის საომარი მოქმედებებისთვის;**

4. ფლოტი თავის ხომალდებს უხანგრძლივებს ექსპლუატაციის ვადას, მაგრამ ისინი საკმარისი რაოდენობით არ აქვს. სამხედრო-საზღვაო ძალებს 350 ხომალდი სჭირდება, მაგრამ აქვს მხოლოდ 273;

**5. საზღვაო ქვეითთა კორპუსის თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ავიაკატასტროფების რაოდენობა თითქმის ორჯერ აჭარბებს ათი წლისწინანდელ საშუალო მაჩვენებელს;**

6. B-52 თვითმფრინავები, რომლებიც სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია, საშუალოდ, 53 წლის წინათ არის გამოშვებული. ამერიკელთა უმრავლესობას არ სურს, 53 წლის ავტომობილით იმოგზაუროს ქვეყანაში, ლაპარაკი აღარ არის 53 წლის თვითმფრინავით ომზე.

ამასთანავე, საფრთხეები იმატებს. რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ჩინეთი უკანონოდ აშენებს კუნძულებს. ირანი ატომური ბომბის შექმნისკენ მიილტვის, ჩრდილოეთ კორეამ კი უკვე შექმნა ის. ამას გარდა, საქმე გვაქვს ტერორიზმის რეალურ საფრთხესა და პრობლემებთან კიბერსივრცეში.

**ჯასტინ ჯონსონი**
The National Interest

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შედეგებმა გამოკითხვისა, რომელიც აპრილში ჩაატარა ინსტიტუტმა INFRATEST DIMAP-მა, აჩვენა, რომ ქდს/ქსს-ს რეიტინგი 33%-მდე დაეცა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეიტინგი კი სარეკორდოდ დაბალია — 21%. მწვანეებსა და მემარცხენეებს ამომრეველთა მხოლოდ 8% უჭერს მხარს, დემოკრატიულ პარტიას — 7%. ამასთანავე, გამოკითხულთა 52% მიიჩნევს, რომ გერმანიის მთავრობა არაკომპეტენტურია მიგრაციული კრიზისის საკითხებში.**

# გერმანია: კრიზისი უმაღლეს ხელისუფლებაში

## ევროპის 25-წლიანი მოძრაობა „ტრანსატლანტიკური სოლიდარობის“ კალაპოტში დასასრულს უახლოვდება. იწყება ცვლილებების პერიოდი

**ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკის ისტორია იწყება 1947 წლიდან, როდესაც ორმა პარტიამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დასაპირისპირებლად ბიზონიის (გერმანიის ნაწილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს ჰქონდათ ოკუპირებული — რედ.) ეკონომიკურ საბჭოში ფრაქცია შექმნა. მას შემდეგ მარცხისა და ტრიუმფის პერიოდებში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (ქდკ) და ბავარიული პარტია — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი ყოველთვის ერთად იყვნენ, ერთად ემსახურებოდნენ გერმანული კაპიტალისა და ამერიკული კორპორაციების ინტერესებს.**



ანგელა მერკელი

**მერკელის განცხადების საპასუხოდ, ქსს-ს თავმჯდომარე და ბავარიის პრემიერმინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი დელეგატების აპლოდისმენტების თანხლებით კანცლერს დაჰპირდა, რომ, თუ ფედერალური მთავრობა მიგრაციის რაოდენობრივ ზღვარს არ დააწესებდა, ამ თემაზე დებატებს ქდს/ქსს-ს საზღვრებს გარეთ გაიტანდა — საზოგადოებრივი დისკუსიის სიბრტყეში. სწორედ მაშინ განაცხადა ზეეჰოფერმა თავის გადაწყვეტილებაზე, სანქციების მიუხედავად, გაეფართოებინა რუსეთთან თანამშრომლობა და სწვეოდა მოსკოვს**

### ქსს-ს ფრონდა*

მიგრაციული კრიზისის დაწყებისა და რუსეთისთვის სანქციების დაწესების შემდეგ პარტიებს შორის შავმა კატამ გაირბინა. ბავარია სასაზღვრო მიწაა. მან პირველმა იწვნია მიგრანტთა შემოსევის „სიკეთე“. 2015 წლის ნოემბერში, როდესაც ქსს-ს ყრილობაზე დელეგატების ხმათა უმრავლესობით მიიღეს რეზოლუცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლტოლვილთა ნაკადის შეზღუდვის შესახებ, ყრილობის საპატიო სტუმარმა, გერმანიის კანცლერმა და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა **ანგელა მერკელმა** განაცხადა, რომ მისი მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

**მერკელის განცხადების საპასუხოდ ქსს-ის თავმჯდომარე და ბავარიის პრემიერმინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი დელეგატების აპლოდისმენტების თანხლებით კანცლერს დაჰპირდა, რომ, თუ ფედერალური მთავრობა მიგრაციის რაოდენობრივ ზღვარს არ დააწესებდა, ამ თემაზე დებატებს ქდს/ქსს-ის საზღვრებს გარეთ გაიტანდა — საზოგადოებრივი დისკუსიის სიბრტყეში. სწორედ მაშინ განაცხადა ზეეჰოფერმა თავის გადაწყვეტილებაზე, სანქციების მიუხედავად, გაეფართოებინა რუსეთთან თანამშრომლობა და სწვეოდა მოსკოვს.**

ამა წლის იანვარში ზეეჰოფერი, აგრეთვე, დაჰპირდა ანგელა მერკელს, რომ მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს, თუკი ფედერალური მთავრობა არ უზრუნველყოფდა წესრიგს საზღვარზე. ამასთანავე, ბავარიელმა პოლიტიკოსმა **პეტერ დრაიერმა** მერკელს „საჩუქრად“ გაუგზავნა სირიელი ლტოლვილებით სავსე ავტობუსი.

თებერვლის დასაწყისში ბავარიის პრემიერი მოსკოვს ეწვია. ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო. ზეეჰოფერმა მთავარ საკითხად ეკონომიკური ურთიერთობები წამოსწია. სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაში პრობლემების მოსაგვარებლად მხარეები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ.

ბავარიის პრემიერმა, აგრეთვე, ისაუბრა საერთაშორისო დღის წესრიგში არსებული საკითხების რუსეთთან ერთად გადაწყვეტაზე.

„ბავარია აკვირდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, უკრაინისა და სირიის კონფლიქტების, აგრეთვე, მიგრაციული კრიზისის მოგვარება, მხოლოდ ერთობლივად შეიძლება“, — განაცხადა ქსს-ის თავმჯდომარემ მოსკოვში.

### ალტერნატივა გერმანიისთვის – პრობლემა მერკელისთვის

ბლოკ ქდს/ქსს-ში წინააღმდეგობის გაძლიერებამ დააჩქარა აღმავლობა პარტიისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც არსებობის სამი წლის განმავლობაში 14%-იან რეიტინგს არ გასცილებია. და ეს პარტია ქვეყნის მესამე პოლიტიკურ ძალად იქცა. გერმანიის საზოგადოებაში სულ უფრო იხვეჭს პოპულარობას პარტიის — „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ევროსკეპტიკური და ანტიმიგრაციული კურსი, რომელიც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ტრადიციულ პარტიებს ბუნდესტაგის 2017 წლის არჩევნებში. რადგან „ალტერნატივა გერმანიისთვის“ სულ უფრო ზრდის თავისი მომხრეების რაოდენობას, ქდს/ქსს-ისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობა მცირდება. **შედეგებმა გამოკითხვისა, რომელიც აპრილში ჩაატარა ინსტიტუტმა INFRATEST DIMAP-მა, აჩვენა, რომ ქდს/ქსს-ის რეიტინგი 33%-მდე დაეცა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეიტინგი კი სარეკორდოდ დაბალია — 21%. მწვანეებსა და მემარცხენეებს ამომრეველთა მხოლოდ 8% უჭერს მხარს, დემოკრატიულ პარტიას — 7%. ამასთანავე, გამოკითხულთა 52% მიიჩნევს, რომ გერმანიის მთავრობა არაკომპეტენტურია მიგრაციული კრიზისის საკითხებში.**



ჰორსტ ზეეჰოფერი

თუ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდება, ბუნდესტაგის არჩევნებში მთავარი პოლიტიკური არბიტრის როლში აღმოჩნდება პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ — მის გარეშე კოალიციის შექმნა წარმოუდგენელი იქნება.

სხვათა შორის, **პროგრამა პარტიისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ითვალისწინებს ევროკავშირის ტრანსფორმირებას ჩვეულებრივ სავაჭრო ზონად, ხოლო ამ ნაბიჯის მიმართ ბრიუსელის უარის შემთხვევაში — გერმანიის გასვლას ევროკავშირიდან და ევროს უარყოფას. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიის პროგრამაში სპეციალურად არის ჩაწერილი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საკვანძო დებულებების დაცვა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ მოხდება კოალიციური შეთანხმება სხვა პარტიებთან.**

საქსონია-ანჰალტში, ბადენ-ვიურტემბერგსა და რეინლანდ-პფალცში მარტში გამართულ არჩევნებში ქდს-ს დამარცხებისა და „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გამარჯვების შემდეგ ანგელა მერკელი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ როგორც პრობლემის იგნორირება არ შეიძლება.

ჰორსტ ზეეჰოფერმა კი რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ, თუკი ქდს-ს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა „ალტერნატივა გერმანიისთვის“, ქდს/ქსს-ს ბავარიული ფრთა 2017 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვა. თუმცა, ქსს-ს ლიდერმა მერკელს დაუტოვა გამოსავალი, რომელსაც ქალბატონი კანცლერი, ალბათ, ვერ გამოიყენებს: **ბავარიელები არჩევნებში დამოუკიდებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლენ, თუ ორივე პარტია მიგრაციული კრიზისის საკითხებზე შეთანხმდება. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ კანცლერმა თავისი პოლიტიკის ჩაფლავება აღიაროს და წინა პლანზე ზეეჰოფერი წამოიწიოს. არის კი მზად ამისთვის მერკელი? დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა.**

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა ნიშნავს პოლიტიკურ განქორწინებას, და ამის შემდეგ ქდს და ქსს ამომრჩეველთა ხმებისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. გერმანელი ჟურნალისტები უკვე ფიქრობენ სენსაციურ რეპორტაჟებზე: „ყოფილები“.

### დარჩება თუ არა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მმართველ კოალიციაში?

მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (გსდპ) თავმჯდომარის პოსტიდან გერმანიის ვიცეკანცლერ **ზიგმარ გაბრიელის** სავარაუდო გადადგომის შესახებ. ეს ცნობა უარყოფილ იქნა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება, და, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მით მეტი წევრი ფიქრობს მმართველ კოალიციაში დარჩენის მიზანშეწონილობაზე. თუ ასე მოხდა, რიგგარეშე არჩევნები გარდაუვალი იქნება, რაც ომისშემდგომი გერმანიის ისტორიაში ახალი ამბავი არ იქნება.

**14 მაისს ცნობილი შეიქნა, რომ გფრ-ს მთავრობა მიგრანტთა პრობლემების მოსაგვარებლად 2020 წლის ბოლომდე 92,6 მლრდ ევროს დახარჯავს. ეს თანხა გაცილებით მეტია ისეთი სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტზე როგორიც არის უკრაინა.**

ამჟამად ბერლინი ფედერალურ მიწებთან ვაჭრობს საკითხზე, ვინ და რამდენი უნდა გადარიცხოს მიგრანტებისთვის. ფედერალური მთავრობის ეს გადაწყვეტილება მიუნხენში აღტაცებას არ იწვევს — ბავარიელებს ფედერალურ ბიუჯეტში ისედაც იმაზე მეტი შეაქვთ, ვიდრე იღებენ.

დღეს გერმანია ისევე, როგორც მეზობელი საფრანგეთი უმაღლესი ხელისუფლების კრიზისს განიცდის. ხელისუფლების პოლიტიკა ხელს არ აძლევს საზოგადოებს სულ უფრო მეტ ფენებს.

ევროპის 25-წლიანი მოძრაობა „ტრანსატლანტიკური სოლიდარობის“ კალაპოტში დასასრულს უახლოვდება. იწყება ცვლილებებს პერიოდი.

**ფონდსკ.რუ**

*** ფრონდა — ანტისამთავრობო არეულობები, რომლებიც მოხდა საფრანგეთში 1648-1653 წლებში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი. ამჟამად ამ ტერმინს იყენებენ ხელისუფლებისადმი სიტყვიერი უკმაყოფილების მნიშვნელობით.**

კლიმატის ცვლილებების საკითხების გაეროს სამთავრობათაშორისო ჯგუფი მუშაობს იმაზე, რომ გლობალურმა ტემპერატურამ მრეწველობამდელი პერიოდის (განისაზღვრა 1850 წლით) ნორმას 2 გრადუსით არ გადააჭარბოს. სამეცნიერო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ზღვრის დარღვევის შემთხვევაში ტემპერატურა 2-ჯერ მოიმატებს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი შეიძლება გაუკაცრიელდეს

**10-15 წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ჩრდილოეთში ტემპერატურამ შეიძლება ისე მოიმატოს, რომ აუტანელი შეიქნეს ადამიანის ორგანიზმისთვის. ეს კი ამ ტერიტორიებიდან მოსახლეობის მასობრივად წასვლას გამოიწვევს, — აღნიშნულია მოხსენებაში, რომელიც მაინცის (გერმანია) მაქს პლანკის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა კვიპროსის ინსტიტუტის კოლეგებთან ერთად მოამზადეს. „მომავალში კლიმატი ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ჩრდილოეთში შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ იქაურთა სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს“, — განაცხადა მკვლევართა ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელმა იოს ლელიეველდმა.**



## ძლიერი სიცხე და ქვიშის ქარიშხლები

ლელიეველდი წერს, რომ ცხელი კლიმატი გავლენას იქონიებს გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე. „ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძლიერი სიცხისა და ქვიშიანი ქარიშხლების ზემოქმედებით აუცილებელი იქნება ზოგიერთი რეგიონის დატოვება“, — ამბობს პროფესორი.

იმ რაიონებში, რომლებშიც ზაფხულობით ძალიან ცხელა, 500 მლნ-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. უკვე შესამჩნევია კლიმატის ცვლილება: 1970 წლიდან ძალიან ცხელი დღეების რაოდენობა გაორმაგდა.

კლიმატის ცვლილებების საკითხების გაეროს სამთავრობათაშორისო ჯგუფი მუშაობს იმაზე, რომ გლობალურმა ტემპერატურამ მრეწველობამდელი პერიოდის (განისაზღვრა 1850 წლით) ნორმას 2 გრადუსით არ გადააჭარბოს. სამეცნიერო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ზღვრის დარღვევის შემთხვევაში ტემპერატურა 2-ჯერ მოიმატებს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

## დღის ტემპერატურა 50 გრადუსი

2050 წლიდან ღამით ტემპერატურა პლუს 30 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოიწევს, დღისით კი შეიძლება 46 გრადუსს მიაღწოს. 21-ე საუკუნის ბოლოს დღის ტემპერატურა 50 გრადუსამდე აიწევს, მაღალი ტემპერატურის პერიოდები კი 10-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე დღეს არის.

ამასთანავე, ძლიერნი სიცხის პერიოდები გახანგრძლივდება. 1986-2005 წლებში ასეთი პერიოდი, საშუალოდ, 16 დღეს გრძელდებოდა, 2050 წელს კი შეიძლება 80 დღემდე გაგრძელდეს, 2100 წელს — 118 დღემდე და ეს, იმის მიუხედავად, რომ 2040 წლის შემდეგ აირების გამოყოფა შემცირდება.

„თუ კაცობრიობა კვლავაც განაგრძობს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ამჟამინდელი მოცულობის გაშვებას, მაშინ ჩრდილოეთი აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობა, ჩვენი მოდელის თანახმად, მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ძლიერი სიცხე 200 დღის განმავლობაში გაგრძელდება“, — ამბობს კვიპროსის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი **პანოს ჰაჯინიკოლაუ**.

მართალია, მცირე ხნით, მაგრამ „2 გრადუსის“ ზღვარი 2016 წელს უკვე ორჯერ დაირღვა, ამიტომ მეცნიერები ძალიან შეშფოთებულნი არიან.

უფრო ადრე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში მკვეთრად მოიმატა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელმა ახლო აღმოსავლეთში. ამას, პირველ რიგში, ხსნიან ქვიშის ქარიშხლის გახშირებით, რაც, თავის მხრივ, გვალვის პერიოდის გახანგრძლივებით აიხსნება. თუ ტემპერატურა მოიმატებს, ეს ტენდენციაც გაძლიერდება.

## ორი სცენარი

მეცნიერები ორი სცენარიდან გამომდინარე მუშაობენ. პირველის მიხედვით, 2040 წელს გამონაბოლქვი აირების რაოდენობა, პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, უნდა შემცირდეს, რათა გლობალურმა დათბობამ „2 გრადუსის“ ნორმას არ გადააჭარბოს. მეორე სცენარი ითვალისწინებს ატმოსფეროში აირების ამჟამინდელი მოცულობის გამოყოფას. ამ სცენარით მოვლენების განვითარება გამოიწვევს გლობალურ დათბობას 4 გრადუსით. ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ძლიერი სიცხე იქნება ზაფხულის პერიოდში და არა ზამთარში, როგორც ეს ხდება პლანეტის სხვა ადგილებში.

ეს აიხსნება იმით, რომ რეგიონის გაუდაბნოებული ადგილები ხელს უწყობს ტემპერატურის მომატებას. სხვა ადგილებში დედამიწის ზედაპირი გრუნტის წყლების აორთქლებით ცივდება. ცხელ უდაბნოებში კი ასე არ ხდება, რაც სითბურ ეფექტს აძლიერებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერები ასკვნიან: პროცესების ორივე სცენარით განვითარება ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობებს გააუარესებს და ამ ადგილებიდან ადამიანების მასობრივ აყრას გამოიწვევს.

**2050 წლიდან ღამის ტემპერატურა პლუს 30 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოიწევს, დღისით კი შეიძლება 46 გრადუსს მიაღწოს. 21-ე საუკუნის ბოლოს დღის ტემპერატურა 50 გრადუსამდე აიწევს, მაღალი ტემპერატურის პერიოდები კი 10-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე დღეს არის. ამასთანავე, ძლიერი სიცხის პერიოდები გახანგრძლივდება. 1986-2005 წლებში ასეთი პერიოდი საშუალოდ 16 დღეს გრძელდებოდა, 2050 წელს კი შეიძლება 80 დღემდე გაგრძელდეს, 2100 წელს — 118 დღემდე და ეს, იმის მიუხედავად, რომ 2040 წლის შემდეგ აირების გამოყოფა შემცირდება**

# ეგვიპტის თვითმფრინავის კატასტროფა — ევროპის შეშინების მცდელობა?




**ახლო აღმოსავლეთის საკითხების ექსპერტი ჯონ ბრედლი „დეილი მეილის“ ფურცლებზე აანალიზებს, არის თუ არა „ეგიპტეარის“ თვითმფრინავის კატასტროფა ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ გეგმის ნაწილი, შეაშინოს ევროპა?**

„ამ ავიაკატასტროფის შესაძლო მიზეზების ჩამოთვლამდე პირველ პლანზე გამოდის აეროპორტში დამხმარე სამსახურების, უფრო ზუსტად, მისი თანამშრომლების მოქმედების პრობლემა.

ახლო აღმოსავლეთის აეროპორტები განთქმულია იმით, რომ იქ საერთოდ არ არსებობს უსაფრთხოების ზომები. ბევრი საერთაშორისო ავიახაზი უცხადებს ბოიკოტს შარმ-ალ-შეიხის აეროპორტს, რადგან იქ გულგრილად ეკიდებიან უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს. ანალოგიური ვითარებაა ეგვიპტის სხვა საჰაერო პორტებშიც, აქვე აღსანიშნავია მექრთამეობა, სიზარმაცე და ნეპოტიზმიც.

მაგალითად, **კაიროს საერთაშორისო აეროპორტში, უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის თქმით, სახედარი დახეტიალობდა, თანაც ერთი და ორი დღის კი არა, რამდენიმე კვირის განმავლობაში...**

თვითმფრინავის ჩამოვარდნის მეორე ვერსია არის ბომბის აფეთქება, რომელიც ავიალაინერს ბორტზე ბრიუსელის ან პარიზის აეროპორტში შეიტანეს — სწორედ ამ ქალაქებში დაჯდა A320 კაიროში გაფრენამდე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში პარიზის აეროპორტებიდან დაითხოვეს 70 ადამიანი, რომლებზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებთან თანამშრომლობდნენ.

ამ თემაზეა საუბარი „თაიმსში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მასალაშიც. როგორც ცნობილია, პარიზის გარეუბან რუასიში, სადაც 1970-იან წლებში ააშენეს აეროპორტი „შარლ დე გოლი“, ცხოვრობს ათასობით ჩრდილოაფრიკელი მუსლიმი. მათგან ბევრი მუშაობს აეროპორტში მტვირთავად და დამხმარე მუშად. სახელდობრ, ეს ადგილები ითვლება რადიკალური ისლამიზმის ბუდედ. თუ გაირკვა, რომ A320-ის კატასტროფაში დამნაშავეებს რუასელმა მუსლიმებმა შეუწყვეს ხელი, ევროპის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარება შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს.




# აშშ-ის ტერიტორიის ქვეშ დედამიწის მანტია ქერქს სწყდება



**„აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში დედამიწის მანტია, პირდაპირი მნიშვნელობით, შრეებად იშლება და წყდება მის ზევით არსებულ დედამიწის ქერქს. ამან შეიძლება ვაშინგტონსა და აღმოსავლეთ სანაიროზე მდებარე სხვა ქალაქებში მიწისძვრა გამოიწვიოს“, — იუწყება ამერიკული გამოცემა Live Science.**

„ნუ შეშფოთდებით. არა მგონია, ვითარება ძალიან შეიცვალოს არც ჩვენს დროში და არც ჩვენი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ცხოვრების პერიოდში. დედამიწის წიაღში მყისიერად არაფერი იცვლება. ასეთი პროცესები მილიონობით წლების განმავლობაში მიმდინარეობს“, — განაცხადა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორმა **ბერკ ბირიოლმა**.

ბოლო წლებში ვაშინგტონისა და ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე სხვა ქალაქების ტერიტორიაზე მოხდა სერია მიწისძვრებისა, რომლებმაც საგონებელში ჩააგდო სეისმოლოგები. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ნაწილი განლაგებულია სტაბილურ ტექტონიკურ პლატფორმაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ მიწისძვრა არ უნდა მოხდეს.

ამ გეოლოგიური ამოცანის ამოხსნას ბერკ ბირიოლი და მისი კოლეგები შეეცადნენ. მათ ამერიკის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე პლანეტის წიაღი რადარების მეშვეობით გამოიკვლიეს და შეადგინეს სამგანზომილებიანი რუკა დედამიწის სამი მთავარი ფენისა: ქერქის, რომელიც ყველა მიწისძვრის წყაროა; მანტიისა და ასტენოსფეროსი — თხელი ნახევრადთხიერი ფენისა ქერქსა და მანტიას შორის, რომლის ზედაპირზეც „ცურავს“ ყველა ტექტონიკური ფილა.

ამ რუკამ მოულოდნელი სურათი წარმოაჩინა — აღმოჩნდა, რომ **მიწის ქერქის სისქე ვაშინგტონსა და აშშ-ის აღმოსავლეთში მდებარე სხვა ქალაქების ქვეშ არათანაბარია: ზოგ უბნებზე სქელია, ზოგან — ძალიან თხელი.**

„სწორედ ეს განსხვავება, — მიიჩნევს ბირიოლი, — არის ამერიკის აღმოსავლეთში მიწისძვრების მიზეზი“. მეცნიერის აზრით, ტექტონიკური ფილის ამ უბნებში მანტია შრეებად იშლება და დედამიწის ქერქს წყდება. ეს პროცესი კი დაახლოებით 65 მლნ წლის წინათ დაიწყო, როდესაც აშშ-ის აღმოსავლეთ ტერიტორიის ქვეშ არსებულმა ტექტონიკურმა ფილამ სხვა ფილების ზემოქმედებით დეფორმაცია განიცადა.

მეცნიერის აზრით, ეს პროცესი საფრთხეს არ შეუქმნის ამერიკაში მცხოვრებთა სიცოცხლეს, მაგრამ სუსტ მიწისქვეშა ბიძგებს გამოიწვევს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგი პარლამენტარი საპარლამენტო ორგანოში დაბერდა და ძირითადი კანონი დღემდე არ შეუსწავლია, ახლებს კი არ წაუკითხავთ და ამიტომაც არის მათთვის გაურკვეველი ქვეყნის მმართველობის სისტემა. ზოგს ჰგონია, რომ ისევ პრეზიდენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ (ქალბატონი გუგული მაღრაძე) მიმართულებებს, ზოგს კი საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად მიაჩნია (ზაქარია ქუცნაშვილი, კახა კუკავა).**

# კონსტიტუცია ბორკილდადებულია და კარცერშია გამომწყვდეული!

**ქვეყნის ძირითადი კანონი დაუბალანსებელი, წინააღმდეგობრივი და ერთ თანამდებობის პირზე მორგებული დოკუმენტი რომ არის, ყველას კარგად ესმის, მაგრამ მის დასაბალანსებლად და საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ამ მოწვევის პარლამენტს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. იმიტომ, რომ არც პარლამენტსა და არც მთავრობას არ ესმის მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. კონსტიტუცია განსაკუთრებით სუსტია ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში.**




ბატონო გურამ (გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი)!

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე და სატელევიზიო ეთერში არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ „საქართველოს კონსტიტუცია გარანტირებულ დამარცხებაზე ორიენტირებული დოკუმენტია“, მაგრამ ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ უცდია ამ შეფასების გაბათილება, ან ვის უნდა ეცადა, როდესაც არც წინა და არც მოქმედ საკანონმდებლო ორგანოში არც ერთი ნამდვილი სამხედრო არ ყოფილა შეყვანილი. სამხედრო პირებისთვის ერთი მანდატიც ვერ გაიმეტეს.

პარლამენტი და მთავრობა ისე იქცევა, თითქოს არაფერი ესმით და არც სურთ, გაიგონ. გამოდის, საკუთარი მოსახლეობის აზრი მათ სულაც არ აინტერესებთ.

არადა, კონსტიტუციის მოყვანა ქვეყნის თავდაცვის ინტერესების შესაბამისად, მიუხედავად დიდი კვორუმის საჭიროებისა, ადვილი იყო, რადგან არ გაჭირდებოდა პატრიოტ პარლამენტართა ხმების სამი მეოთხედის მობილიზება, ამის მონდომება და სურვილი რომ ყოფილიყო.

დავიწყოთ ყველაზე სახიფათო 73-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტიდან, რომელშიც წერია:

**„1. საქართველოს პრეზიდენტი:**

**ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად“.**

მგონია, რომ ყველას კარგად ესმის ამ ჩანაწერის აბსურდულობა.

ვინ წავა იმის წინააღმდეგ, რომ დროის მაჩვენებელი „48 საათი“ შეიცვალოს სიტყვით **„დაუყოვნებლივ“,** როგორც ეს სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით არის გათვალისწინებული (აზერბაიჯანის გარდა)?!

ან იმის წინააღმდეგ, რომ სრულიად უუფლებო, ძალებისა და საშუალებების (მათ შორის, დაზვერვის) გარეშე დარჩენილმა პრეზიდენტმა **საომარი მდგომარეობა გამოაცხადოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის ან რომელიმე სხვა სტრუქტურებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ?!**

ან ვინ წავა იმის წინააღმდეგ, რომ ძირითადი კანონის **50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-3' პუნქტი,** რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადებას დაუზუსტებელი ინფორმაციის საფუძველზე, და რომელიც შეურაცხყოფას აყენებს პარლამენტს, ასევე პრეზიდენტს (საპრეზიდენტო რესპუბლიკებში ასეთი უფლება ქვეყნის მეთაურსაც არ აქვს)?!

მაგალითად: **საფრანგეთის პრეზიდენტი** ასეთ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერმინისტრთან, პარლამენტის ზედა და პალატების თავმჯდომარეებთან და საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ;

**თურქეთის პრეზიდენტი** კი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრთა და ეროვნული უშიშროების საბჭოების თვალსაზრისის გათვალისწინებით.

კონსტიტუციიდან ამოსაღებია, აგრეთვე, **მე-100 მუხლის პირველი აბზაცი,** რომელიც კიდევ 48 საათით და შეიძლება უფრო მეტად ახანგრძლივებს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილების დამტკიცებას პარლამენტის მიერ. და ეს დრო შეიძლება გაუტოლდეს 144 საათს, ანუ 6 დღე-ღამეს;

ან ვინ გამოვიდოდა იმის წინააღმდეგ, რომ ტერმინი **„სამხედრო ძალები“** შეცვლილიყო ტერმინით **„შეიარაღებული ძალებით“,** როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია, ვინაიდან სამხედრო ძალები რეალურად უკვე, დიდი ხანია, აღარ არსებობს?!

და, თუ ვინმე გამოვიდოდა ამ ცვლილებების წინააღმდეგ, მას კარგი დღე არ დაადგებოდა, მრავალი არასახარბიელო ეპითეტით შემკობის ღირსი იქნებოდა.

ჩანს, რომ **ძირითადი კანონის ეს მუხლები ჩამოყალიბებულია სამხედრო საქმეში სრულიად ჩაუხედავი პირების მიერ სამხედრო ხელოვნების, კანონებისა და წესდებების იგნორირებით და ამიტომაც დღემდე არ არსებობს ქვეყანას მორგებული შეიარაღებული ძალების ლოგიკური ორგანიზაციული სტრუქტურა. კონსტიტუციამ საეჭვო გახადა „ეროვნული უშიშროების საბჭოსა“ და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობის არსებობის აუცილებლობაც.**

ან ვინ გამოვიდოდა იმის წინააღმდეგ, რომ გამოცხადებული საომარი და საგანგებო მდგომარეობებისას პარლამენტი დაუყოვნებლივ შეკრებილიყო და მისი მუშაობა გაგრძელებულიყო ამ მდგომარეობების გაუქმებამდე?! ამის წინააღმდეგი კი 50-ე და 61-ე მუხლებია.

**დღეს ყველას კარგად ესმის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს ომის პირობებში და ამიტომ პარლამენტისა და მთავრობის (მათ შორის პრეზიდენტის) შეთანხმებული მოქმედებისთვის მიღებული გადაწყვეტილებების სწრაფად დასამტკიცებლად მიზანშეწონილია, შეიცვალოს პარლამენტის ადგილსამყოფელი და ის ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოვიდეს.**

გამოდის, რომ ძირითადი კანონის სამ მუხლში **7 ძალიან სახიფათო შეცდომაა დაშვებული.**

ძირითად კანონში აღმოჩნდა ისეთი ჩანაწერებიც, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ მექანიკურ შეცდომებს (კონსტიტუციაში, საერთოდ, შეიძლება იყოს რაიმე შეცდომა — თუნდაც მექანიკური)?

მაგალითად, აი ასეთი:

„კონტრასიგნაციას, ე.ი. პრემიერმინისტრის ხელმოწერას არ საჭიროებს საქ. პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება:

**1. საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და გაუქმებას“ (მ. 73' პ.4ლ):**

ვიცით, რომ პრეზიდენტს კი აქვს საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება, მაგრამ მისი გაუქმების უფლება კონსტიტუციას მისთვის არ მიუნიჭებია და ეს უფლება დღემდე პარლამენტის პრეროგატივაა

**2. „პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას“ (მ. 73', პ. 4კ).**

წინა მოწვევის პარლამენტარებს დაავიწყდათ, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებად, ძირითადად, მინისტრები გაამწესეს, შემდეგ პარლამენტის წევრებიც დაუმატეს. როგორც ვიცით, პრეზიდენტს მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლების უფლება აღარ აქვს და ამიტომ პრემიერმინისტრის გამორიცხვა ამ ორგანოს საქმიანობიდან სრულიად არალოგიკურია.

**3. „პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ან სესიის მოწვევას“ (მ. 73', პ. 4ა).** კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პრეზიდენტმა დაკარგა უფლება თავისი ინიციატივით მოიწვიოს რიგგარეშე სესია, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას — რიგგარეშე სხდომა, მაგრამ მთავრობის წარდგინებით პრეზიდენტი ვალდებულია, მოიწვიოს რიგგარეშე სესია და რიგგარეშე სხდომაც. ჩავთვალოთ, რომ ესეც მექანიკური შეცდომაა.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მექანიკურ შეცდომად მივიჩნიოთ ძირითადი კანონის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი უხეშად არღვევს 71-ე მუხლს და, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ფიცის დადების მაგივრად, განცხადებას აკეთებს, ანუ, ხალხურად რომ ვთქვათ, „თვალში ნაცარს გვაყრის“.

მაგრამ **ძალიან აღმაშფოთებელია ის, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიერ გათამამებული პრემიერი, არათუ ფიცს დებს, განცხადების გაკეთებასაც კი არ კადრულობს.**

ყველა საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური, მინისტრები და პარლამენტარებიც დებენ ფიცს და წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ.“ ამით ვალდებულებების დაკირების შემდეგ უფლება ეძლევათ, დაიკავონ თანამდებობები.

ჩემთვის უცნობია, დადეს თუ არა ახალარჩეულმა დეპუტატებმა პარლამენტარის ფიცი, და თუ დადეს, რომელი სიტყვა წარმოთქვეს — „ვაცხადებ“ თუ „ვფიცავ“? ტექსტი მოითხოვს, წარმოთქვას სიტყვა „ვაცხადებ“.

**საპარლამენტო რესპუბლიკის სახელისუფლო ორგანოების სისტემაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის პარლამენტს და არა მთავრობას ან პრეზიდენტს, ჩვენთან კი პირიქითაა — პრემიერმა დაჩაგრა როგორც პარლამენტი, ასევე პრეზიდენტი.**

**სამხედრო საქმის მცოდნე პირების კატასტროფულმა უკმარისობამ და ქვეყნის ხელმძღვანელი პირების სრულმა არაკომპეტენტურობამ გამოიწვია ის შედეგები, რომლებიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში და ეს არაპროფესიონალიზმი აისახა როგორც კონსტიტუციაში, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებშიც.**

აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა:

**იცოდნენ თუ არა ამ სახიფათო ჩანაწერების შესახებ პარლამენტარებმა, როდესაც კონსტიტუციაში შესწორებებს ამტკიცებდნენ?**

იცოდნენ!

მხოლოდ **დავით ბაქრაძეს** ჯერ კიდევ 2009 წელს სამი წერილი მივწერე. ამ საკითხებზე წერილები გავუგზავნე, აგრეთვე, **გივი თარგამაძესა** და **პავლე კუბლაშვილს,** მაგრამ მათგან პასუხი არ მომსვლია. მხოლოდ ბატონმა **დიმიტრი ლორთქიფანიძემ** გაიზიარა ჩემი მოსაზრებები, მაგრამ მას არ უსმენდნენ.

მოქმედი პარლამენტარებიდან, ასე თუ ისე, ლოგიკური პასუხი გამომიგზავნა ბატონმა **გია ვოლსკიმ,** მაგრამ, როგორც ჩანს, ფრაქციაში მასაც ვერ გაუგეს.

2010 წელს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად სრულიად გაუგებარია როგორც პრეზიდენტის, ასევე მას დაქვემდებარებული ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს — ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი ქვეყნის მართვის სისტემაში; ამასთანავე, გაუგებარია, არის თუ არა პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული, ვინაიდან კონსტიტუციამ მას პრაქტიკულად ჩამოართვა სახელმწიფო ორგანოების ფუნქციობის უზრუნველყოფის უფლებამოსილებები და, აქედან გამომდინარე, მისთვის მიწებებული სახელმწიფოს მეთაურისა და ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტის ტიტულები სრულიად შეუსაბამოა მის უფლებამოსილებებთან. **ნუთუ პარლამენტარები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, არასამთავრობოები, საკონსტიტუციო სასამართლო და თვით გიორგი მარგველაშვილი ვერ ხედავენ და ვერ ხვდებიან, რომ კონსტიტუციამ მოქმედი პრეზიდენტი წინა პრეზიდენტის კარიკატურად აქცია?**

**ზოგი პარლამენტარი საპარლამენტო ორგანოში დაბერდა და ძირითადი კანონი დღემდე არ შეუსწავლია, ახლებს კი არ წაუკითხავთ და ამიტომაც არის მათთვის გაურკვეველი ქვეყნის მმართველობის სისტემა. ზოგს ჰგონია, რომ ისევ პრეზიდენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ (ქალბატონი გუგული მაღრაძე) მიმართულებებს, ზოგს კი საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად მიაჩნია (ზაქარია ქუცნაშვილი, კახა კუკავა).**

წინა მოწვევის პარლამენტმა პრეზიდენტს სა- ▶

# სამხედრო საქმის მცოდნე პირების კატასტროფულმა უკმარისობამ და ქვეყნის ხელმძღვანელი პირების სრულმა არაკომპეტენტურობამ გამოიწვია ის შედეგები, რომლებიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში და ეს არაპროფესიონალიზმი აისახა როგორც კონსტიტუციაში, ასევე, სხვა საკანონმდებლო აქტებშიც.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხელმწიფოს სამეთაუროდ არავითარი უფლება რომ არ დაუტოვა და მხოლოდ პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აჰკიდა, ნუთუ ვერ ხედავენ საკონსტიტუციო სასამართლოში და ვენეციის კომისიაში?

მრავალ ქვეყანაში კონსტიტუცია ითვლება სახელმწიფოს უშიშროების გარანტად. ჩვენთან კი ძირითადი კანონი გაუგებრობისა და ხელისუფლების შტოებს შორის არეულობის მიზეზი შეიქნა. პრეზიდენტი არ ცნობს პრემიერს, პრემიერი კი არც სახელმწიფოს მეთაურს და არც პარლამენტს. ამას ადასტურებს თუნდაც **ირაკლი ღარიბაშვილის** წასვლა პრემიერმინისტრის თანამდებობიდან.

ამას მოწმობს პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული უშიშროების საბჭოს“ შესახებ ორგანული კანონი და მთავრობის მიერ 2014 წელს „კრიზისების მართვის შესახებ“ მიღებული №38 დადგენილება, რომელთა მიხედვითაც პრეზიდენტიც და პრემიერიც ცდილობენ პარლამენტის თავმჯდომარის თავის დაქვემდებარებაში მოქცევას და ისე დაიბნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ აქციეს ერთი და იმავე შემადგენლობისა და შესასრულებელი ამოცანებით ეროვნული უშიშროების საბჭო და კრიზისების მართვის საბჭო ქსეროქსზე გამრავლებულ მთავრობად.

ამ მოკლე მიმოხილვაში გავაანალიზეთ კონსტიტუციის მოთხოვნების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეხება უშუალოდ სამხედრო თემებს და რომლის გამოსწორებაც არც ისე რთულია დარჩენილ პერიოდში. ამით ქაღალდზე მაინც იქნება დაცული ქვეყნის თავდაცვის ინტერესები.

საბედნიეროდ, ქვეყანაში არსებობს მეცნიერებათა აკადემია და, საქართველოს ე.წ. ელიტას ცოტა თავმოყვარეობა და სიამაყე რომ ჰქონდეს, საჭირო აღარ იქნებოდა ვენეციის კომისიისა და უცხო ქვეყნების მუდმივი ჩარევა ჩვენს საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივ საქმეებში. ნუთუ ასეთი უნიჭონი ვართ?

2012 წელს არჩეული პარლამენტის მუშაობის უარყოფითი შედეგები საკანონმდებლო ორგანოში სპორტსმენებისა და ხელოვანთა სიმრავლის ბრალი კი არ არის, არამედ პარლამენტში პროფესიონალი და პრინციპული იურისტების, პოლიტიკოსებისა და სამხედროების ნაკლებობის.

2016 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები და ნუთუ პარლამენტარები, პრემიერმინისტრი და მინისტრები თავიანთი მოვალეობის შესრულებას ისევ ფიცის დადების გარეშე შეუდგებიან?

2016 წლის 1 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა **დავით უსუფაშვილმა** ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, პარლამენტის არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი და ამ თარიღს ათანხმებს პრემიერთანო. ამ განცხადებამ სათავე დაუდო გაუგებრობასა და გაუთავებელ კამათს ამ საკითხზე.

პრეზიდენტმა ისე, რომ არც კი ჩაუხედავს კონსტიტუციის 73' მუხლში, 5 აპრილს განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებს ნიშნავს 2016 წლის 8 ოქტომბერს და ეს გადაწყვეტილება გაუგზავნა პრემიერს შესათანხმებლად — ამ შემთხვევაში პრეზიდენტი კოლეგიურად მოიქცა, თუმცა შეეძლო ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღო. ამისთვის მას პრემიერის თანხმობა არ სჭირდება.

**მთავრობის მეთაურმაც ისე, რომ არც ის არ გასცნობია 73' მუხლს, თავი დაიფასა და გარკვეული შენიშვნებით დოკუმენტი უკან დაუბრუნა, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა როგორც პრეზიდენტთან, ასევე „პოლიტიკოსებთან“ და „ყველაფრისმცოდნე“ არასამთავრობოებთან.**

ამით კი სამივემ — პარლამენტის თავმჯდომარემ, პრემიერმა და პრეზიდენტმა — დაამტკიცა, რომ პატივს არ სცემენ კონსტიტუციას, და თავიანთ უფლებამოსილებებში ჯერ ვერ გარკვეულან.

და **როგორი სურვილი აქვთ ხელისუფლებაში დარჩენისა და ჩვენი მართვის?!**

ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი განცხადებით შეცდომაში ამერიკის ელჩიც კი შეიყვანა.

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ პრეზიდენტს უფლება ეძლევა, ყოველგვარი კონსულტაციისა და ვინმესთან შეთანხმების გარეშე გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა და ამაზე კითხვა არავის უჩნდება. არადა, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის არჩევნების თარიღის დანიშვნას რა აჟიოტაჟი და კამათი მოჰყვა? თითქოს ამით ქვეყანა დაინგრა.

გაზეთის მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, თუ როგორ შეაფასებდა უცხო სახელმწიფოს დამკვირვებელი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მიდგომას თავდაცვისა და უშიშროების საკითხებისადმი, მათ პრინციპულობას სამართლიანობისა და დემოკრატიის დამყარებაში, ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნის მართვის სისტემაში.

1. პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** — კონსტიტუციის მიხედვით, კარიკატურული უფლებებით, მაგრამ დარჩენილ უფლებამოსილებებს ხშირად იყენებს საზოგადოებაში სიტუაციის გასამწვავებლად, ძალაუფლების სახელისუფლო შტოებს შორის დაძაბულობის შესატანად.

მას თითიც კი არ გაუნძრევია, თუნდაც, თავისი მინიმალური უფლებების აღსადგენად; უკანონოდ გასამართლებული სამხედრო მოსამსახურეების დასაცავად, მათი ღირსების აღსადგენად.

ძალიან სუსტია სამხედრო საკანონმდებლო აქტებში.

2. პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** — ეტყობა ნაკითხი ადამიანია, მაგრამ მასაც არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო დაემსგავსოს კლასიკური ევროპული ქვეყნების პარლამენტებს (ალბათ, მათი კონსტიტუციები არ შეუსწავლია). ის ვერ ათვითცნობიერებს, რომ:

* **პარლამენტი ველარ აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას და ეს უფლება პრემიერმინისტრს გადაეცა** (მ. 79, პ. 2);

* მთავრობის მეთაურს შეუძლია უგულებელყოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნებსაც კი და ის ორგანო პასუხის ღირსადაც არ ჩათვალოს (მ. 59, პ. 3);

* **მთავრობას მოეხსნა პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე და ის ანგარიშვალდებულებით შეიცვალა** (მ. 78, პ. 1);

* პარლამენტს დაუტოვეს უფლება, პრემიერმინისტრს მოსთხოვოს მხოლოდ სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (მ. 79, პ. 3); მეტი არაფერი;

* **პრემიერმინისტრს ქვეყნის მართვაზე არავითარი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები არ დაუკისრებია, არათუ ფიცის დადებით, განცხადებითაც კი.**

* გაუგებარია ქვეყნის მმართველობის სისტემა.

**საკონსტიტუციო კომისიამ ორ წელიწადზე მეტხანს იმუშავა და მისი მუშაობის შედეგი არავის უნახავს და არც არავის მოუთხოვია, რისთვის დაიხარჯა 300 000 ლარი. ამ კომისიის თავმჯდომარე იყო პარლამენტის თავმჯდომარე. და ეს არის 2012-2016 წლების პარლამენტის მუშაობის შედეგი?**

როდესაც პარლამენტის თამჯდომარეს ავიწყდება საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების თარიღის დანიშვნის პროცედურა, სხვას რა უნდა მოსთხოვო?

პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილს**, ეტყობა, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ კონსტიტუციის საკითხებში უკვე მეორედ ჩაიჭრა.



პირველად — როდესაც ვერ აუხსნა ჟურნალისტს, რატომ არ დახვდა საქართველოს ელჩი აშშ-ის პრეზიდენტს აეროპორტში და რატომ იმყოფებოდა ის მუდმივად პრემიერმინისტრის ამალაში და არა პრეზიდენტის.

მაგრამ ყველაზე მეტად გამაკვირვა კვირიკაშვილის ახსნა-განმარტებებმა კრიზისების მართვის ოთახის დათვალიერებისას 2016 წლის 8 თებერვალს. მან ვერ შეძლო, დამაჯერებლად, ზუსტად და მკაფიოდ აეხსნა საზოგადოებისთვის კრიზისების მართვის საბჭოსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს დანიშნულება და ამოცანები.

ამ სტრუქტურის სხვა წევრებმაც ბუნდოვანი განცხადებები გააკეთეს.

და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მომენტი რომელიმე მზვერავს გამორჩებოდა, ძალიან ცდება. ქვეყნის ხელმძღვანელობის შესაძლებლობები თავდაცვის, უშიშროებისა და სხვა სფეროებში მათ (მზვერავებს), უკვე დიდი ხანია, შეფასებული აქვთ.

**როგორ უნდა უწოდო საქართველოს დემოკრატიული ქვეყანა, როდესაც თვით ძირითადი კანონია დაპატიმრებული და ბორკილდადებული?!**

აბა, სხვაგვარად როგორ გავიგოთ 102-ე მუხლის მოთხოვნები?

არასამთავრობოებს, პარლამენტარებს, პოლიტიკოსებსა და მათ, ვისაც ბოლომდე არ აქვს წაკითხული საქართველოს კონსტიტუცია, შევახსენებ ამ მუხლის შინაარსს:

**„3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე, სულ ცოტა, სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი“.**

და ეს არის საპარლამენტო დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია?

რა დროს მაჟორიტარული არჩევნების სისტემის გაუქმებაზეა საუბარი, როდესაც ძირითად კანონში დაშვებული შეცდომების გამო:

— ქვეყანა საფრთხეშია;

— არსებობს ავტორიტარული რეჟიმის დამყარების საფრთხე;

— კონსტიტუცია ბორკილდადებულია და კარცერშია გამომწყვდეული.

ამ დოკუმენტს ხელახლა შემუშავება თუ უშველის, და ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია პარტიას „საქართველო მშვიდობისათვის“, რომელიც ამ საკითხზე, უკვე დიდი ხანია, მუშაობს.

პატივისცემით,

**ალექსანდრე ტოლსტოი**

**სამხედრო საქმის მცოდნე პირების კატასტროფულმა უკმარისობამ და ქვეყნის ხელმძღვანელი პირების სრულმა არაკომპეტენტურობამ გამოიწვია ის შედეგები, რომლებიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში და ეს არაპროფესიონალიზმი აისახა როგორც კონსტიტუციაში, ასევე, სხვა საკანონმდებლო აქტებშიც**



## «ნატოში საქართველოს მიღება იქნება დარტყმა ევროპულ უსაფრთხოებაზე»

**ნატოში რუსეთის ელჩმა ალექსანდრე გრუშკომ საქართველოს ნატოში გაწევრებაზე ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას ასე უპასუხა:**

„ვფიქრობ, ნატოში გონივრულად იმოქმედებენ, რადგან ნატოში საქართველოს მიღება იქნება დარტყმა ევროპულ უსაფრთხოებაზე. ეს არის კოლოსალური რისკი ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“.

როგორც საქართველოში ვიზიტით მყოფმა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო ნატოს უფრო მეტ შეხვედრაში იქნება წარმოდგენილი, ვიდრე სხვა პარტნიორები.



## ჯეიმს აპატურაი: ვარშავის სამიტზე საქართველოს მაპ-ს არ მისცემენ

**კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის — ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ვარშავის სამიტზე საქართველოს ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმას — მაპ -ს არ მისცემენ. მისი თქმით, ფოკუსირება უნდა მოხდეს ალიანსის მომავალ წევრობაზე და არა მაპ-ზე.**

„ვფიქრობ, გადაწყვეტილება, რომ ფოკუსირება მოხდეს მომავალ წევრობაზე და არა მაპ-ის თემაზე და როგორ შეიძლება საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება ფურცელზე გაჩნდეს, არის მართებული მიდგომა, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს. არ გვინდა მაპ-ის გაფეტიშება, არ ვაქციოთ პოლიტიკური დისკუსიის საგნად. სამიტზე საქართველოს მაპ-ს არ მისცემენ. რასაც საქართველოს მთავრობა გააკონტროლებს, დანარჩენს, ანუ ყველაფერს მაპ-ის გარდა, ჩვენ გავაკონტროლებთ“, — განაცხადა აპატურაიმ.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ბაზარზე პრაქტიკულად ყველაფერი დოლარზე იყიდება — ნავთობი, ოქრო, ლითონი, საკვები პროდუქტები — ყველაფერი. ძირითადი მსოფლიო რესურსების ყიდვა მხოლოდ დოლარებით შეგიძლიათ. ოღონდ ჯერ თქვენი ვალუტა დოლარზე უნდა გადაცვალოთ, შემდეგ გადაიხადოთ. ნავთობის გამყიდველი თქვენს დოლარებს შემდეგ თავის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლის. ასე იქმნება დოლარზე ხელოვნური მოთხოვნა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-17 (330-346)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზი$ი: როგორ კეთდება?

## რატომა არის ბენზინი აშშ-ში უფრო იაფი, ვიდრე რუსეთში?

სანამ დავიწყებთ საუბარს იმ მიზეზებზე, თუ რა პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში ეხმარება კრიზისი მის ორგანიზატორებს, უპრიანი იქნება, ვუპასუხოთ ერთ შეკითხვას. ამ შეკითხვას აქტიურად ატრიალებენ გაზეთები და ჟურნალები. იგია ალფა და ომეგა პროპაგანდისა, რომლის მიზანია წარმოაჩინოს რუსეთის ეკონომიკის წარუმატებლობა, რუსეთის ხელისუფლების უჭკუობა და კორუფციულობა.

ეს შეკითხვა მკითხველებსაც აღელვებს და ეძებენ პასუხს — **რატომ არის ბენზინი აშშ-ში უფრო იაფი, ვიდრე რუსეთში?**

ნავთობის მომპოვებელ ქვეყანაში პროდუქტი, რომელსაც ბენზინისგან ამზადებენ, უფრო ძვირია მომხმარებელ ქვეყანასთან შედარებით.

რეალობა ასეთია: პრაქტიკა ადასტურებს, რომ, ჩვეულებრივ, ეკონომიკაში ასე არ ხდება, პირიქით — კი, ბატონო.

რაშია საქმე?

პასუხს მარტივად ლიბერალები გასცემენ — კონკურენციის შედეგიაო ეს „ალოგიკური რეალობა", რომელიც მართლაც შორს დგას სინამდვილისგან, თუმცა **„განსწავლულ" ლიბერალებს არ ეუხერხულებათ თავიანთი სრული უვიცობის საჯაროდ გამოტანა, არ ადარდებთ თანამედროვე ეკონომიკური სამყაროს საბაზო ელემენტების არცოდნის დემონსტრაცია. უბედურება ის არის, რომ, რბილად რომ ვთქვათ, საბაზრო პრინციპების, კონკურენციისა და ეფექტიანობის პროპაგანდისტულ მიზნებს მორგებული მსჯელობით ისინი ცდილობენ, გონება აურიონ ჩვეულებრივ მოქალაქეებს.**

ჯერ შემხვედრი შეკითხვა დავსვათ — **თუ ყველაფრის თავიდათავი მხოლოდ ეკონომიკის ეფექტიანობა და საბაზრო პრინციპებია, მაშ, რატომ არის ასე ძვირი იგივე ბენზინი ევროპაში? რატომაა, რომ, მაგალითად, ყოველთვის აშშ-ს ასახელებენ, სადაც საწვავი მართლაც იაფია, და არასოდეს ახსენებენ გერმანიაში, ბელგიაში ან ფინეთში ბენზინის ღირებულებას? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ წამოყენებული ბრალდება ხუხულასავით ინგრევა — ბენზინი ევროპაში უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთში, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა არანაკლებ საბაზროა, ვიდრე აშშ-ის ეკონომიკა.**

განსხვავება რა არის?

გადასახადები, — იტყვის ლიბერალი, ევროპაში სახელმწიფოები საწვავის გამყიდველებს ბაჟის მაღალ ტარიფებსა და დიდ გადასახადებს უწესებს.

მართალს ამბობენ.

რბილად შევაპაროთ შემდეგი შეკითხვა: **რატომაა, რომ აშშ-ში ხელისუფლება საწვავის იმავე გამყიდველებს იმავე გადასახადებს არ უწესებს? ამერიკას ფული არ სჭირდება?**

სჭირდება და მერე როგორ! **2008 წლისთვის აშშ-ის ერთობლივი სახელმწიფო ვალი ასტრონომიული იყო — 10,5 ტრილიონი დოლარი, 2016 წელს კი 19 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა; ვარაუდობენ, რომ უახლოესი 10 წლის თავზე 30 ტრილიონს მიაღწევს. ასეთია ტენდენცია, ექსპერტების მიერ გათვლილი.**

(ერთი საინტერესო შტრიხი აშშ-ის სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული: იმავე 2008 წელს ამერიკას რუსეთის 74,4 მილიარდი დოლარი ემართა, რომელიც ბოლო 7 წლის განმავლობაში შვიდჯერ გაიზარდა. 2008 წლის ნოემბერში ჟურნალ **„პერეიდის"** ფურცლებზე ეს განაცხადა ვაშინგტონის „ეროვნული უსაფრთხოების პროექტის" აღმასრულებელმა დირექტორმა).

ეს კი ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 8 წლის წინათ ყველა ამერიკელს უცხო ქვეყნების, კერძო ინვესტორებისა და კომპანიების ვალი ჰქონდა ისეთი ოდენობით, რომელიც უდრიდა ამ ქვეყნის (აშშ-ის) წლიურ შემოსავალს!

საინტერესო სურათი იხატება — **რუსეთი და ევროპა, რომლებსაც აშშ-თან შედარებით სახელმწიფო ვალი არ აქვს, ცდილობენ, „იშოვონ" ფული ყველასთვის ესოდენ საჭირო ბენზინზე დიდი გადასახადების დაწესებით; აშშ კი, რომელსაც ვალები ახრჩობს — არა.**

რატომ არ სჭირდება აშშ-ის მთავრობას ფული? სოციალიზმს ხომ არ აშენებენ „ადამიანური სახისას" ალასკისა და კალიფორნიის სივრცეებში? ან კომუნას, ან მახნოს ვალდებულებისგან გათავისუფლებულ ქვეყანას, რომელშიც ფული საერთოდ არ იარსებებს? ან, ეგებ, აშშ საერთოდ არ აპირებს თავისი საარაკო ვალების გასტუმრებას?

დიახაც, არ აპირებს! პირიქით — უფრო მეტ ვალს იღებს და იმაზე ორჯერ უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს. ან რისთვის სჭირდება ფული იმ ქვეყანას, რომელიც ფლობს „ფულის საბეჭდ დაზგას"?! არც მაღალი გადასახადების დადგენა სჭირდება, არც არნახული ბაჟის დაწესება. ჩართავენ „დაზგას" და იმდენს დაბეჭდავენ, რამდენიც მოესურვებათ. თანაც, ეს ფული იქნება ნაღდი — მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული დოლარი. **ამაოდ ხომ არ წამოიწყო ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, რომელმაც აშშ-ში სახელმწიფო ჩაანაცვლა, ორი მსოფლიო ომი, დაუღალავად და მიზანმიმართულად ამაოდ ხომ არ ებრძოდა საბჭოთა კავშირს 46 წლის განმავლობაში 1945 წლიდან 1991 წლამდე? საბჭოთა კავშირი დაიშალა და ეს იყო უკანასკნელი ძალა, რომელსაც შეეძლო ეჭვი შეეტანა არაფრით უზრუნველყოფილი მწვანე ბანკნოტების ბეჭდვის მიზანშეწონილობაში. სხვათა შორის, ბენზინი საბჭოთა ქვეყანაში კაპიკები ღირდა.**




**2008 წლისთვის აშშ-ის ერთობლივი სახელმწიფო ვალი ასტრონომიული იყო — 10,5 ტრილიონი დოლარი, 2016 წელს კი 19 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა; ვარაუდობენ, რომ უახლოესი 10 წლის თავზე 30 ტრილიონს მიაღწევს. ასეთია ტენდენცია, ექსპერტების მიერ გათვლილი**

მართლა კაპიკები...

საბჭოთა კავშირი არ არსებობს და ყველა უმნიშვნელოვანესი რესურსით ვაჭრობა დღეს მხოლოდ დოლარებით მიმდინარეობს. ბაზარზე ოქროს, ნავთობის, გაზის, სურსათის, ლითონისა და ა.შ. შესყიდვის ოპერაციის განსახორციელებლად საჭიროა ჯერ დოლარის ყიდვა, შემდეგ ამ დოლარით საქონლის ღირებულების გადახდა. ეს კი ნიშნავს, რომ ქაღალდის (ფულის) დაბეჭდვით, უფრო ზუსტად, კომპიუტერში ნულების მიწერით, აშშ აძვირებს დოლარს მსოფლიო ბაზარზე. დოლარი თავად გახდა საქონელი, ამასთანავე, უფრო საჭირო, ვიდრე ნავთობი ან გაზი.

**როგორია ასდოლარიანი კუპიურის თვითღირებულება? — ათი ცენტი. რა ოდენობის ნავთობი შეგიძლია იყიდოთ ამ ფულით, თუ ერთი ბარელი 50 დოლარი ეღირება? — ორი ბარელი. სინამდვილეში აშშ-მა ნავთობში 10 ცენტი გადაიხადა. ზუსტად ამდენი დაუჯდა ამერიკას ეს 100 დოლარი. როგორია „შავი ოქროს" მოპოვების თვითღირებულება? — ადგილს გააჩნია. საუდის არაბეთსა და ქუვეითში საკმარისია, მიწას ბარი დაარტყა და ამოქაფე ვედროებით, რამდენიც გსურს!** რუსეთში ასე არ გამოვა. ნავთობი ღრმადაა მიწის გულში, თანაც მარადგაყინულ მიწაში, ტაიგაში. იქ, სადაც ადამიანები უწინ არ ცხოვრობდნენ. მიწის გულიდან მოპოვებული ამ ნავთობის შორეულ მანძილებზე ტრანსპორტირებაა საჭირო. საუდის არაბეთში კი მილსადენები მოკლეა — საბადოდან ერთი ხელის გაწვდენაზეა პორტების ნავთობტერმინალები. რუსეთში ამისთვის ათასკილომეტრიანი მილსადენებია საჭირო.

შედეგი მარტივია: რუსეთის ნავთობი ძვირია, ფასები — განსხვავებული. მაგრამ ეს „მცირე" უბედურებაა. მთავარი ისაა, რომ **საბჭოთა კავშირმა (რუსეთმა) „ცივი ომი" წააგო და ნაწილებად დაიშალა. ამ ტრაგედიას ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაინგრა მსოფლიოში უდიდესი ქვეყანა. ანალიტიკოსები არ ჩქარობენ, დაასახელონ ციფრი ეკონომიკური ნგრევის — რა ზარალი მიაყენა ქვეყანას თუნდაც გორბაჩოვის „პერესტროიკამ". ეგებ, არც დაუთვლიათ?.. ამ ზარალის მეტ-ნაკლებად კომპენსირების ერთადერთი გზა იმ ყველაფრის გადასახადებით დაბეგვრაა, რაც ნახშირწყალბადთანაა დაკავშირებული.**

ზუსტად ასე იქცევა ევროპაც. იქ ავტომანქანა ჰყავს ყველას. ყველას სჭირდება საწვავი. გადასახადები მიდის ბიუჯეტში. რა არის აქ მცდარი და არასწორი? სადაა კორუფცია, არაეფექტიანობა ან უჭკუობა?

ძვირია ბენზინი ნორვეგიაშიც, რომელიც ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. ნორვეგიაში მხოლოდ ნავთობი კი არ ღირს ძვირი, არამედ ცხოვრებაა უძვირესი, გერმანიასთან და, ვთქვათ, საბერძნეთთან შედარებით. ნუთუ ნორვეგიის მთავრობა ევროპაში ყველაზე უფრო უეფექტოა და უგონო? მით უფრო, რომ ეს ქვეყანა ცხოვრების უმაღლესი დონით არის გამორჩეული.

კონკურენცია აქ არაფერ შუაშია, „საბაზრო პრინციპები" ან ეფექტიანობა არავითარ როლს არ თამაშობს.

**ბენზინი აშშ-ში იაფია იმიტომ, რომ ეს ქვეყანა თითქმის უფასოდ იღებს ნავთობს, რომლისგანაც ეს პროდუქტი მზადდება.**

რუსეთსა და ნორვეგიაში ეს ნავთობი ძვირია ბუნებრივი პირობების გამო და ქვეყნების ბიუჯეტები ყალიბდება, ძირითადად, ნავთობის გადასახადების ხარჯზე. ამერიკელებს ეს გადასახადები არ სჭირდებათ — მათი ბიუჯეტი დოლარის ემისიის წყალობით ივსება.

წარმოიდგინეთ ვაშლის წვენის მწარმოებელი ორი ქარხანა. ერთი მათგანი ვაშლის ბაღში დგას, მეორე კი იქ, სადაც ვაშლის ხის ხსენებაც არ არის. პირველმა საწარმომ უნდა დაიქირაოს მუშები, მოაკრეფინოს, გაარეცხინოს ნაყოფი და სპეციალურ საამქროში განახორციელოს ტექნოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო — მიიღოს წვენი. შემდეგ უნდა გადაიხადოს გადასახადი, არცთუ მცირე. საბოლოოდ, საწარმოს ერთი ქილა წვენი ერთი დოლარი უჯდება, რომელსაც ორ დოლარად გაყიდის.

მეორე ქარხანას მთელი ეს ციკლი თითქოს გაცილებით ძვირი უნდა დაუჯდეს, რადგან ქარხანა ვაშლის ბაღში არ დგას — გადასამუშავებელი პროდუქცია შორიდან აქვს მოსატანი, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი ნიუანსი, რომელიც ძირფესვიანად ცვლის ვითარებას: მას, ამ მეორე ქარხანას, ჰყავს ძლიერი მფარველები — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტი და სამხედრო საჰაერო ძალები, ანუ აშშ არმია, რომელიც უდიდესია მსოფლიოში. ამერიკა შეიარაღებაზე ხარჯავს იმდენს, რამდენსაც დანარჩენი ქვეყნები ერთად აღებული. და მთელი ეს სიძლიერე მან უნდა შეინახოს და გამოკვებოს. ასევე, გულის გასაგრილებლად მიაწოდოს ვაშლის ის წვენი, რომელიც ამ ქარხნების მიერაა დამზადებული. **ამიტომ ბეჭდავს აშშ ფულს უდიდესი რაოდენობით, რომელიც, ფაქტობრივად, არაფრით არის უზრუნველყოფილი, ამერიკის არმიის გარდა, არაფრით. მათ, ვინც ამ ფულის აღებაზე უარს იტყვიან, ბომბავენ, მონათლავენ კომუნისტებად, ტერორისტებად და ფაშისტებად. თითქმის საუკუნეა, ასე ხდება. შედეგად, მთელი მსოფლიო, ნებით თუ ძალდატანებით, იყენებს ამერიკულ ფულს. ძალადობაც აღარაა საჭირო და აუცილებელი. რადგან ყველგან მიიღებენ ამ მწვანე ქაღალდებს, მაშასადამე, მომგებიანია დოლარებით ვაჭრობა.** ამიტომ წვენების პირველი ქარხანა თავისი ნებითა და სურვილით აწვდის მეორე ქარხანას ვაშლის წვენის კონცენტრატს 1,2 დოლარად. აშშ-ის მთავრობა კი თავის ამ ქარხანას გადასახადებს თითქმის არ ართმევს. შედეგად, ერთი ქილა, რომელსაც მეორე ქარხანა სავაჭრო ქსელში გზავნის, პირველი ქარხნის დამზადებულზე იაფი ღირს.

**არც რუსეთს, არც ნორვეგიას „ფულის საბეჭდი დაზგა" არ აქვს. არც საფრანგეთს აქვს, არც გერმანიას. მათი ევრო დოლარის ჩრდილშია მოქცეული. ამიტომ ხდება აუცილებელი, რომ ნავთობკომპანიებსა და ბენზინის რიგით მომხმარებელს დიდი გადასახადები „შეაწერონ".**

რუსეთში ბენზინის საბოლოო ღირებულებაში შედის:

— სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გადასახადი, რომლის პროცენტი ყოველთვიურად კორექტირდება;

— დამატებითი ღირებულების გადასახადი;

— ნავთობპროდუქტებზე დაწესებული აქციზი.

**მათი ჯამი ბენზინის ღირებულების 53 პროცენტს შეადგენს. აშშ-ში გადასახადები ნაკლებია ან, საერთოდ, არ არის. გადასახადების განსხვავება აისახება რუსეთსა და ამერიკაში ბენზინზე დაწესებული** ▶

**საბჭოთა კავშირმა (რუსეთმა) „ცივი ომი“ წააგო და ნაწილებად დაიშალა. ამ ტრაგედიას ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაინგრა მსოფლიოში უდიდესი ქვეყანა. ანალიტიკოსები არ ჩქარობენ, დაასახელონ ციფრი ეკონომიკური ნგრევის — რა ზარალი მიაყენა ქვეყანას თუნდაც გორბაჩოვის „პერესტროიკამ“. ეგებ, არც დაუთვლიათ?.. ამ ზარალის მეტ-ნაკლებად კომპენსირების ერთადერთი გზა იმ ყველაფრის გადასახადებით დაბეგვრაა, რაც ნახშირწყალბადთანაა დაკავშირებული.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო კრიზისის ორგანიზატორებისგან არ უნდა ველოდოთ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას მის დასაძლევად. არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი. ისინი იმას აკეთებენ, რაც სურთ: შეისყიდეს ყველაფერი, რისი შესყიდვაც შეძლეს, აშშ-ში «წვავენ» დოლარებს, ჩამოწერენ მათ ყველა თავიანთი ბანკის ანგარიშებიდან. და ემზადებიან პოლიტიკური რეჟიმების შესაცვლელად იმ ქვეყნებში, რომლებიც ბედავენ, დაეჭვდნენ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ფედერალური სარეზერვო «საბეჭდი დაზგის» უძლეველობაში

**ფასების სხვაობაში.** ნუ გაიკვირვებთ, თქვენ იცქირებით თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მრუდე სარკეში, რომლისთვისაც მსგავსი „სასწაულები“ ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად, ჩინთის მოქალაქენი სიამოვნებით ყიდულობენ აშშ-ის ინტერნეტმაღაზიებში მაღალხარისხიან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. სადაა ნაწარმოები ეს პროდუქცია? ჩინეთში. რატომ ყიდულობენ მაინცდამაინც აშშ-ის ინტერნეტმაღაზიებში? იმიტომ, რომ აშშ-ში უფრო იაფი ღირს.

მსოფლიო ეკონომიკა ისეა დაგეგმილი, რომ შეერთებულმა შტატებმა მოიხმაროს იმაზე გაცილებით მეტი, რასაც აწარმოებს. შეიძლება ეს სიტუაცია შეიცვალოს. ამისთვის საჭიროა, რომ ნახშირწყალბადი დოლარებზე არ გაიყიდოს. თქვენ შეიძლება არც კი იცით, რომ **მსოფლიო ბაზარზე პრაქტიკულად ყველაფერი დოლარზე იყიდება — ნავთობი, ოქრო, ლითონი, საკვები პროდუქტები — ყველაფერი. ძირითადი მსოფლიო რესურსების ყიდვა მხოლოდ დოლარებით შეგიძლიათ. ოღონდ ჯერ თქვენი ვალუტა დოლარზე უნდა გადაცვალოთ, შემდეგ გადაიხადოთ.** ნავთობის გამყიდველი თქვენს დოლარებს შემდეგ თავის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლის. ასე იქმნება **დოლარზე ხელოვნური მოთხოვნა.**

კრიზისი და დოლარი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: პრაქტიკულად განუყოფელია. **თუ არ გადაწყდება პრობლემა, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა მსოფლიოს უქმნის ფულის გაუკონტროლებელი ბეჭდვით, ვერ გადაწყდება გლობალური ფინანსური ამოცანები.**

მსოფლიოში თავისი ვალუტის დომინირების უზრუნველსაყოფად აშშ-ს ჰყავს მთელ პლანეტაზე უდიდესი არმია. ნებისმიერ მცდელობას „საბეჭდ დაზგაზე“ ზიანის მისაყენებლად ამერიკა ძირშივე მოჰკვეთს. აშშ კვლავაც შეეცდება, შეინარჩუნოს დღევანდელი ვითარება, მაგრამ **მსოფლიო იცვლება, ყოველ შემთხვევაში, იგი ცდილობს, გადააგდოს დოლარის უღელი.** თავიანთი ფულით ვაჭრობის შესახებ განაცხადეს ჩინელებმა, არაბებმა.

ეკონომიკების შენარჩუნების მიზნით, შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, თანდათან ძალას კარგავს მსოფლიო სავაჭრო კავშირი. გადამწყვეტი ბრძოლა აშკარაა. თანამედროვე ომის „რაინდები“ ჯაჭვთორანით შემოსილები კი არ გამოდიან ასპარეზზე, არამედ მოდური კოსტიუმებითა და ძვირად ღირებული ჰალსტუხებით ნაპატივებ ყელ-კისერზე. სწორედ ამ უკანასკნელთა შერკინების მოგება ან დამარცხება მყისიერად აისახება მსოფლიო ურთიერთობის მდინარებაზე და დედამიწის მომავლის განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. პარადოქსია, რომ ბრძოლის მონაწილეებმა არასოდეს იციან, რომელ „სახელოვან“ ბრძოლაში მოუწიათ მონაწილეობა. ჯარისკაცები, რომლებიც ვატერლოოსა და ბოროდინოსთან იბრძოდნენ, ბედნიერები იყვნენ იმით, რომ ცოცხალი გადარჩნენ. მათი გამარჯვების სიდიადე მხოლოდ მომდევნო თაობებმა შეიგნეს და დააფასეს. დღეს ვატერლოო და ბოროდინო თითქმის „ბრენდებია“. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ბედისმიერი ბრძოლა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. როგორც უნდა დამთავრდეს ეს ბრძოლა, შედეგი მყისიერად არ გაცხადდება: 1380 წელს მამაიზე გამარჯვების შემდეგ რუსეთი ურდოს თითქმის 100 წლის განმავლობაში ხარკს უხდიდა. **რამდენი წელიწადი უნდა ვუხადოთ ხარკი ამჟამინდელ ურდოს და მივართვათ ჩვენი ბუნებრივი მარაგები მისი ქაღალდის დოლარების სანაცვლოდ, რომლებიც შემდეგ „ურდოს“ სახელმწიფო ობლიგაციებში დავანდება?** ამ შეკითხვაზე დღეს ვერავინ გვიპასუხებს. ისინიც კი, ვინც ყოველდღიურად იბრძვის დიპლომატიური მაგიდების ირგვლივ გამართულ პაექრობაში სამიტებისა თუ სხვადასხვა შეხვედრის დროს. მართალია, დრო დღეს სწრაფად მიქრის, მაგრამ მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ. იმის განსაზღვრა, თუ ვინ გაიმარჯვა დიპლომატიურ ბრძოლებში, ძალიან ძნელია. თითოეული მხარე თავის გამარჯვებაზე ლაპარაკობს...

ყველამ უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ **საკუთარი ვალუტის წონის გაზრდის გარეშე, მისი გავრცელების არეალის გაზრდის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის, რუსეთიც, წარმატებით ვერ შეებრძოლება დღევანდელი მსოფლიოს მკაცრ რეალობას.** თუ რუსეთი მოიპოვებს იმის უფლებას, რომ რუბლი ერთ-ერთ რეგიონულ ვალუტად იქცეს, ეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქნება აღქმული. რეგიონული ვალუტა კი ნიშნავს მოცემულ რეგიონში ანგარიშსწორებას მხოლოდ ამ ვალუტის მეშვეობით. ვინ ადგენს ამ რეგიონის საზღვრებს? სად გადის ეს საზღვარი? **რეგიონული ვალუტა პირველი ნაბიჯია, მსოფლიო ვალუტისკენ გადადგმული. მეორე ნაბიჯი შეიძლება ვერ გადაიდგას, მაგრამ საამისო პოტენციალი ნამდვილად შემზადდება. დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის, შენარჩუნების შემთხვევაშიც კი რამდენიმე რეგიონული ვალუტის ამოქმედება უეჭველად გამოიწვევს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წონის დაკნინებას. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდება ახალი ცენტრები, რომლებიც თავიანთი ფულის ემისიის მეშვეობით ნაბიჯ-ნაბიჯ შეკვეცს ამერიკის გავლენას, მაშასადამე, ეკონომიკურ სიძლიერეს და ცხოვრების დონესაც...**

ახლა, ვგონებ, გასაგები უნდა იყოს, რატომ ღირს ბენზინი უფრო ძვირი, ვიდრე აშშ-ში. კონკურენცია და მონოპოლია კი არაფერ შუაშია.

## როდის დამთავრდება კრიზისი?

მთავარი შეკითხვა, რომელიც ყველას გვაწუხებს ასეთია: **როდის დამთავრდება კრიზისი?**

მართლაც — როდის?

ამის გასაგებად მრავალშრიანი მსოფლიო მოვლენები თითოეული მოქალაქისთვის გასაგები ენით უნდა ავხსნათ. სიტუაციის გამარტივება მათ არსებით მხარეს არ შეცვლის, პირიქით — გაცილებით ადვილად ასახსნელსა გახდის.

მაშ, ასე: ერთ ბაზაზე არცთუ სუფთა სინდისის ადამიანები საქმიანობდნენ. სურდათ, კარგად ეცხოვრათ, მაგრამ საამისოდ კარგად შრომას თაკილობდნენ. ამ ბიჭებმა ბევრი იფიქრეს, რა უნდა ელონათ და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ცოტა შრომით ნებიერი ცხოვრება რომ მოეწყოთ, ცხადია, სათავისოდ. ამის მისაღწევად ბევრი საშუალება არსებობს, მაგრამ ყველა ერთმანეთს ჰგავს და მარტივია, როგორც ორჯერ ორი: გამომუშავებულზე მეტი რომ მიიღო, უნდა იქურდო. სხვა საშუალება კაცობრიობას არ მოუგონებია და, ალბათ, ვერც გამოიგონებს. ამიტომ ბაზის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ჩუმად და უხმაუროდ მიეთვისებინათ ყველაფერი, რაც მათ საწყობებში იდო. ასეც მოიქცნენ. მაგრამ მათი ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, როგორც მადა ჭამაში, იზრდებოდა მოთხოვნა უკეთესობის, უფრო მეტის მითვისებისა და გაფლანგვის. გარკვეული დროის შემდეგ დანაკლისი ბაზაზე ფრიად საგრძნობი გახდა. პირველივე რევიზია ამ დარღვევას გამოავლენს. რა უნდა ქნან ტკბილი ცხოვრების მოყვარულებმა? ნელ-ნელა უნდა ჩამოწერონ უკანონოდ მითვისებული, მაგრამ, თუ ერთი ვაგონი არაყია მიტაცებული, ასეთ რაოდენობას ერთ დღეში ვერ ჩამოწერ. ამის გაკეთება მხოლოდ დროს შეუძლია, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველაფერს ასწორებს. ცოტ-ცოტა და ნელ-ნელა დანაკლისსაც გაასწორებ და ფინანსურ ხვრელებსაც ამოავსებ.

აი, სწორედ ამით არიან დაკავებულნი ამერიკელები. **ამ ქვეყნის მცხოვრებთა მიერ გამოუმუშავებელი სიკეთე აღიწერება არაფრით უზრუნველყოფილი ფულის ოდენობით, რომელსაც ბეჭდავდა ფედერალური სარეზერვო სისტემა. და ახლა ფსს-ს პატრონები ბანკების „სიძნელეთა“ გამო, საფონდო ბაზრის დაცემის, ბუნებრივ სიმდიდრეთა ღირებულების, უძრავი ქონებისა და საკვების გაიაფების მომიზეზებით, ყოველდღიურად „ჩამოწერენ“ კოლოსალურ თანხას.** „რევიზია“ დოლარის მსოფლიო სისტემის კრახია. მის დადგომამდე ყველაფრის ჩამოწერა უნდა მოასწრონ. მაშინ რევიზიამ შეიძლება ვერც ვერაფერი შეამჩნიოს და მშვიდობიანად გაეცალოს. ხოლო საწყობის ბიჭებმა კვლავ განაგრძონ სხვისი ქონების მითვისება ფულის ბეჭდვით და მატერიალური რესურსების უფასოდ მიღების მათ მიერვე დადგენილი წესის თანახმად. მთავარია, მოასწრონ და დრო უქმად არ დახარჯონ. ხომ გახსოვთ: „დრო ფულია!“.

**ამიტომ კრიზისი ერთ კვირაში ვერ დამთავრდება. იგი უნდა გაგრძელდეს ბანკების არაერთი კვარტლის ანგარიშში, რომლებითაც მილიარდობით დოლარს ჩამოწერენ.**

მაშ, შეიძლება თუ არა კრიზისის სწრაფად დამთავრება? შეკითხვა არაკორექტულადაა დასმული, ანუ საჭიროა კი მისი სწრაფად დამთავრება? ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, პასუხი ერთმნიშვნელოვანი იქნება: დაწყებული საქმის დამთავრება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა დასახული მიზნები მიღწეული იქნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ „საბეჭდი დაზგის“ მფლობელებსაც კი არ ძალუძთ, მიაღწიონ ყველაფერს, რისი სურვილიც აქვთ. ბევრი ოფლი უნდა დაღვარონ, მათ მიერ ორგანიზებულმა კრიზისმა მაქსიმალური შედეგი რომ მოუტანოს.

ისინიც ცდას არ აკლებენ. შეიმუშავებენ და ამტკიცებენ ამერიკული ეკონომიკის გადარჩენის გეგმებს, რომლებსაც მისი გადარჩენის ძალა არ შესწევს. არ შეუძლია. პრინციპულადაა შეუძლებელი. ამ გეგმების აზრი და იდეა მარტივია გასაგებადაც და განსახორციელებლადაც — ჩადონ ფული ეკონომიკაში, დაბეჭდონ და ჩადონ ეკონომიკაში.

გავიმეოროთ „მონეტარისტის“ კლასიკური შეკითხვა: რამდენი? რა სიდიდისაა დაგეგმილი ფინანსური დახმარება? თანხა, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე, 780 მილიარდი დოლარის ფარგლებშია. მაგრამ მიახლოებითი გაანგარიშებითაც კი ჩანს, რომ ეს თანხა საკმარისი არ არის. გავიხსენოთ, რომ საფინანსო დაზღვევის ბაზარმა 2008 წელს აშშ-ში წლიურად 16,4 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ხოლო აშშ-ის საფონდო ბაზრის ღირებულება 10 ტრილიონი დოლარის ფარგლებში იყო, საერთო ჯამში — 26 ტრილიონი დოლარი. და ეს უზარმაზარი ფინანსური ბუშტი უცებ ჩაფუშეს საგანგებოდ მომზადებული ნემსით.

იმავე წლის **მხოლოდ ერთ თვეში საფინანსო ბაზრის ზარალმა ამერიკის ხელისუფლების მიერ პრობლემის დასაძლევად გამოყოფილი თანხის ოდენობას რვაჯერ გადააჭარბა...**

ვინც მეტ-ნაკლებად არის გათვითცნობიერებული ელემენტარულ მათემატიკაში, ადვილად დაასკვნის, ტრილიონობით ზარალს მილიარდობით დოლარი ვერ დაფარავს.

ასეთია დიდი რიცხვების მაგია. მილიარდები ჩვეულებრივ ადამიანზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ იგი (ეს ადამიანი) ვერ იეჭვებს — ეს ფული ვერავითარ პრობლემას ვერ გადაჭრის. განა შეიძლება სპილოს მორჩენა წამლების უმცირესი დოზით? 780 მილიარდი ობამასეული დოლარი ამ წესით სპილოს მორჩენის მცდელობას ჰგავს.

ე.ი. აშშ-ის ხელისუფლება არ ებრძვის კრიზისს?

**რა თქმა უნდა, არ ებრძვის. იმიტომ არ წამოუწყიათ კრიზისი, რომ უცებვე, ყველა შესაძლო შედეგის მიღებამდე დაემთავრებინათ. ფსს და მთავრობა მხოლოდ მოჩვენებითი ღონისძიებების განხორციელებით ცდილობენ, მსოფლიოს თვალში ნაცარი შეაყარონ და დააჯერონ გულუბრყვილო ამერიკელი ამომრჩევლები, რომ ეს ყველაფერი მათ სასიკეთოდ კეთდება.** „ხანძრის“ გაჩენის ინიციატორები მეხანძრეებთან ერთად არ შეეცდებიან ცეცხლის ჩაქრობას, კაცისმკვლელი პოლიციელებთან ერთად არ დაიწყებს საკუთარი თავის ძებნასა და გამოაშკარავებას. **მსოფლიო კრიზისის ორგანიზატორებისგან არ უნდა ველოდოთ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას მის დასაძლევად. არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი. ისინი იმას აკეთებენ, რაც სურთ: შეისყიდეს ყველაფერი, რისი შესყიდვაც შეძლეს, აშშ-ში „წვავენ“ დოლარებს, ჩამოწერენ მათ ყველა თავიანთი ბანკის ანგარიშებიდან. და ემზადებიან პოლიტიკური რეჟიმების შესაცვლელად იმ ქვეყნებში, რომლებიც ბედავენ, დაეჭვდნენ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ფედერალური სარეზერვო „საბეჭდი დაზგის“ უძლეველობაში.**

ნუთუ ბარაკ ობამა არაფერს გააკეთებს მსოფლიო კრიზისის დასაძლევად?

არა, არ გააკეთებს, სანამ ნებას არ დართავენ კრიზისის ორგანიზატორები. და თუ მაინც დაიწყებს აქტიურ მოქმედებას, გამორიცხული არ არის, რომ სნაიპერის ტყვიას შეეწიროს, რადგან ფსს-ის პატრონების ინტერესს დაუპირისპირდება.

გამოსავალი ყოველთვის არის იქ, სადაც შესასვლელია. კრიზისის ორგანიზატორები პრობლემებს არ წყვეტენ, მხოლოდ აძლიერებენ და აღრმავებენ.

**მაგრამ კრიზისის მოგვარება არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ამის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში ვილაპარაკებთ.**

**გაგრძელება იქნება**

---

**გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, ამაგდარი მშენებელი**

**ომარ ირაკლის ძე სულაქველიძე.**

**დაიბადა 1937 წელს ქალაქ თბილისში, №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, თბო-აირმომარაგებისა და ვენტილაციის სპეციალობის განხრით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქტიურად ჩაება შრომით ფერხულში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გამორჩევით კი ქ. რუსთავში, უმაღლეს დონეზე ხდებოდა თბო-აირმომარაგებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი. მის ნამოღვაწართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამების საკათედრო ტაძარი, რომლისთვისაც მიღებული აქვს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სამადლობელი წერილი.**

**ვინც იცნობდა ომარ სულაქველიძეს, ყველა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა მას. წავიდა ამქვეყნიდან სამუდამო სასუფეველში ჭეშმარიტი ქართველი, პატრიოტი ომარ სულაქველიძე.**

**უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**ოჯახი**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერების ვარაუდით, კუნძულ სენტინელზე მცხოვრებმა აბორიგენებმა იზოლაციაში დაახლოებით 60 000 წელი გაატარეს. ამჟამად კუნძულზე 50-დან 400 ადამიანამდე ცხოვრობს. მეცნიერთა ვარაუდით, მათმა შორეულმა წინაპრებმა 40 000 წლის წინათ აფრიკიდან გადმოკვეთეს ოკეანე და აქ დასახლდნენ. სენტინელები ზანგები არიან, დაბალი ტანისანი — 150-160 სანტიმეტრის, თუმცა, როგორც ფოტოდან და ვიდეოდან ჩანს, ლამაზი აღნაგობა აქვთ, თმა – ხვეული.**

# ადგილები, სადაც მოხვედრის არანაირი შანსი არ გაქვთ

**მსოფლიოში უამრავი ადგილია, სადაც ადამიანებს მოხვედრის არანაირი შანსი არ აქვთ. და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხართ — გავლენიანი პერსონა თუ უბრალო მოკვდავი, ბევრი ფული გაქვთ თუ ცოტა... ეს აკრძალული ადგილებია, ზოგი — საშიში, ზოგი — გასაიდუმლოებული ან ველური და ფეხდაუდგმელი, ან კიდევ — სხვა მიზეზთა გამო დახურული და იქ მოხვედრის არანაირი შანსი არ გაქვთ.**



## ლასკოს გამოქვაბული

**ეს გამოქვაბული საფრანგეთშია. იგი 1940 წელს აღმოაჩინეს. მასში ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების უძველესი ნიმუშებია.**

ნახატებზე გამოსახულია პირველყოფილი ადამიანები, ცხოველები, სხვადასხვა ფიგურა და ხელის ანაბეჭდები. სპეციალისტების აზრით, ეს **პრეისტორიული მხატვრობის ნიმუშებია**. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ნახატებში თანავარსკვლავედთა გამოსახულებები ჩანს.

გამოქვაბულში 2000 ფიგურა 17-18 ათასი წლის წინათაა დახატული. **ცნობილი ფოტოგრაფი რალფ მორსე იყო პირველი, ვინც გამოქვაბულის მხატვრობის დოკუმენტირება შეძლო 1947 წელს.**

„მუშაობა სახიფათო იყო, რადგანაც გამოქვაბულში ჩასასვლელი კიბეც კი არ არსებობდა, მოგვიანებით გავაკეთეთ ხის კიბე, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით.... ეს იყო საოცრება, ფერები ისე იყო შეხამებული ასეულობით წლის წინათ, რომ გეგონებოდა რამდენიმე დღეა, დახატულიაო....ჩვენ პირველები ვიყავით, ვისაც გამოქვაბულში პროფესიონალური განათება ჰქონდა ჩატანილი, ამიტომ ზუსტად შევძელით, დაგვენახა ფერთა სილამაზე", — წერდა დღიურში ფოტოგრაფი.

გამოქვაბული ღია იყო 1963 წლამდე, სანამ დამთვალიერებლებმა არ შენიშნეს, რომ მნახველთა მუდმივი შემოდინების შედეგად ნამუშევრების წაშლის საფრთხე გაჩნდა. ამჟამად გამოქვაბული მკაცრი ზედამხედველობის ქვეშაა და იქ მხოლოდ მეცნიერებს უშვებენ. გამონაკლისი დაუშვეს დოკუმენტური ფილმების ერთი რეჟისორისთვის.







## გველების კუნძული

**ეს პატარა კუნძული ბრაზილიაშია. ერთი შეხედვით საშიში სულაც არ გეგონებათ, მაგრამ მასთან მიახლოება კანონით ისჯება.**

კუნძულის ყოველ კვადრატულ მეტრზე შეიძლება გველს გადააწყდეთ. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ ისეთი ძლიერმოქმედი შხამი აქვთ, რომ ერთი კბენაც საკმარისია, ადამიანის სხეული რამდენიმე წამში გაადნოს და მისგან მხოლოდ ჩონჩხი დარჩეს. ამ გველების ზოგიერთი სახეობა გადაშენების ზღვარზეა და ამიტომ ბრაზილიის მთავრობა ცდილობს, არ მოკლან და განერიდონ მათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მეცნიერების გარდა, კუნძულზე ვერავინ მოხვდება.



## ვატიკანის საიდუმლო არქივი

**სახელწოდება ცოტა არ იყოს დამაბნეველია, რადგან ეს არქივი „საიდუმლო" იმდენად არაა, რამდენადაც კერძო. ვატიკანის საიდუმლო არქივი დაკეტილი იყო უცხოთათვის საუკუნეების განმავლობაში.**

საიდუმლო არქივი ვატიკანის ბიბლიოთეკას მე-17 საუკუნეში გამოეყო, პაპი პავლე მეხუთეს ბრძანების თანახმად. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტთა უმრავლესობა კონფიდენციალურია, 1881 წლამდე არქივი მიუწვდომელი იყო მკვლევართათვის. თუმცა, 1881 წელს პაპმა ლეო მეცამეტემ მკვლევარებს ნება დართო, გაცნობოდნენ ვატიკანის საიდუმლო დოკუმენტაციას. ამჟამად ათასზე მეტი მკვლევარი სარგებლობს ვატიკანის არქივის დოკუმენტაციით. არქივში მსოფლიოს უძველესი დოკუმენტები ინახება.




## მაუნთ-უეზერი

**სუპერსაიდუმლო ბუნკერი მაუნთ-უეზერი ისეა დაპროექტებული, რომ წარმოადგენს ხანგრძლივი სარგებლობის თავშესაფარს, რომლის მიზანია სახელმწიფო მოხელეების დაცვა საფრთხისგან.**

ბუნკერი განთავსებულია ვირჯინიის შტატში და არის სუპერსაიდუმლო, სუპერდაცული და მასში შესვლა ეკრძალება ყველას. მის თავზე კი გრინბერგის კურორტია, რომელიც ცნობილია ელიტური საზოგადოებითა და მდიდრული გარემოთი.

ბუნკერი ცივი ომის პერიოდში, 1958 წელს აიგო და ბირთვული შეტევის შემთხვევაში თავშესაფარად განიხილებოდა. 30 წლის განმავლობაში ეს გასაიდუმლოებული ბუნკერი მხოლოდ კონგრესმენებისთვის იყო განკუთვნილი. 1992 წელს იგი შემთხვევით აღმოაჩინეს და მას შემდეგ საიდუმლო გრიფი მოხსნეს.




## ზონა 51

**ზონა 51 ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ეს არის სუპერსაიდუმლო დაწესებულება, რომელიც ნევადის შტატის უდაბნოში მდებარეობს და მრავალი წელია, ეკუთვნის აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებს.** შეთქმულების თეორიის ურიცხვი მხარდამჭერის აზრით, ეს ბაზა ამტკიცებს უცხოპლანეტელების არსებობას.

ყველაზე გასაუდუმლოებული ადგილი გამოიყენებოდა მზვერავი თვითმფრინავებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვა საიდუმლო ტექნიკის გამოსაცდელად. ბევრ ადამიანს კიდევ სჯერა, რომ ამ უდაბნოში ბნელი საქმეები კეთდება. არც ბაზაზე უშვებენ ვინმეს. ასე რომ, მოგვიწევს, განვაგრძოთ მკითხაობა.



## მოსკოვის მეტროპოლიტენი-2

**მოსკოვის მეტროპოლიტენ-2-ზე ცოტა რამაა ცნობილი. ეს საიდულმო პროექტი სტალინის პერიოდისაა.**

საიდუმლო ლოკაცია წარმოადგენს მიწისქვეშა გვირაბების სქემას, რომლებიც, სავარაუდოდ, ერთმანეთთან აკავშირებს მნიშვნელოვან შენობებს. ეს გვირაბები გადის ძირითადი მეტროპოლიტენის ქვეშ. მეტროპოლიტენ-2-ზე ხმები დადის, რომ იქ გენეტიკურ ცდებს ატარებდნენ, ბინადრობენ გიგანტური ვირთხები და ცხოვრობენ ოჯახები. იმასაც ამბობდნენ, რომ აქ ინახება სტალინის გაყინული სხეული. არავინ იცის, მართლა არსებობს თუ არა ეს გვირაბები, მაგრამ, თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენთვის ერთი რამ ცხადზე ცხადია: იქ არასდროს არავინ შეგვიშვებს.



## მორმონთა დოკუმენტების საცავი გრანიტის მთაში

**მორმონებს ყოველთვის აკვიატებული ჰქონდათ გენეალოგია და 1930-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ფირზე გადატანა მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციისა.**

იმ მიზნით, რომ ინფორმაცია საიმედოდ ყოფილიყო დაცული, მათ აშშ-ში, იუტას შტატში, მთაში გამოჭრეს თავშესაფარი. ხელსაყრელმა პირობებმა მორმონებს საშუალება მისცათ, ისეთი ბუნკერი გაეკეთებინათ, რომელშიც საიმედოდ შეინახებოდა ცნობები აშშ-ის ყოველი ოჯახის გენეალოგიაზე. ამრიგად, შეგროვდა 3 მილიარდი ქაღალდი და 100 ათასი მიკროფირი. საცავში შესვლა პრაქტიკულად ყველას ეკრძალება, თუმცა ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია და მისი ნახვა ინტერნეტშიც შეიძლება.

**მეცნიერების ვარაუდით, კუნძულ სენტინელზე მცხოვრებმა აბორიგენებმა იზოლაციაში დაახლოებით 60 000 წელი გაატარეს. ამჟამად კუნძულზე 50-დან 400 ადამიანამდე ცხოვრობს. მეცნიერთა ვარაუდით, მათმა შორეულმა წინაპრებმა 40 000 წლის წინათ აფრიკიდან გადმოკვეთეს ოკეანე და აქ დასახლდნენ.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩრდილოეთ სენტინელის კუნძული

**ჩრდილოეთ სენტინელი ინდოეთის ოკეანის კუნძულია, რომელზეც ჯერ არც ერთ ცივილიზებულ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს იმიტომ, რომ აბორიგენები ამის საშუალებას არავის აძლევენ.**

კუნძული ძალიან ლამაზია. სამწუხაროა, რომ იქ მოხვედრა არავის შეუძლია. მას იცავს არარეგისტრირებული ტომი, რომელიც კლავს ყველას, ვინც კი კუნძულს მიუახლოვდება. ამ ტომზე პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. ტომი ცივილიზაციასთან ნებისმიერ კონტაქტს თავს არიდებს და სასტიკად ეწინააღმდეგება მის შემოჭრას. **ისინი ქვის ხანაში დარჩნენ, არავითარი შრომის იარაღები არ აქვთ, არ იციან, რა არის ბორბალი.**

**მეცნიერების ვარაუდით, კუნძულ სენტინელზე მცხოვრებმა აბორიგენებმა იზოლაციაში დაახლოებით 60 000 წელი გაატარეს. ამჟამად კუნძულზე 50-დან 400 ადამიანამდე ცხოვრობს. მეცნიერთა ვარაუდით, მათმა შორეულმა წინაპრებმა 40 000 წლის წინათ აფრიკიდან გადმოკვეთეს ოკეანე და აქ დასახლდნენ.**

სენტინელები ზანგები არიან, დაბალი ტანისანი — 150-160 სანტიმეტრის, თუმცა, როგორც ფოტოდან და ვიდეოდან ჩანს, ლამაზი აღნაგობა აქვთ, თმა — ხვეული.

მეცნიერებმა ისიც კი არ იციან, რა ენაზე ლაპარაკობს ეს ტომი. მათ შესახებ ცოდნა შემოიფარგლება მწირი ფოტო და ვიდეომასალით.



2004 წელს მათ ისრები დაუშინეს ინდოეთის მთავრობის ვერტმფრენს, რომელმაც გადაწყვიტა, მოეკითხა კუნძულის ბინადარნი ცუნამის შემდეგ. 2006 წელს კი აბორიგენების მსხვერპლი რამდენიმე მეთევზე შეიქნა, **აბორიგენთა ისრები 100 მეტრის სიშორეზე აღწევს მიზანს.** ინდოეთის მთავრობამ თანამემამულეებს მოუწოდა, თავი შორს დაეჭირათ კუნძულისგან.

იყო მცდელობა, მოკლულების ნეშტი წამოეღოთ — კუნძულს ვერტფრენებით გადაუფრინეს. სენტინელებმა ვერტფრენსაც დაუშინეს ისრები. როგორც ვერტმფრენიდან დაინახეს, აბორიგენებს მოკლულები ნაპირზე დაემარხათ (ანუ არ შეჭამეს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კანიბალები არ უნდა იყვნენ). მეცნიერების ყველა მცდელობა, დაემყარებინათ რაიმე კონტაქტი აბორიგენებთან, წარუმატებელი აღმოჩნდა.

როგორც ვერტმფრენიდან დაზვერვამ ცხადყო, სენტინელები მიწას არ ამუშავებენ, მხოლოდ აგროვებენ სხვადასხვა ნაყოფს ჯუნგლებში და თევზაობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ ნავები.

გარდა აგრესიული ბინადრებისა, კუნძულზე მოსახვედრად კიდევ ერთი სირთულე არსებობს: **ხმელეთის ეს პატარა ნაწილი რიფებით არის გარშემორტყმული, რომლებთან შეჯახების გამო არაერთი გემი დაიმსხვრა.**







კუნძულ ჩრდილოეთ სენტინელის ფართობი 72 კვადრატული კილომეტრია. ეს კუნძული ნამდვილი სამოთხეა, ულამაზესი პლაჟებით.

იმისათვის, რომ დაიცვას ადამიანები ამ აბორიგენებისგან და პირიქით — აბორიგენები ბოროტი ხალხისგან, ინდოეთის მთავრობამ ოფიციალურად აკრძალა კუნძულზე გადასვლა, შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამა კუნძულის აბორიგენი მოსახლების დასაცავად. საზღვაო პოლიცია აკონტროლებს კუნძულის აკვატორიას. დაცვა ხორციელდება ინდოეთის მთავრობის „ტომების დაცვის განყოფილების" მიერ.

**სენტინელები ზანგები არიან, დაბალი ტანისანი — 150-160 სანტიმეტრის, თუმცა, როგორც ფოტოდან და ვიდეოდან ჩანს, ლამაზი აღნაგობა აქვთ, თმა — ხვეული. მეცნიერებმა ისიც კი არ იციან, რა ენაზე ლაპარაკობს ეს ტომი. მათ შესახებ ცოდნა შემოიფარგლება მწირი ფოტო და ვიდეომასალით.**

# მარია სიონელის ეკლესია

**ეთიოპიაში, ამ პატარა შენობაში ინახება აღთქმის კიდობანი — პატარა ყუთი, რომელშიც მოთავსებულია ქვის ორი ფილა, რომლებიც ღმერთმა წინასწარმეტყველ მოსეს გადასცა.**



მოსე იყო ებრაელი ერის კანონმდებელი, მღვდელი და ღმერთთან შუამავალი. ღმერთმა უბრძანა მას, დაეხსნა ებრაელები, რომლებიც ეგვიპტეში მონობის უღელქვეშ იტანჯებოდნენ. მოსე წინასწარმეტყველ აარონთან ერთად წარდგა ფარაონის წინაშე და უფლის ნება აუწყა, მაგრამ უღმრთო ხელისუფალმა უარი განაცხადა ებრაელთა გაშვებაზე. ღმერთმა ათი სასჯელი დაატეხა თავს ეგვიპტეს: მდინარეებში, ტბებსა და ჯურღმულებში წყალი სისხლად იქცა; სეტყვამ და კალიამ გაანადგურა ნათესები; სამდღიანი წყვდიადი ჩამოწვა ქვეყანაში...

მაგრამ გაკერპებული ფარაონი მაინც თავისაზე იდგა. უსჯულომ მხოლოდ მაშინ შეასრულა უფლის ბრძანება, როცა, ღვთის ნებით, ანგელოზმა ეგვიპტელების ყველა პირველშობილი ძე დახოცა.

ეგვიპტიდან ექვსი ათასამდე კაცი გამოვიდა, ქალებისა და ბავშვების გარდა. ისინი ღვთის მფარველობითა და მოსეს წინამძღოლობით გაუდგნენ გზას აღთქმული ქვეყნისკენ.... უფალმა კიდევ ბევრი სასწაული აღასრულა თავისი რჩეულის მეშვეობით: მწარე წყალი სასმელად ვარგისი გახადა, მშრალი კლდიდან წყალი გადმოადინა...



ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, ორმოცდამეათე დღეს ისრაელები სინას მთას მიადგნენ. მთაზე ამაღლდა მოსე და ორმოცი დღე-ღამე იმარხულა, რის შემდეგაც **უფლისგან მიიღო ქვის ორი ფილა, ზედ დაწერილი ათი მცნებით.**

**სავარაუდოდ, ქვის ის ფილები დღესაც კიდობანში ინახება და მისტიკურ ძალას ფლობს.** შენობაში შესვლის უფლება მხოლოდ ბერს აქვს, რომელიც ეკლესიას ემსახურება მთელი ცხოვრების განმავლობაში, დარწმუნებული, რომ რელიკვია საიმედოდაა დაცული. მხოლოდ რამდენიმე ბედნიერს გაუმართლა და შეძლო ეკლესიაში შეღწევა. ეს იყო 2011 წელს, როცა შენობის სახურავი დაზიანდა და მისი შეკეთება გახდა საჭირო.



# სიურტსეი

**1963 წელს ისლანდიის წყლებში რამდენიმე წყალქვეშა ვულკანი ამოიფრქვა და, სულ რაღაც, 5 წელიწადში ახალი კუნძული (2,7 კვადრატული კმ) წარმოიქმნა. კუნძულს სახელი მითოსის გმირის — სიურტის (ცეცხლოვანი დევების მეთაურის) პატივსაცემად ეწოდა.**

კუნძული უმალვე აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იმთავითვე გადაწყვიტა, ტურისტებისთვის იქ მისვლა აეკრძალა, რათა მეცნიერებს შეძლებოდათ, ევოლუციის თვალნათელი პროგრესი და ადამიანის ჩაურევლად ეკოლოგიური სუკცესია (ერთი ტიპის ეკოსისტემის მეორეთი თანდათანობითი შეცვლა) გულდაგულ შეესწავლათ. კუნძულისკენ გზა ხსნილი აქვს მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომლებიც კუნძულზე მოქცევის მკაცრ წესებს ემორჩილებიან.

ამ ხნის განმავლობაში მეცნიერები აკვირდებოდნენ, როგორ „ითვისებენ" ახალ მიწას მცენარეები, მწერები, ფრინველები, ჭიები, როგორ ნაყოფიერდება ერთ დროს უნაყოფო ვულკანური პემზა. თუ 1980-იან წლებში კუნძულზე მცენარეების მხოლოდ 20 სახეობა ხარობდა, 2008 წლისთვის მათი რაოდენობა 69-მდე გაიზარდა. 2000 წლისთვის ეროზიამ და ზღვის ტალღებმა კუნძულის ფართობი 1,5 კვადრატულ კილომეტრამდე შეამცირა, მაგრამ, მეცნიერების აზრით, ამჟამად „შემცირების" პროცესი შენელებულია. **2008 წელს იუნესკომ სიურტსეი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა, რითაც მისი უდიდესი მეცნიერული ფასეულობა აღიარა.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიპერსიჩქარით გადაადგილების იდეა პირველად კომპანია „ტესლას“ დამაარსებელ ილონ მასკს გაუჩნდა. მისი აზრით, სპეციალური კაფსულით მგზავრებისა და ტვირთის დიდ მანძილებზე მაღალი სიჩქარით გადაადგილება ვაკუუმური მილების მეშვეობითაა შესაძლებელი.**

# გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა



## ქალი, რომელიც სულ იბანს

**მალაიზიელი ჯულა აბდალა 40 წლისაა. უცნაურობები მის საქციელში შესამჩნევი 20 წლის წინათ გახდა.**

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა ჯულა აბდალა კლინიკის ლაბორატორიაში მუშაობდა (შარდისა და სისხლის ანალიზს იღებდა). ქალმა შეამჩნია, რომ მოუხშირა ხელის დაბანას, უმიზეზოდაც კი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა და ფიქრობდა, რომ ეს ჩვევა თავისით გაუვლიდა.

ბოლოს და ბოლოს, ქალი სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან ყოველთვის იგვიანებდა აკვიატებული ჩვევის გამო — კიდევ ერთხელ დაებანა ხელი ან შხაპი მიეღო.

უმუშევრად დარჩენილმა დაიწყო ნაგვის ურნებში ქექვა, რათა ეპოვა ნივთები, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელი იქნებოდა. ამ გზით ჯულამ იმდენი ნაგავი დააგროვა, რომ სახლის 2 ოთახი გაავსო, რომელშიც დედასთან ერთად ცხოვრობდა. გაუსაძლისი სუნის გამო, დედამისი იძულებული შეიქნა, გარეთ, კიბეზე დაეძინა, ჯულა კი სამი თვის განმავლობაში აბაზანიდან არ გამოდიოდა.

2009 წელს მან გააცნობიერა, რომ თავის მოკვლის ზღვარზე იყო მისული და დასახმარებლად სინგაპურის ფსიქიკური დაავადებების ასოციაციის ცხელ ხაზზე დარეკა. ამ ასოციაციის თანამშრომლები დაეხმარენ ჯულას, დაბრუნებოდა ცხოვრების ნორმალურ კალაპოტს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მისი მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, რადგან ქალმა დაწესებული კურსების გაცდენა დაიწყო და **დღეს ის დღის განმავლობაში კვლავ 2 ბოთლ შამპუნსა და 12 ცალ საპონს ხარჯავს — ხელებს 300-ჯერ იბანს, თავს — 25-ჯერ, შხაპის მისაღებად კი 5 საათი სჭირდება.**



## ჰიპერსიჩქარის მქონე ტრანსპორტი — მითი თუ რეალობა?

**აშშ-ის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ისევე, როგორც სხვა რამდენიმე კომპანია, მუშაობს ახალი სიჩქარის მქონე სატრანსპორტო საშუალების შექმნაზე, რომლის სახელწოდებაა ჰიპერმარყუჟი.**



ამერიკელმა ინჟინრებმა და მეცნიერებმა წარმოადგინეს სპეციალური კაფსული, რომელიც ალუმინის მონორელსზე ჰიპერსიჩქარით გადაადგილდება. მათი განცხადებით, რელსზე მძლავრი მაგნიტით დამაგრებული კაფსული რადიკალურად შეცვლის კაცობრიობის წარმოდგენას მოგზაურობასა და ტრანსპორტზე.

ჰიპერსიჩქარით გადაადგილების იდეა პირველად კომპანია „ტესლას“ დამაარსებელ **ილონ მასკს** გაუჩნდა. მისი აზრით, სპეციალური კაფსულით მგზავრებისა და ტვირთის დიდ მანძილებზე მაღალი სიჩქარით გადაადგილება ვაკუუმური მილების მეშვეობითაა შესაძლებელი.

მასკის იდეის თანახმად, საცდელი ვაკუუმური მილსადენი უნდა განთავსდეს სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესს შორის, კაფსულები 1127 კმ/სთ სიჩქარით იმოძრავებს და ამ მანძილს 30 წუთში დაფარავს (შესადარებლად: დღეს ყველაზე სწრაფ ავტომობილს ამ მანძილის დასაფარავად 6 საათი სჭირდება). ამ იდეის ხორცშესხმას კოლოსალური თანხა დასჭირდება.

ამასთანავე, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჰიპერსიჩქარით გადაადგილების იდეას სკეპტიკურად უყურებენ და მისი განხორციელება არარეალურად მიაჩნიათ.

## 2018 წლისთვის იაპონიაში «უჩინმაჩინი» მატარებელი გამოჩნდება



**იაპონიის სარკინიგზო კომპანია Seibu Railways-ი იმედოვნებს, რომ თავის 100 წლის იუბილეზე დიდ ნახტომს გააკეთებს დიზაინის მხრივ. კომპანიის წარმომადგენელთა ჩანაფიქრის მიხედვით, ქალაქგარეთ გამავალი ახალი ხაზი მთლიანად უნდა შეერწყას ლადშაფტს და კომპანიის ახალი მატარებლები „უჩინარი“ იქნება.**

ახალ პროექტზე იმუშავებს **კაძუიო სეძიმა**, ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორი იაპონიაში, რომელიც აქამდე არასდროს ყოფილა დაკავებული მატარებლებით.

„ექსპრესით მგზავრობისას ირგვლივ მრავალფეროვანი პეიზაჟებია, ტიბეტის მთებით დაწყებული ტოკიომდე. და ვიფიქრე, კარგი იქნება ისეთი მატარებლის გაკეთება, რომელიც ამ პეიზაჟების ნაწილი გახდება,“ — ამბობს სეძიმა. მატარებელი იქნება „ნახევრად გამჭვირვალე სარკისებური ზედაპირის“, უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე 2018 წელს შევიტყობთ.

„უხილავი მატარებლის“ სიჩქარის, სიმძლავრისა და გარემოზე მისი ზემოქმედების შესახებ ჯერ არ საუბრობენ, მაგრამ პროგრამის დაწყებას 8 ლოკომოტივის მშენებლობასთან ერთად 2018 წელს გეგმავენ. ტრანსპორტის მშენებლობაზე იმუშავებს კომპანია Hitachi, რომელიც ადრე იმ მატარებლების წარმოებაზე მუშაობდა, რომელთა სიჩქარე 330კმ/სთ-ია.

## სიცილით მართლა კვდებიან

**„იმდენი ვიცინე, მოვკვდი სიცილით“ — ეს ფრაზა ყოველ ჩვენგანს გვითქვამს, თანაც, არაერთხელ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სიცილით მართლაც შეიძლება მოკვდეს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი სიცილის დროს ძალიან სპეციფიკური და იშვიათი მოვლენაა.**

დიდხანს სიცილი ზოგ შემთხვევაში იწვევს გულის მუშაობის შეჩერებას. ასეტ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი ინფარქტია, რადგან სიცილის დროს გულის ცემის სიხშირე მატულობს, პულსი შეიძლება ავიდეს 500 დარტყმამდე წუთში, და წარმოიქმნება ჟანგბადის უკმარისობა, რის შედეგადაც გულის მუშაობის პროცესი შეიძლება დაირღვეს და ადამიანი მოკვდეს.

ისტორიამ შეუკავებელი სიცილით გარდაცვალების რამდენიმე ფაქტი შემოგვინახა. აი ზოგიერთი მათგანი:

*პირველი შემთხვევა ჩვ.წ. აღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ძველბერძენ **ფილოსოფოს ქრისიპეს** სახელს უკავშირდება. მან თავის ვირს ღვინო დაალევინა და „მთვრალი“ სახედრის ქცევებზე მანამდე იცინა, სანამ სული არ განუტევა.

*1599 წელს ბირმის **მეფე ნანდაბაინს** იტალიელი ვაჭარი ეწვია, რომელმაც ვენეციის შესახებ უამბო. უთხრა, რომ ვენეცია იყო ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც მეფე არ ჰყავდა. ამაზე მეფემ იმდენი იცინა, რომ გული გაუჩერდა.

*1410 წელს არაგონის, სიცილიისა და სარდინიის მეფე **მარტინ I** სიცილით მოკვდა. მას დისპეფსია (დიარეა) დაემართა.










* აღორძინების ეპოქის ცნობილი იტალიელი მწერალი და პუბლიცისტი **პიეტრო არეტინოც** სიცილის დროს დაიღუპა 1556 წელს. მან იმდენი იხარხარა, რომ ბოლოს წაიქცა, თავის მძიმე ტრავმა მიიღო და გარდაიცვალა.

*1893 წელს კუბელი **პოეტი ხულიან დელ კასალი** მეგობრებთან ერთად სადილობდა. მეგობარმა ანეკდოტი უამბო, ამაზე პოეტს უკონტროლო სიცილი აუვარდა. ამას მოჰყვა აორტის ანევრიზმა და სისხლდენა, რამაც სიკვდილი გამოიწვია.

*1975 წელს ვინმე **ალექს მიტჩელი** ტელევიზორში სასაცილო გადაცემას უყურებდა, რომელიღაც ეპიზოდზე მას 25-წუთიანი სიცილი აუვარდა, გულმა ვერ გაუძლო და დაიღუპა.

*1989 წელს დანიელი **ოტოლარინგოლოგი ოლე ბენცენი** კომედიის ყურებისას სიცილისგან გაიგუდა.

ადამიანზე პირველი შთაბეჭდილება იქმნება გარეგნობის დინამიკური (მიმიკა) და სტატიკური (სახის პროპორციები) მახასიათებლების საფუძველზე. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში შეფასება ხდება ამ მახასიათებლების ერთობლიობის გათვალისწინებით ან მხოლოდ ერთი პარამეტრით, მაგალითად, სახის პორპორციით.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყინულის კედელი «ფუკუსიმა 1»-ის გარშემო

**სხვა პრობლემებთან ერთად, რომლებიც იაპონიაში ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ის „გასუფთავებას“ უკავშირდება, არსებობს საშიშროება, გამდინარე წყლებში სადგურის გამაგრილებელი აუზებიდან რადიაქტიურმა წყალმა გაჟონოს.**

ამ პრობლემის გადასაჭრელად იაპონიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, სადგურის გარშემო გააკეთოს მიწისქვეშა ყინულის კედელი, ანუ სადგურის პერიმეტრზე გაყინოს გრუნტი დაბინძურებული ნივთიერებების შესაკავებლად.

ყინულის კედლის აშენება, ერთი შეხედვით, მეცნიერთა ფანტაზიას ჰგავს, მაგრამ მსგავსი ტექნოლოგია „ფუკუსიმა-1“-ზე ავარიამდეც იყო გამოყენებული. კონსერვაციის ასეთ ტექნიკას იყენებდნენ შახტებში, თუმცა, რა თქმა უნდა, უფრო მოკრძალებული მასშტაბით. მოცემულ შემთხვევაში გამაგრილებლის როლში გამოდის სპეციალური სითხე, რომელიც ცივდება მინუს 30 გრადუსამდე და მიეწოდება მიწისქვეშ 30 მ სიღრმეზე ჩაფლული მილებით. ახლახან მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ სადგურის რეაქტორებთან ახლოს ზღვის წყლის ნიმუშებში რადიაციის დონე მომატებულია. რადიაციის გაჟონვის დონე ისე მაღალია, რომ მან აშშ-ის დასავლეთ ნაპირებს მიაღწია. ამიტომ პრობლემა უმოკლეს ვადაში უნდა გადაჭრილიყო. მაგრამ, **რამდენადაც თვით სადგურში რადიაციის დონე კვლავაც სასიკვდილოდ მაღალია (იმდენად მაღალი, რომ მწყობრიდან გამოჰყავს იქ შეყვანილი რობოტებიც კი), ყინულის კედლის აშენება მიიჩნიეს საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ სწორ გზად.**

მშენებლობა 2014 წელს დაიწყო და, როგორც იქნა, დასრულდა. იაპონურმა ორგანიზაციამ, რომელიც ქვეყნის ატომური მრეწველობის სფეროს არეგულირებს, მწვანე შუქი აუნთო ამ დღეებში კედლის გააქტიურებას. ყინულის ბარიერის აქტივაცია რამდენიმე ეტაპადაა დაგეგმილი. ამჟამად მოწყობილობების 95 % სრული დატვირთვით მუშაობს.

როგორც კი ინჟინრები დარწმუნდებიან ყინულის კედლის პირველი ჩაშვებული ნაწილის სანდოობაში (რომელმაც, წინასწარი გათვლებით, 50%-ით უნდა შეამციროს გრუნტის წყლების სადგურში შეღწევა. ცნობისათვის: ყოველდღიურად სადგურის სარდაფებში 400 ტ გრუნტის წყლები შედის), მიიღებენ გადაწყვეტილებას სადგურის ოთხივე რეაქტორის გარშემო კედლის აქტივაციის თაობაზე. კონკრეტულ თარიღს იაპონიის ხელისუფლება ჯერ არ ასახელებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროცესს რამდენიმე თვე დასჭირდება.










# რა გაწერიათ სახეზე?



**ნიუ იორკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ცოტა ხნის წინათ საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის დასადგენად, რა აწერია ადამიანს სახეზე. გაირკვა, რომ სახის გამომეტყველება (მიმიკა) გადამწყვეტ როლს თამაშობს უცხო ადამიანის კეთილგანწყობისა და საიმედოობის შეფასებაში; ადამიანის ფიზიკური ძალის განსაზღვრა კი მისი სახის ფორმის მიხედვითაა შესაძლებელი, ყოველგვარი მიმიკის გარეშე.**

კვლევის პირველ ეტაპზე ექსპერიმენტის მონაწილეებს ათობით მამაკაცის ფოტოსურათს უჩვენებდნენ სახის სხვადასხვა გამომეტყველებით. შეფასება კეთდებოდა „ძალიან გაბრაზებულიდან“ „ბედნიერამდე“. ექსპერიმენტის მონაწილეები თითოეულ ფოტოს შესაბამისი შკალების გამოყენებით აფასებდნენ კეთილსაიმედოობის, მეგობრობისა და სავარაუდო ფიზიკური ძალის მიხედვით.

შედეგებმა ცხადყო: ადამიანები უფრო ხშირად ბედნიერად მიიჩნევენ მათ, ვისაც კეთილსაიმედო და მეგობრული გამომეტყველება აქვს. გასაკვირია, მაგრამ ფოტოებზე სახის გამომეტყველებით ადამიანების ფიზიკური ძალა არავის შეუფასებია. ეს პარამეტრი მხოლოდ მათი სახის პროპორციების მიხედვით (ფართოსახიანი ადამიანები ექსპერტებს უფრო ძლიერებად მიაჩნდათ) განსაზღვრეს.

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე შესაფასებელი მამაკაცის სახის ნაკვთები კომპიუტერში გენერირდებოდა. ექსპერიმენტის მონაწილეები მათ იმავე პარამეტრებით აფასებდნენ, რომლითაც პირველ ეტაპზე. როგორც ადრე, ამ შემთხვევაშიც ექსპერტებმა ბედნიერად ჩათვალეს მეგობრული და კეთილსაიმედო ადამიანები და კიდევ გულკეთილობა დაუმატეს.

შემდეგ ახალი პორტრეტების დემონსტრირება მოხდა, რომლებსაც რაღაც ნაწილი ჩამოჭრილი ჰქონდა ან რეტუშით იყო დაფარული ემოციები. **ვერ ხედავდნენ რა ემოციებს, ექსპერიმენტის მონაწილეებმა ფოტოებზე გამოსახული ადამიანები ვერ შეაფასეს კეთილგანწყობისა და მეგობრულობის თვალსაზრისით და მხოლოდ სახის პროპორციების საშუალებით მათი ფიზიკური ძალის ამოცნობას ცდილობდნენ** (აკი როცა ფოტოებზე ემოციები ჩანდა, ფიზიკურ ძალაზე არ საუბრობდნენ).

მესამე ეტაპზე შემოთავაზებული ფოტოებიდან ირჩევდნენ შესაფერისს რაიმე კონკრეტული როლისთვის, მაგ., ფინანსური კონსულტანტის როლისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპერიმენტის მონაწილეებს ფინანსურ კონსულტანტებად წარმოდგენილი ჰყავდათ ბედნიერი ადამიანები, ხოლო მძიმე ათლეტებად — ფართოსახიანები.

დასკვნით ეტაპზე მხოლოდ ერთი სახის დემონსტრირება მოხდა, ოღონდ ასამდე ვარიაციით, მსუბუქად შეცვლილი ნაკვთებით. პორტრეტებს წყვილ-წყვილად უჩვენებდნენ. ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ, ამ ორიდან რომელი უფრო იყო მეგობრული, კეთილი ან ძლიერი.

მიღებული რეიტინგის საფუძველზე, კომპიუტერმა შექმნა ოთხივე კატეგორიის შესაბამისი „საშუალო სახეები“. ისინი აჩვენეს ექსპერტების ახალ ჯგუფს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია წინა ექსპერიმენტში. „ახალმა თაობამ“, პრაქტიკულად, მაშინვე მოახდინეს იდენტიფიცირება პორტრეტებზე წარმოდგენილი ოთხივე ხასიათის.

კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ადამიანზე პირველი შთაბეჭდილება იქმნება გარეგნობის დინამიკური (მიმიკა) და სტატიკური (სახის პროპორციები) მახასიათებლების საფუძველზე. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში შეფასება ხდება ამ მახასიათებლების ერთობლიობის გათვალისწინებით ან მხოლოდ ერთი პარამეტრით, მაგალითად, სახის პროპორციით.**

# კარიესის საწინააღმდეგო აბები

**ოდესმე გიფიქრიათ, რომ აბების საშუალებით დაამარცხებდით კარიესს? ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა სპეციალური აბები, რომლებიც კარიესის განვითარებას ხელს შეუშლის.**



ცნობილია, რომ ადამიანის პირის ღრუში მჟავიანობის მომატება იწვევს კარიესს — ნელ, რთულ პათოლოგიურ პროცესს კბილის მყარ უჯრედებში, რომელიც საბოლოოდ კბილის მყარი ქსოვილის დესტრუქციით სრულდება. დღეს კარიესი ადამიანებში ყველაზე გავრცელებულ დაავადებადაა მიჩნეული (93%-ს აწუხებს).

მეცნიერებმა აღმოაჩინეს სტრეპტოკოკის ახალი შტამი. ადრე უცნობი სტრეპტოკოკი A12 ხელს უშლის მავნე მიკროორგანიზმების გამრავლებას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ანაერობული დუღილი. ისინი გამოიმუშავებენ რძის მჟავას და ცვლიან რა pH-ს, პროვოცირებას უკეთებენ კარიესისა და პირის ღრუს სხვა დაავადებების განვითარებას.

A12 არამხოლოდ მჟავის განეიტრალებას ახერხებს, არამედ ანადგურებს მჟავისწარმომქმნელ სტრეპტოკოკს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კარიესის წარმოშობაში.

სპეციალისტების მტკიცებით, ამ აღმოჩენამ ისინი მიიყვანა პრობიოტიკური დანამატების შექმნამდე, რომელიც შეინარჩუნებს რა pH-ს ნორმის ფარგლებში, აღკვეთს კარიესის წარმოშობას. ოღონდ ამ პრობიოტიკური საშუალების სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვამდე საჭიროა კლინიკური კვლევების ჩატარება. თუკი ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტები დაამტკიცებს, რომ A12-ის (სასარგებლო ბაქტერიების) გამრავლება მიგვიყვანს პირი ღრუს დაავადებების შემცირებამდე, ამან შეიძლება არსებითად გაამარტივოს დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკური მეთოდებიც.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1953 წლის 29 მაისს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპამ თენცინგ ნორგეიმ პირველად დაიპყრეს ჰიმალაის მთათა სისტემაში მდებარე მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ზღვის დონიდან 8848 მ-ს სიმაღლის ჯომოლუნგმა (ინგლისურად — ევერესტი; ნეპალურად — საგარმათჰა; ტიბეტურად — ჯომოლუნგმა).** ჯომოლუნგმაზე ასვლის პირველი გეგმა 1893 წელს შეიმუშავეს, მაგრამ 60 წლის განმავლობაში ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. 1953 წლის 29 მაისს კი ჰილარიმ და თენცინგ ნორგეიმ ჯომოლუნგმაზე დიდი ბრიტანეთის, ნეპალის, ინდოეთისა და გაეროს დროშებიააფრიალეს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები




*** 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა — ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დღესასწაული, რომელსაც სათავე 1918 წლის 26 მაისიდან დაედო.**

1917 წელს რევოლუციის შედეგად რუსეთში დაემხო მონარქია და დაიშალა იმპერია. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“ მიიღო და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა 1921 წლის 25 თებერვალს შეწყვიტა — ბოლშევიკებმა ქვეყანა სსრკ-ის შემადგენლობაში შეიყვანეს. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს შეძლო. საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძელზე საქართველოს დამოუკიდებლობა 9 აპრილს გამოაცხადეს, თუმცა დამოუკიდებლობის დღე მაინც 26 მაისს აღინიშნება.

*** 1631 წლის 30 მაისს საფრანგეთში დაიბეჭდა გაზეთი La Gazette და მალე სიტყვა „გაზეთი“ მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში დამკვიდრდა.**

ისტორიკოსების აზრით, გაზეთის წინამორბედი გამოცემები ანტიკურ ეპოქაში ძველ რომში არსებობდა — ეს იყო ხის დაფები, რომლებზეც ქალაქისა და მსოფლიოს ქრონიკებს წერდნენ. თავისი ამჟამინდელი სახის შეძენა გაზეთმა მე-17 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, მაგრამ ეს სახელი არ ერქვა. 1631 წლის 30 მაისს კი საფრანგეთში თეოფრასტ რენოდომ გამოსცა პირველი გაზეთი La Gazette, რომელიც პირველ ევროპულ გაზეთად არის აღიარებული.


La Gazette

პირველი ქართული გაზეთი კი 1819 წლის 8 მარტს გამოიცა თბილისში, მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“, შემდეგ კი „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა.

*** 1908 წლის 28 მაისს ლონდონში დაიბადა ბრიტანელი ჟურნალისტი, სამხედრო-საზღვაო დაზვერვის ოფიცერი და მწერალი, სუპერჯაშუშ ჯეიმს ბონდზე რომანების ავტორი იან ლანკასტერ ფლემინგი.**



იან ფლემინგმა ჯეიმს ბონდზე პირველი რომანი „კაზინო „როიალი“ 1952 წელს დაწერა. წიგნი ბესტსელერად იქცა და სამჯერ გამოიცა. მას შემდეგ, 1953-1966 წლებში, 11 რომანი და 2 მოთხრობა გამოსცა. რომანების სიუჟეტი აგებულია დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის ოფიცრის — ჯეიმს ბონდის გარშემო, რომლის კოდური ნომერია „007“. ჯეიმს ბონდის შესახებ წიგნები მსოფლიოს ბესტსელერთა შორისაა — გამოცემულია 100 მლნ-ზე მეტი ეგზემპლარი, გადაღებულია 24 ფილმი.

იან ფლემინგი გარდაიცვალა 1964 წლის 12 აგვისტოს.



*** 1939 წლის 26 მაისს დაიბადა ქართველი დისიდენტი, მუსიკისმცოდნე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.**

1946 წელს მერაბ კოსტავამ სწავლა დაიწყო თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში. სწორედ ამ სკოლაში გაიცნეს მან და ზვიად გამსახურდიამ ერთმანეთი. და გადაწყვიტეს, ებრძოლათ სამშობლოს გასათავისუფლებლად. მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მერაბ კოსტავას ხშირად აპატიმრებდნენ. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად განაგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ესეებს, თარგმნიდა ფილოსოფიურ ნაწარმოებებს.

ის 1989 წლის 13 ოქტომბერს საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.



*** 1453 წლის 29 მაისს თურქების შეტევის შედეგად დაეცა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, რომელსაც შემდეგ სტამბოლი დაარქვეს.**

ჩვ.წ. აღ-მდე 658 წელს კუნძულზე, რომელიც არწივის თავს ჰგავს, ოქროს რქის ყურესა და მარმარილოს ზღვას შორის, ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს ქალაქი, რომელსაც თავანთი ბელადის სახელი ბიზანტა (ან — ბიზასა) უწოდეს. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქალაქი სწრაფად განვითარდა. 330 წელს კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის დედაქალაქი ბიზანტიაში გადაიტანა და ახალი რომი დაარქვა, მაგრამ ქალაქმა ეს სახელი დიდხანს ვერ შეინარჩუნა და მას კონსტანტინოპოლი უწოდეს. კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება ბევრ დამპყრობელს სურდა — ჰუნებს, სპარსებს, ავარებს, არაბებს და სხვ.

1453 წლის 29 მაისს თურქების ჯარმა, სულთან მაჰმედ II ხელმძღვანელობით, ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი დაიპყრო და ბოლო მოუღო ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიას. კონსტანტინოპოლს კი, რომელიც თურქი სულთნების რეზიდენტად იქცა, ახალი სახელი დაარქვეს — სტამბოლი.

*** 1934 წლის 28 მაისს თბილისში დაიბადა ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ლია ელიავა.**

გადაღებულია ფილმებში: „ჩრდილი გზაზე“ (ნინო); „ბაში-აჩუკი“ (მზისა და მთვარისა); „ქალის ტვირთი“ (ქეთო); „მამლუქი“ (ზეინაბი); „განაჩენი“ (ნანი); „შეწყვეტილი სიმღერა“ (ელიკო); „ზღვის შვილები“ (ლეილა); „მე ვხედავ მზეს“ (ქეთო); „მალე გაზაფხული მოვა“ (ნატო); „დათა თუთაშხია“ (თაკო ორბელიანი); „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (მსახიობი); „ჩიორა“ და სხვ.



გარდაიცვალა 1998 წლის 8 ოქტომბერს.

*** 1431 წლის 30 მაისს რუანში (საფრანგეთი) კოცონზე დაწვეს ინგლისისა და საფრანგეთის, აგრეთვე, მისი მოკავშირეების ასწლიან ომში საფრანგეთის ჯარების ერთ-ერთი წინამძღოლი ჟანა დ'არკი.**

1430 წლის 23 მაისს ჟანა დ'არკი ტყვედ ჩაიგდეს ინგლისელებმა, რომლებმაც სასამართლო მოუწყვეს მას რუანში. ჟანა ერეტიკოსობასა და ჯადოქრობაში დაადანაშაულეს და იმავე წლის 30 მაისს კოცონზე დაწვეს. ასე დაიღუპა ორლეანელი ქალწული, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, საფრანგეთმა კი ეროვნულ გმირად აღიარა.





*** 1930 წლის 31 მაისს სან ფრანცისკოში (აშშ) დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი, კინორეჟისორი, ამერიკის კინოაკადემიის ხუთი ჯილდოს — „ოსკარისა“ და 3 „ოქროს გლობუსის“ მფლობელი კლინტ (კლინტონ) ისტვუდი-უმცროსი.** ითამაშა როლები ფილმებში: „ერთი მუჭა დოლარისთვის“; „კარგი, ცუდი, ბოროტი“; „ბინძური ჰარი“; „კანონის დამცველი“; „გაქცევა ალკატრასიდან“; „სასიკვდილო სია“; „ნამდვილი დანაშაული“; „სნაიპერი“ და სხვ.



*** 1934 წლის 30 მაისს ტულის რაიონის სოფელ ლისტვიანკაში (რუსეთის ფედერაცია) დაიბადა რუსი კოსმონავტი (№11), პირველი ადამიანი, რომელიც ღია კოსმოსში გავიდა (1915 წლის 18 მარტს), სსრკ-ის ორგზის გმირი ალექსეი ლეონოვი.**

მოამზადა ნიკა კორინთელმა

ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები დაკავშირებული იქნება მატერიალური პრობლემების მოგვარებასთან. გადაწყვეტილებები სწრაფად უნდა მიიღოთ. სასიკეთო პერიოდია კირჩხიბისა და თხის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**25 – 31 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ყურადღება გაამახვილეთ თქვენი სამუშაოს იურიდიულ ასპექტებზე. გაფრთხილდით დოკუმენტებზე ხელმოწერისას, რადგან შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ და ეს შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობისთვის — არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ. მარტოხელა ვერძებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელიც მათ არა მხოლოდ თავისი გარეგნობით, არამედ ინტელექტით მოხიბლავთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი დაემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 28 მაისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

ამ პერიოდში მხოლოდ ცხოვრების მატერიალურ მხარეზე მოგიწევთ ფიქრი, რადგან ბევრი საყოფაცხოვრებო პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით. ნუ შეეცდებით ბანკიდან კრედიტის აღებას, რადგან შესაძლოა, დროულად ვერ გადაიხადოთ და ამან თქვენი ფინანსური მდგომარეობა დაამძიმოს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ნუ შეეცდებით მისთვის თქვენი აზრების ჯიუტად თავს მოხვევას. სჯობს, მას საქმის არსი დეტალურად აუხსნათ და გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღოთ.

დიდია ზედა სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

ოპტიმიზმი და კეთილგანწყობილი ურთიერთობები დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ. პროფესიულ სფეროში წარმატებას კოლექტიური შრომით მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ შემოსავლის დამატებითი წყარო.

დაქორწინებული ტყუპების ურთიერთობა მეუღლესთან ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მიმართ მეტ სითბოსა და ყურადღებას გამოავლენენ.

სისხლის მიმოქცევისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესის გასაუმჯობესებლად, კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში და დაიტვირთებით ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

თქვენი აქტიურობა, პირველ რიგში, ადამიანებთან ურთიერთობაში გამოვლინდება — სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანებთან იოლად გამონახავთ საერთო ენას, რაც საკუთარი ძალების რწმენას შეგმატებთ და ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით დაასრულებთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. გულწრფელად ესაუბრეთ მას იმ პრობლემებზე, რომლებიც გაწუხებთ, და მხარში აუცილებლად ამოგიდგებათ.

გაიმყარეს იმუნიტეტი — ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპია და იკვებეთ ნატურალური საკვებით.

**დადებითი დღე: 26 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

ახალი ჰობი სამსახურში შექმნილ პრობლემებს დაგავიწყებთ, მაგრამ მალე მიხვდებით, რომ სირთულეები თავისით არ მოგვარდება და მათ დასაძლევად ბრძოლა მოგიწევთ.

შეეცადეთ, გადაწყვეტილებები ცივი გონებით, უემოციოდ მიიღოთ.

მარტოხელა ლომს, შესაძლოა, თავი შეახსენოს ადამიანმა, რომელთანაც წარსულში რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდა. ეს შეხვედრა მათ ძალიან გაახარებთ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავებს ალბათობა — განსაკუთრებით ჰიპერტონიკებისთვის.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

დასახული მიზნების მისაღწევად მოგიწევთ დისციპლინის დაცვა, ყურადღების კონცენტრაცია მნიშვნელოვანზე და ზუსტად მოქმედება. თავი შეიკავეთ ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისა და კომერციული გარიგებებისგან, რადგან არ არის გამორიცხული, ფინანსური წარუმატებლობა განიცადოთ.

მარტოხელა ქალწულები მიიპყრობენ საწინააღმდეგო სქესის იმ წარმომადგენლის ყურადღებას, რომლის მიმართაც, დიდი ხანია, სიმპათია გაუჩნდათ.

ქალწულებმა, რომლებსაც ენდოკრინული სისტემის დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

ყურადღება გამოიჩინეთ დოკუმენტების გაფორმებისას. ინფორმაციას, რომელსაც ამ პერიოდში მიიღებთ, კრიტიკულად მიუდექით — ყველა დეტალი გააანალიზეთ.

გაბედულად ჩაერთეთ მოლაპარაკებებში, რომლებიც თქვენი ბიზნესის განვითარებასთან იქნება დაკავშირებული — ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობამ შეიძლება დიდი ფინანსური მოგება მოგიტანოთ.

სასწორებისთვის საუკეთესო პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ახალი შტრიხების შესატანად და გასამყარებლად — წადით სამოგზაუროდ ან მოაწყვეთ წვეულება, რომელზეც ყველაზე ახლობელ ადამიანებს მიიპატიჟებთ.

დიდია ტრამვირების ალბათობა — მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 25 მაისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

მოგეცემათ პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა, ამისთვის კი ინიციატივის გამოჩენაა საჭირო. იაქტიურეთ, გაბედულად განაცხადეთ თქვენი იდეების შესახებ და გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერას აუცილებლად მიიღებთ.

მორიელების მცდელობა, სამსახურებრივი რომანი გააჩაღონ, შეიძლება სკანდალით დასრულდეს, ამიტომ ყველა გარემოება გააანალიზეთ, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამთ.

განწყობილებისა და სასიცოცხლო ტონუსის ასამაღლებლად კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით — ივარჯიშებთ სუფთა ჰაერზე ან დაკავდებით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 26 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ნეგატიურმა ემოციებმა შეიძლება სიფრთხილე დაგაკარგვინოთ და შეცდომა დაგაშვებინოთ. გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღეთ და აუჩქარებლად იმოქმედეთ — დასახულ მიზნებს მხოლოდ ასე მიაღწევთ.

თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებს, რადგან შეიძლება დიდად იზარალოთ.

შეყვარებული მშვილდოსნებისთვის ამ პერიოდში ყველაფერი კარგად წარიმართება. ზოგიერთი შეიძლება დაოჯახდეს კიდეც. დაქორწინებულ მშვილდოსნებს კი შვილები თავიანთი საქციელით გაახსენებენ.

ალერგიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები და იკვებეთ ვიტამინებით მდიდარი ნატურალური პროდუქტებით.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 26 მაისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

ნაყოფიერი პერიოდია. მიუხედავად იმისა, რომ საქმე თავზე საყრელი გექნებათ, მონდომებით, შეუპოვრობითა და მუხლჩაუხრელი შრომით ყველა პრობლემას წარმატებით გაუმკლავდებით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ ემოციების ამოფრქვევისგან, რადგან შესაძლოა, კონფლიქტი თავიდან ვერ აიცილოთ. დაქორწინებულმა თხის რქებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

დიდია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 31 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 29 მაისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

გაგიჩნდებათ ბევრი იდეა და მოგეცემათ მათი განხორციელების შესაძლებლობებიც. ამისთვის კი აქტიურობა და გულმოდგინე შრომაა საჭირო.

შესაძლოა, მიგიწვიონ ღონისძიებაზე, სადაც გაიცნობთ გავლენიან ადამიანებს, რომლებიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებიან.

კარგი პერიოდია საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად — ინტერიერის გასაახლებლად, ავეჯის შესაძენად ან, სულაც, რემონტის დასაწყებად.

თუ კუჭ-ნაწლავის სისტემის პრობლემა გაქვთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 25 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

აღივსებით ენერგიით და მოიმატებს თქვენი შრომისუნარიანობა, რაც ყველა დაწყებული საქმის წარმატებით დასრულების საშუალებას მოგცემთ.

კოლეგებსა და ახლობლებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნება დასახული მიზნების რეალიზაციის გაიოლებაში დაგეხმარებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და ყველა საკამათო საკითხი კონსენსუსის გზით მოაგვარეთ.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში და დაიცავთ კვების რეჟიმს.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 28 მაისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# პირველად საქართველოში — ზოოპარკი, რომელიც ადამიანებს ცხოველებთან შეხების საშუალებას აძლევს



**საქართველოში პირველად გაიხსნა კონტაქტური ზოოპარკი „ფაუნალენდი“, სადაც ადამიანებს ცხოველებთან შეხება შეუძლიათ. როგორც „ფაუნალენდის“ კომერციული დირექტორი ᲘᲣᲚᲘᲐ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ამბობს, თბილისში კონტაქტური ზოოპარკის გახსნის იდეა მის დამფუძნებელს სინგაპურის ზოოპარკმა შთააგონა:**

— „ფაუნალენდი“ 2016 წლის თებერვალში გაიხსნა. ეს არის საქართველოში პირველი კონტაქტური ზოოპარკი, რომელიც ორ დარბაზად გვაქვს გაყოფილი. პირველ დარბაზში გვყავს გველები, ქამელეონი, ზღარბები; აგრეთვე, შეგიძლიათ იხილოთ, როგორ იჩეკებიან პეპლები ჭუპრებიდან. მეორე დარბაზში გვყავს ბაჭიები, ბოჩოლა, სირაქლემები და ზღვის გოჭები. „ფაუნალენდის“ გახსნის იდეა გაჩნდა სინგაპურის ზოოპარკის მაგალითიდან. ჩვენი დამფუძნებელი **ᲘᲒᲝᲠ ᲝᲡᲢᲐᲞᲔᲜᲙᲝ** ხშირად მოგზაურობს, სწორედ ერთ-ერთი მოგზაურობისას ნახა კონტაქტური ზოოპარკი სინგაპურში და გადაწყვიტა, მსგავსი თბილისშიც გაეხსნა. **ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲐᲛ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲢᲑᲝᲠᲐ. ᲐᲛ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲘᲒᲝᲠᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲣᲠᲘ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ.**

**— რით განსხვავდება კონტაქტური ზოოპარკი ჩვეულებრივისგან?**

— **ᲩᲕᲔᲜᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲔᲮᲝᲗ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲗᲣ ᲥᲕᲔᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲡ, ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲝᲗ.**

**— უსაფრთხოა თქვენს ბინადრებთან ახლო კონტაქტი?**

— ჩვენთან ყველა ცხოველი აცრილია, ამიტომ უსაფრთხოა. როდესაც მიუახლოვდებით ცხოველებს, მათგანაც იგრძნობთ სითბოს. დამთვალიერებლები, ძირითადად, გველებზე გვეკითხებიან, შხამიანი არიან თუ არაო. რა თქმა უნდა, არ არიან შხამიანი, ამიტომ საშიში არაფერია.

**— რა დანიშნულება აქვს „ფაუნალენდს“ და არის თუ არა აუცილებელი, რომ ბავშვებს ცხოველებთან კონტაქტი ჰქონდეთ?**

— **ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ. ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘᲐ, ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲔᲑᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲐ.** ცხოველების მოფერება და თამაში ყველაზე ნერვიულ და აგრესიულ ბავშვსაც კი აწყნარებს. საკუთარ თავში ჩაკეტილ ბავშვს ცხოველებთან კონტაქტი კომუნიკაციის დამყარებაში ეხმარება. ცხოველებთან თამაშის შემდეგ არაკომუნიკაბელურ ბავშვს ხშირად სურს სხვა ბავშვებთან ურთიერთობა.

ჩვენი ზოოპარკი ეხმარება ადამიანებს, სხვადასხვა ფობიის დაძლევაში. ბევრს გველის შიში აქვს, თქვენ წარმოიდგინეთ, პეპლისაც. პირველად რომ მოდის ადამიანი, მხოლოდ შორიდან შეხედავს ცხოველებს, როცა მეორედ მოვა, უკვე ეხება. ბევრმა დაძლია ცხოველების შიში ჩვენი ზოოპარკის საშუალებით. სამწუხაროდ, თბილისში მცხოვრებ ბავშვებს არ აქვთ ცხოვლებთან ახლო კონტაქტის საშუალება, განსხვავებით სოფელში მცხოვრები ბავშვებისგან, რომლებსაც ყოველდღიურად უწევთ მათთან ურთიერთობა. ბევრმა ბავშვმა არც კი იცის, რომელ ცხოველს რა ჰქვია.



ᲘᲣᲚᲘᲐ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

**— ვინ იზრუნა „ფაუნალენდის“ ინტერიერზე?**

— ახალგაზრდა დიზაინერებმა, ჩვენი კონტაქტური ზოოპარკი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა მოაწყვეს.

**— გიდი თუ გყავთ, რომ უფრო მარტივად შეძლოს ბავშვმა მისთვის უცხო გარემოში ადაპტირება...**

— რა თქმა უნდა, გვყავს გიდი, რომელიც უხსნის ბავშვებს, რომელ ცხოველს რა ჰქვია, უყვება საინტერესო ფაქტებს მათ შესახებ, როგორ ცხოვრობს ესა თუ ის ცხოველი, რით იკვებება. ჩვენთან შეიტყობთ ისეთ ინფორმაციებს ცხოველებსა თუ ქვეწარმავლებზე, რომლებიც აქამდე არ გსმენიათ. მაგალითად:

**ᲥᲐᲛᲔᲚᲔᲝᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲔᲓᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲘᲡ ᲧᲠᲣᲐ. ᲥᲐᲛᲔᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲔᲜᲐ ᲛᲘᲡ ᲢᲐᲜᲖᲔ 1,5-2-ᲯᲔᲠ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲐ.**

ანდა, იცოდით, რომ **ᲡᲘᲠᲐᲥᲚᲔᲛᲐᲡ** თვალი მის ტვინზე დიდია? ის ავითარებს 70 კმ/სთ სიჩქარეს, ფეხის ერთი ამოკვრით შეუძლია ლომი მოკლას. სირაქლემა 80 წლამდე ცოცხლობს. არ შეუძლია უკან სიარული. მას წილად ხვდა პატივი, გამოესახათ ავსტრალიის გერბზე. აფრიკული სირაქლემას ფეხის დარტყმა, ცხენის ფლოქვის დარტყმაზე გაცილებით ძლიერია. ხოლო მისი თავდასხმის შემთხვევაში, საკმარისია, ჯოხზე წამოცმული სამოსი ასწიოთ, რომ დაუყოვნებლივ უკან დაიხევს. სირაქლემა თავს ესხმის მხოლოდ მასზე დაბალ მოწინააღმდეგეს. მისი კვერცხი, თუ ის საკვებად გინდათ, 2 საათის განმავლობაში უნდა ხარშოთ. სირაქლემას ერთი კვერცხისგან მიიღება ქათმის 25 კვერცხის ოდენი მასა. ვინაიდან სირაქლემას არ აქვს კბილები, კუჭში საჭმლის დასამუშავებლად ყლაპავს წვრილ ქვებს, ასევე ლურსმნებს, ხის ნაჭრებს, რკინას, პლასტმასს და ასე შემდეგ. თუ მტაცებელი მის ბუდეს ემუქრება, შეუძლია, მიწაზე დაწოლა და გარინდება, თავის ქვიშაზე დადებით, იმისთვის რომ ვერ შეამჩნიონ.

**ᲙᲝᲡᲢᲐ-ᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲢᲐᲠᲐᲙᲜᲔᲑᲘ.** ტარაკნის ტვინი გაშლილია სხეულში, ამიტომაც შეუძლია იცოცხლოს თავის დაკარგვის შემდეგაც კი, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ცოცხლობს არაუმეტეს ათი დღისა. ვინაიდან უთავო ტარაკანი წყალს ვერ დალევს, უწყლობის გამო დაიღუპება. საკვების გარეშე კი ტარაკანს შეუძლია გაძლოს ერთ თვეზე მეტ ხანს. **ᲢᲐᲠᲐᲙᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲐ ᲠᲐᲓᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲨᲘᲪ ᲙᲘ.** შეუძლიათ გაირბინონ საათში 4 კილომეტრი, გარდა ამისა, იციან ცურვაც. ტერიტორიის დაცვისას თავს ესხმის საზღვრების დამრღვევს. ერთდროულად იბადება 30 ტარაკანი. მისი კუჭი აღჭურვილია არა მხოლოდ ძლიერი კუნთებით, არამედ კბილებითაც. ისინი საჭმელს, ყბების გარდა, კუჭითაც ამუშავებენ.

**ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ.** რაც უფრო დიდია მორიელი, მით უსაფრთხოა ადამიანისთვის. საიმპერატორო მორიელი, რომელიც ჩვენც გვყავს, ყველაზე დიდი ჯიშისაა. ის ჰოლივუდის ვარსკვლავია — გადაღებულია თითქმის ყველა სათავგადასავლო ფილმში. თუ უდაბნოში მოგიწევთ ღამის გათევა, საკმარისია, თქვენ გარშემო დადოთ სელის თოკი და მორიელები მასზე ვერ გადმოვლენ, ვინაიდან ვერ იტანენ სელის სუნს. ისინი ასევე კარგად იტანენ რადიაციას. სიბნელეში ნადირობისას მორიელები იყენებენ გრძნობის სპეციალურ ორგანოებს, რომელთა დაბოლოებაზე წვრილი მგძნობიარე წანაზარდებია. მათი დახმარებით მორიელს შეუძლია მსხვერპლი იპოვოს. ძალიან შხამიანი მორიელის მარწუხები პატარაა ნესტართან შედარებით. ნაკლებად შხამიან მორიელს პირიქით — დიდი მარწუხები აქვს, ნესტარი კი — პატარა. კაშკაშა მზის სინათლეზე მორიელების ბაკანი მწვანედ ელავს.

**— ბავშვებს თუ მოსწონთ ახალი ზოოპარკი?**

— ძალიან მოსწონთ და არა მხოლოდ ბავშვებს, უფროსები ხშირად ბავშვზე მეტადაც კი ხალისობენ.

**— რა ღირს ზოოპარკის ბილეთი?**

— **ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 10 ᲚᲐᲠᲘᲐ, 3-ᲓᲐᲜ 14-ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 8 ᲚᲐᲠᲘ, 3-ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ.** ყოველდღე ვმუშაობთ 11-დან 8-საათამდე. ზოოპარკში ყოფნის დრო არ არის განსაზღვრული, შეგიძლიათ, მთელი დღე იყოთ საყვარელ ცხოველებთან.

ესაუბრა
**ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲢᲝᲒᲝᲜᲘᲫᲔ**

# ზაურ გახარია 70 წლისაა

**ჩვენს მეგობარს, კარგ ქართველს ზაურ გახარიას 22 მაისს 70 წელი შეუსრულდა.**



გულითადად ვულოცავთ ბატონ ზაურს ამ ღირსახსოვარ თარიღს. 70 წლის კაცს აქვს უკან მოსახედი და შესაფასებელი. ბატონ ზაურს ამაყად შეუძლია თვალი გადაავლოს თავის განვლილ ცხოვრებას. ჩვენ, მისი მეგობრები, თამამად და გაბედულად ვამბობთ, რომ ზაური ცხოვრობდა, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, საქართველოს პატრიოტი და კაცური კაცი. მას თავისი ქვეყნისთვის არ დაზარებია გარჯა იქ, სადაც შეეძლო, თავის მეგობრებს მუდამ გვერდით ედგა ჭირშიც და ლხინშიც და ლამაზი ოჯახითაც გაამდიდრა ქართული ყოფა. აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, ბატონ ზაურს გვერდს უმშვენებს ქალბატონი მზია, სანიმუშო მეუღლე და უსათნოესი ქალბატონი. მათაც და ჩვენც გვეამაყება მათი შვილები — გიორგი და თამარი, შვილიშვილები — ანა და ალექსანდრე. იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ, ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲪᲐᲐᲕᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ᲢᲔᲚ: 599-722-138; 247-58-83
ᲛᲘᲡ.: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №142, I ᲡᲐᲠᲗ.
ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ №6. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ᲢᲔᲚ.: 551-10-59-74 — ᲘᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲓᲘᲚᲐᲫᲔ,
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲘᲕᲔᲠᲗᲣᲑᲐᲜᲘ (ᲚᲝᲢᲙᲘᲜᲖᲔ)
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲞᲐᲞᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №3
(ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ)**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894